კანცელარია დათმობებზე ალაპარაკდა A2
რუსი პოლიტიკოსები საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე A5
წერილები მთავრობას A8

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
ხუთშაბათი, 13 ნოემბერი, 2003 წელი. №296 (508)
ფასი 50 თეთრი

## "გაფუჭებული ტელეფონი" ქართულ პოლიტიკაში

თამარ ხორბალაძე

*სახელმწიფო კანცელარიაში ოპოზიციას შუადღიდან, ანუ აშშ-ს ელჩის განცხადების მომენტიდან "ელოდნენ". ყოველ შემთხვევაში, მთელი დღის განმავლობაში როგორც კანცელარია, ისე ჟურნალისტები "ლოდინის რეჟიმში" იყვნენ გადაყვანილნი და კანცელარიის ლიფტების მისადგომებთან არა მხოლოდ ქართული, არამედ უცხოური მასმედიაც საგულდაგულოდ იყო "გამაგრებული".*

რიჩარდ მაილსის კვალდაკვალ სახელისუფლებო ბლოკის ლიდერებიც ადასტურებდნენ, რომ "შეხვედრა დღეს უნდა შემდგარიყო". მეტიც - რჩეულიშვილმა დააკონკრეტა, რომ ჯერ ოპოზიციასთან მოსალაპარაკებლად გია ყარყარაშვილი მივიდოდა, შემდეგ კი მათ პრეზიდენტი შეხვდებოდა და ლამის უპრეცედენტო დათმობებზეც ჩამოაგდო სიტყვა - მათ შორის, აჭარის ლიდერის მხრიდანაც.

საღამოს ექვსი საათისთვის კანცელარიაში ჟურნალისტების მობილიზაცია ახალ ფაზაში გადავიდა - საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახურმა ჟურნალისტების სიების შედგენა დაიწყო, რათა მათთვის შეხვედრის პირველი წუთების დაფიქსირების საშუალება მიეცა.

შვიდი საათისთვის კანცელარიაში "სამართლიანი არჩევნების" ხელმძღვანელი ზურაბ ჭიაბერაშვილი გამოჩნდა, რომელმაც განაცხადა, რომ ხელისუფლებამ დაინტერესება გამოხატა და მანაც კანცელარიაში პარალელური დათვლის შედეგები და ის მეთოდი წარმოადგინა, რომლითაც ასეთი შედეგები იყო მიღებული.

დაახლოებით საღამოს რვა საათისთვის ჟურნალისტებთან ისევ გამოჩნდა ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელმაც ისევ დაადასტურა ხელისუფლების მხრიდან დათმობისთვის მზადყოფნა და ისევ თქვა, რომ გია ყარყარაშვილთან შეხვედრის შემდეგ ოპოზიციის პრეზიდენტთან შეხვედრა მოსალოდნელი იყო. თავად კი, როგორც შემდგომ გახდა ცნობილი, აჭარაში გაემგზავრა.

(საინტერესო დეტალი - როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ამ პერიოდამდე ოპოზიციის ლიდერებთან არც საქართველოს პრეზიდენტთან შესაძლო შეხვედრის დროის შესახებ იყო ინფორმაცია მისული და არც გია ყარყარაშვილთან შესაძლო შეხვედრის შესახებ შეთავაზება).

გაგრძელება A3 გვერდზე

### პოლიტიკა

## პასუხგაუცემელი კითხვები

მიმდინარე წლის თებერვალში, 9 თვის წინ, როდესაც საქართველოში აგორდა მორიგი სკანდალი სახელმწიფო კანცელარიაში დაგეგმილი შეთქმულების შესახებ, იურისტმა დავით უსუფაშვილმა გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ სტატიაში დასვა რამდენიმე კითხვა. ეს კითხვები მაშინ ადრესატებისგან პასუხგაუცემელი დარჩა. სამაგიეროდ, განვითარებულმა მოვლენებმა დაიწყეს კითხვებზე პასუხების მოცემა. გთავაზობთ ამ კითხვებს უცვლელი სახით.

A2

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | |
| ქუთაისი | 12 | |
| სოხუმი | 8 | |
| ბათუმი | 12 | |
| ფოთი | 12 | |
| თელავი | 8 | |
| ზუგდიდი | 12 | |
| გორი | 6 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1750 |
| ევრო | 2.5182 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6351 |
| რუბლი | 0.0730 |

# რუსთაველზე ხელმოწერები დაიწყო

*ანტიშევარდნაძიზმის წყალგაუმტარი დუღაბი დღითიდღე მტკიცდება და თავის საფარქვეშ სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს აერთიანებს. თანაც, ოპოზიციის ლიდერებისთვის ერთ ფრიად სასარგებლო თვისებასაც ამჟღავნებს – ძირითადი გამამხნევებელი მუხტი ფეხზე მდგარი ხალხის ურყევი ნებიდან მოდის. ეს მხოლოდ მაშინ ხდება ხოლმე, როცა ყველა თავის საქმეს აკეთებს.*

ზაზა ფაჩუაშვილი

გუშინდელ მიტინგზე ყველაზე დიდი ოვაცია გამოიწვია კობა დავითაშვილის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ იწყება საყოველთაო ხელმოწერები საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გადაყენების მოთხოვნით. პირველი ოთხი მაგიდა პირდაპირ რუსთაველის გამზირზე დადგეს, რის გარშემოც უმალ მოიყარა ხალხმა თავი. ხელმომწერთათვის ერთადერთი პირობა პირადობის მოწმობის ქონაა.

ოვაციების მიხედვით, მეორე ადგილზე გავიდა გიორგი ბარამიძის მიერ ოპოზიციის გათიშულობის შესახებ გავრცელებული ჭორის გაქარწყლება, რომელიც სახელისუფლებო ბლოკის უბადრუკ ხრიკად მოინათლა.

ოპოზიციის ლიდერთა გამოსვლებს შორის მიკროფონს მრავალი მომიტინგე იკავებდა. ამ მხრივ, გუშინდელი საპროტესტო აქცია განსაკუთრებით ინტერნაციონალური გამოდგა. ძველი თბილისელი სომხების გამოსვლა თუ ქალაქური კოლორიტით გამოირჩეოდა, ბოლნისელი აზერბაიჯანელი თავგანწირული ჩანდა.

**"ბოლნისელი აზერბაიჯანელები ძალიან ცუდ დღეში არიან, მაგრამ ხმას ვერ იღებენ, იმიტომ, რომ დაშინებულები არიან. მე არ მეშინია და მოგიწოდებთ, რომ ყველამ ერთად მოვიშოროთ თავიდან შევარდნაძე და მამალაძე. გაუმარჯოს საქართველოს!"** – გაჰკიოდა ახალგაზრდა აზერბაიჯანელი.

ჩვენს არაქართველ თანამემამულეებს მსგავსი განცხადებებით არც ქართველები ჩამოუვარდებოდნენ. მათ შორის კი ნამდვილად დასამახსოვრებელი გამოსვლა ჰქონდა მამათელ მოხუც ქალბატონს, რომელიც მიკროფონამდე ორმა თანმხლებმა პირმა მიიყვანა.

**"40 ათასი დანაზოგი წამართვეს. შევარდნაძე შემპირდა, გადაგიხდითო, მაგრამ არ დაადგა საშველი. ხალხო, ეს კაცი უნდა მოვიცილოთ!"** – იხვეწებოდა მოხუცი.

იგივე პათოსით გამოვიდა პატარა ლანჩხუთელი ბიჭი, რომელმაც სიტყვა ლოცვით დაიწყო.

მომიტინგეებში აშკარად პოპულარულები გამხდარან გოგი თოფაძე, შალვა ნათელაშვილი და "მემარჯვენეები". მათი სახელების ხსენებისას ხალხი ერთმანეთს ეუბნებოდა, ამაზე მეტი ლუსტრაცია რა გინდაო.

გაგრძელება A2 გვერდზე



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*მე, საქართველოს მოქალაქე, ხელს ვაწერ შევარდნაძის გადადგომას.*

# საქართველო მიქცეულ უნდა იქნეს არა უკან, აზიისაკენ, არამედ წინ, ევროპისაკენ




B4

*"რუსთაველის გამზირი" ჰამბურგში.*

# პროტესტის ახალი ტალღა იმერეთში

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

**"საქართველოში მურვან ყრუ ედუარდ ყრუმ შეცვალა, მას არაფრის მოსმენა არ უნდა და საქართველოს მომავლის ხარჯზე, ოპოზიციასთან ვა ბანკზე მიდის,"** - აცხადებენ ქუთაისელი "ნაციონალები". ისინი პრეზიდენტის გადადგომას, ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას მოითხოვენ. გუშინვე "ნაციონალური მოძრაობის" ქუთაისის ოფისში აღნიშნული მოთხოვნებით ოთხმა აქტივისტმა შიმშილობა დაიწყო. ქუთაისელი "ნაციონალების" ერთ-ერთმა ლიდერმა გოგი წულაიამ კი პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას მხარდაჭერისკენ მოუწოდა. **"ამ ხელისუფლებამ ქვეყანა მორალურ და ფინანსურ კრახამდე მიიყვანა, მიუხედავად ამისა, მათ არ შესწევთ ძალა, რომ გადადგნენ და ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ ამოასუნთქონ,"** - აცხადებს წულაია. ადგილობრივი ოპოზიციური პარტიების განსაკუთრებულ გაღიზიანებას კი ასლან აბაშიძისა და ედუარდ შევარდნაძის ბოლოდროინდელი ურთიერთობა იწვევს.

**" შევარდნაძემ ასლან ბაბუსთან რაღაც იპუტუნა, მერე კი იგი სომხეთში და აზერბაიჯანში მიავლინა. ამის მიღმა რა იმალება,**

გაგრძელება A2 გვერდზე



*მოშიმშილეები "ნაციონალების" ქუთაისის ოფისში.*

## ვლადიმირ რომანენკო: "მაშინაც ნოემბერი იდგა, ზუგდიდში ტანკით რომ შევიჭერი"

*დსთ-ს ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილე, გენერალ-მაიორი ვლადიმირ რომანენკო გამორიცხავს რუსეთის მხრიდან საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას. "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში გენერალი აცხადებს, რომ მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევაზე გადაწყვეტილების მიღება დღეს მხოლოდ შევარდნაძის კომპეტენციაა და ამაში მას რუსეთის დახმარება არ სჭირდება.*

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

**- ხომ არ გაქვთ რაიმე ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რუსეთისთვის სამხედრო დახმარების თხოვნის შესახებ?**

- მძიმე ტექნიკისა და ჯარის ნაწილების მშვიდობიან მომიტინგეებზე მიშვებას მხოლოდ შევარდნაძე გაბედავს. მაგრამ, საქმე აქამდე არ უნდა მივიდეს და ეს, პირველ რიგში, შევარდნაძემ იცის. ამიტომ იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში, აჭარაში. ეს მას საშუალებას მისცემს, დრო გაწელოს და თანდათან სტაბილიზაციას მიაღწიოს.

შევარდნაძის პოლიტიკური მრჩევლების პოზიციაა საშიში. ისინი ყველაფერზე წავლენ. 9 აპრილის მოვლენების განმეორებაზე მეტად საქრთველოში 1993 წლის მოვლენების გენმეორებაა საშიში. მე თავად ვიყავი ფოთის პროცესის მონაწილე და კარგად მახსოვს, როგორ იტანჯებოდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა შიმშილით...

გაგრძელება A3 გვერდზე

## მთავრობა ჭორებს ავრცელებს

### ფაქტებით მანიპულირება გამოსავალი პოლიტიკური კრიზისიდან

*დაძაბულ პოლიტიკურ ფონს მთავრობა ყოველდღიურად ახალ-ახალი საშიში პროგნოზებით მუხტავს. ბოლო ასეთი განცხადება ლარის კურსის "მოსალოდნელ დაცემას" უკავშირდებოდა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მთავრობა ლარის კურსის დაცემის თაობაზე განცხადებებს არ აკეთებს მაშინ, როცა ეს მართლაც მოსალოდნელია. მთავრობა არ ებრძვის არც იმ მიზეზებს, რომლებმაც ქვეყანაში, შესაძლოა, ეკონომიკური ვარდნა გამოიწვიოს. ამგვარი განცხადებები მხოლოდ პანიკის დათესვას ემსახურება. დღეს ხელისუფლებას ერთი მიზანი აქვს: ნებისმიერი მეთოდით აიძულოს საზოგადოება, უარი თქვას პროტესტზე და მორჩილად დაუბრუნდეს უფლებააყრილ ცხოვრებას, რომელსაც მას მმართველი ფენა – ერთი მუჭა სამთავრობო ჩინოვნიკები სთავაზობენ.*

მაია ურუშაძე

ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ხშირდება უარყოფითი პროგნოზების ნაკადი. გუშინწინ მთავრობის მხრიდან გახმოვანებულმა ინფორმაციამ ხორბლის მოსალოდნელი გაძვირების თაობაზე დედაქალაქის მთელ რიგ მაღაზიებში პურზე ფასების მატება უკვე განაპირობა.

ახლა მთავრობამ ლარს შეუტია. ეროვნული ვალუტის კურსის რყევამ ხელისუფლებას ხმამაღალი განცხადებებისა და "მოსალოდნელი დევალვაციის" პროგნოზირების საშუალება მისცა. თუმცა, თავად ეროვნული ბანკი (სებ) ვითარებას საგანგაშოდ არ მიიჩნევს და აცხადებს, რომ ლარის კურსის რყევა **"სავსებით პროგნოზირებადი იყო."**

გაგრძელება A4 გვერდზე

## შევარდნაძის ევრო-ატლანტიკური ოცნებების სინამდვილე

ერიკ მილერი
*სპეციალურად "24 საათისათვის"*

ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში პროტესტების ტალღა არ წყდება. პრეზიდენტი შევარდნაძე კი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ მხარდაჭერის მობილიზებას ცდილობს. იგი მჭიდროდ დაუკავშირდა "აღორძინებას", "მრეწველებსა" და "ლეიბორისტებს". ეს სამი პარტია ფორმალურად კი ითვლება ოპოზიციად, მაგრამ ისინი კეთილგანწყობილნი არიან შევარდნაძის მიმართ და, რაც მთავარია, ერთიანი ფრონტით გამოდიან სააკაშვილისა და "ბურჯანაძე-დემოკრატების" წინააღმდეგ.

შევარდნაძეს მოულოდნელი მოკავშირე გამოუჩნდა რუსეთის სახითაც. 9 ნოემბერს გამართულ შეხვედრაზე რუსეთის ელჩმა ჩხიკვიშვილმა მას სრული მხარდაჭერა აღუთქვა. იმავე დღეს შევარდნაძეს დაურეკა პუტინმა და საქციელი მოუწონა. ნათელია, რომ თუ შევარდნაძე რუსეთის მხარდაჭერას ეძებს, მას მძიმე დღეები უდგას. ამავე დროს, განახლებული ძველი მეგობრობა ბევრ კითხვას უჩენს საქართველოს ახალ და საუკეთესო მეგობარს – შეერთებულ შტატებს. ისიც საკითხავია, რა გავლენას მოახდენს ეს არჩევნები საქართველოს მიმართ ამერიკის დამოკიდებულებაზე

გაგრძელება A5 გვერდზე

## სასამართლოები საარჩევნო სარჩელებს განიხილავენ

თამარ კაციტაძე

არჩევნებთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში და საოლქო სასამართლოებში დღეისათვის სულ შეტანილია 30 სარჩელი. თუმცა, საარჩევნო უბნების შედეგები რაიონულ სასამართლოებშიც საჩივრდება და მათი რაოდენობა რამდენიმე ათეულია.

უზენაესმა სასამართლომ უკვე გააუქმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნანა დევდარიანის 2003 წლის 7 ნოემბრის განკარგულება, რომლის საფუძველზეც ხარაგაულის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს გიორგი (გოჩა) ჩახვაძეს რეგისტრაციაზე უარი ეთქვა. ცესკო-ს განკარგულებით, ჩახვაძეს ორმაგ მოქალაქეობაში "ედებოდა ბრალი". მართლმსაჯულებამ არ გაიზიარა დევდარიანის მოსაზრება და ჩახვაძეს, როგორც მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს, დეპუტატის სტატუსი შეუნარჩუნა.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 წერილები მთავრობას
B1 არქივიდან B2 რევიუ B3 რევიუ B4 პროტესტი B5 პროტესტი B6 სპორტი B7 სპორტი B8 სხვადასხვა

# პასუხგაუცემელი კითხვები

*მიმდინარე წლის თებერვალში, 9 თვის წინ, როდესაც საქართველოში აგორდა მორიგი სკანდალი სახელმწიფო კანცელარიაში დაგეგმილი შეთქმულების შესახებ, იურისტმა დავით უსუფაშვილმა გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ სტატიაში დასვა რამდენიმე კითხვა. ეს კითხვები მაშინ ადრესატებისგან პასუხგაუცემელი დარჩა. სამაგიეროდ, განვითარებულმა მოვლენებმა დაიწყეს კითხვებზე პასუხების მოცემა. გთავაზობთ ამ კითხვებს უცვლელი სახით:*

"... მინდა ვისარგებლო ალბათ ერთ-ერთი უკანასკნელი შესაძლებლობით და რამდენიმე შეკითხვით მივმართო იმ მინისტრებსა და პრეზიდენტის სხვა ფავორიტებს, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ ბოლო "შეთქმულებაში":

პატივცემულო მოღვაწეებო,

1. ხომ არ ფიქრობთ, რომ დღევანდელ ვითარებაში "შეთქმულებაში" თქვენი შესაძლო მონაწილეობა კი არა, მასში თქვენი არმონაწილეობაა სამშობლოს ღალატის ტოლფასი?

2. ხომ არ ფიქრობთ, რომ დიდი ხანია, დროა, იტვირთოთ თქვენი წილი პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე, მოაწყოთ "შეთქმულება" და ყველამ ერთად დაუსაბუთოთ გადაღლილობის გამო მოვლენებზე არაადეკვატურად მორეაგირე პრეზიდენტს ის, რასაც შეუძლებელია, ზოგიერთი თქვენგანი მაინც არ ფიქრობდეს გულში - რომ მისი პოლიტიკური კურსი ქვეყანას კატასტროფისაკენ მიაქანებს და, ამასთანავე, თითქმის გარდაუვალს ხდის ხელისუფლებაში უპასუხისმგებლო პოპულისტების, კორუმპირებული ბიუროკრატების და/ან კბილებამდე შეიარაღებული კრიმინალების მოსვლას?

3. ხომ არ ფიქრობთ, რომ "შეთქმულების" მოუწყობლობის ან მისი დამარცხების შემთხვევაში ყოველმა ღირსეულმა თქვენგანმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს თანამდებობა პოლიტიკურ ოპოზიციაში გადაუსვლელად, რათა მოსახლეობის რაღაც ნაწილს მაინც დაუბრუნდეს რწმენა იმისა, რომ ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები მთლიანად არ გადაშენებულან ამ ქვეყნიდან და არსებობენ პიროვნებები, რომლებსაც ძალუძთ პირადის გაწირვა საზოგადოს სასარგებლოდ და რომლებსაც შერჩენილი აქვთ საღი აზრი?

4. ხომ არ ფიქრობთ, რომ ზოგიერთი თქვენგანი მაინც, ვისაც პრეზიდენტთან სიახლოვე მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის არ უნდა, ვალდებულია იზრუნოს უზომოდ გადაღლილ უფროს კოლეგაზე და მასწავლებელზე და, მიუხედევად მისი შესაძლო სიჯიუტისა, დასუსტებულ ხელებში არ შეატოვოს ქვეყნის მომავალი?

5. ხომ არ ფიქრობთ, რომ დაუყოვნებლივ თუ არ გადადგით სწორი ნაბიჯები (ხელშესახები სასიკეთო გავლენა მოახდინეთ დაბნეულ პრეზიდენტზე ან თანამდებობები დატოვეთ), მაშინ იძულებული იქნებით, მთელი ცხოვრება თავგანწირვით ებრძოლოთ ქვეყანაში სინათლის დასადგურებას, რათა თქვენივე შთამომავლობისთვის ყოველთვის ბურუსით იყოს მოცული ჭეშმარიტი არსი თქვენი მოღვაწეობისა?

6. ხომ არ ფიქრობთ, რომ შექმნილ სიტუაციაში თქვენი მხრიდან მოქკავშირის საარჩევნო წარმატებებზე და მონდობილ სახელმწიფო საქმეებზე ერთდროულად ზრუნვას, პოლიტიკური პროცესებიც და სახელმწიფო მმართველობის სისტემაც ჩიხში შეჰყავს?

7. ხომ არ ფიქრობთ, რომ ის თქვენი კოლეგები, რომლებიც პოლიტიკურ კარიერაზე მეტად ფიქრობენ, ვიდრე მინდობილ სფეროებში ეფექტური სახელმწიფო მმართველობის განხორციელებაზე, შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, დაუყოვნებლივ უნდა ჩამოცილდნენ სახელისუფლებო თანამდებობებს და პოლიტიკურ კონკურენტებთან თანასწორ ბრძოლაში უნდა მიიღონ მონაწილეობა?

8. ხომ არ ფიქრობთ, რომ საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში იგდებთ თავს, როდესაც გინდათ, დაიჯეროთ და სხვაც დააჯეროთ, რომ ამქვეყნად ავ-კარგიანობის, სიკეთისა და ბოროტების საზომი პრეზიდენტთან მიმართებაა და ესა თუ ის პირი საქვეყნო ინტერესებზე ზრუნავს მხოლოდ იმდენად და მაშინ, რამდენადაც და როდესაც პრეზიდენტის ერთგულების დეკლარირებას ახდენს?

9. ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენს შორის არ არის არც ერთი ადამიანი, რომელსაც ბოლომდე სჯერა პრეზიდენტის პოლიტიკური კურსისა და მმართველობის სტილის სისწორე და რომელიც ათი წლის შემდეგაც სიამაყით განაცხადებს, რომ ერთგულებდა პრეზიდენტ შევარდნაძეს; და, რომ ყოველ თქვენგანს მომზადებული აქვს ერთი და იგივე ალიბი პოსტ-შევარდნაძისეული ეპოქისათვის: "მე კი ვცდილობდი, მაგრამ პრეზიდენტი სხვებს უჯერებდაო..."?

10. ხომ არ ფიქრობთ, რომ პრეზიდენტის შეცდომების უდიდესი ნაწილის მიზეზი თქვენი უმრავლესობის მისდამი მაამებლური და უპრინციპო დამოკიდებულებაა და, რომ შექმნილ სიტუაციაში თქვენ უფრო მეტი პასუხისმგებლობა გეკისრებათ, ვიდრე თავად პრეზიდენტს?

11. ხომ არ ფიქრობთ, რომ თუნდაც თქვენზე უარესების ხელისუფლებაში მოსვლისათვის არაკანონიერი გზებით ხელის შეშლა ჯამში იმაზე უფრო დამღუპველი იქნება საზოგადოებისათვის, ვიდრე მათი ხელისუფლებაში მოსვლა?

12. ხომ არ ფიქრობთ, რომ არცერთი სერიოზული არგუმენტი აღარ გაგაჩნიათ თქვენი ხელისუფლებაში დარჩენის საზოგადოებრივი სარგებლიანობის დასასაბუთებლად, გარდა იმ ვარაუდისა, რომ შესაძლოა ოპოზიციაში უარესმა ხალხმა მოიყარა თავი?

13. ხომ არ ფიქრობთ, რომ დიდი ხანია, დროა, რაიმე უფრო ღირსეული კრიტერიუმი გამოძებნოთ საკუთარი საქმიანობის ავ-კარგიანობის შესაფასებლად, ვიდრე ეს მრავალი თქვენი დღევანდელი თუ ყოფილი კოლეგის "მოღვაწეობაა"?

14. ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენს შორის სინდის-ნამუს შერჩენილები ხშირად მხოლოდ იმასღა ემსახურებით, რომ თქვენს შორის სინდის-ნამუს გარეცხილების დღევანდელი და მომავალი პოლიტიკური და მატერიალური კეთილდღეობა უზრუნველყოთ?

15. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ საბედისწერო მომენტში ხალხი თქვენგან მოელის ქვეყნისათვის ერის-კაცურ თავდადებას და არა "სუფრის-კაცურ" სოლიდარობას ერთმანეთისადმი?

**პატივისცემით, დავით უსუფაშვილი. 17 თებერვალი, 2003 წ."**

# "თქვენ ისეთი კარგები ხართ, შევარდნაძე იოლად ვერ შეგელევათ"

## ანუ რატომ ჭიუტობს პრეზიდენტი ოპოზიციასთან

გიორგი ასანიშვილი

*ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირებაში გუშინდელ დღეს, თითქოს, არსებითი ცვლილებები არ შეუტანია: ოპოზიცია აგრძელებდა საპროტესტო აქციებს, პრეზიდენტი შევარდნაძე კი ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეში არ მოქცეულა. თუმცა, გარკვეული ძვრები მაინც მოხდა, რომლებიც, შეიძლება, ახლო მომავალში, კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის დასაწყისად იქცეს.*

ვახტანგ რჩეულიშვილის განცხადებამ, რომ არ გამორიცხავს ხელისუფლების მიერ 2 ნოემბრის არჩევნებში "ნაციონალური მოძრაობის" გამარჯვების აღიარებას, წინააღმდეგობის ფრონტის ლიდერებს საბოლოო გამარჯვების რწმენა გაუმყარა, მაგრამ ისინი ეიფორიაში არ ჩავარდნილან. "ნაციონალები" უფრო მეტი ენერგიით განაგრძობენ ხელისუფლებაზე შეტევას: პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე მიხეილ სააკაშვილმა მომიტინგეებს განუცხადა, რომ დაწყებულია ხელმოწერების შეგროვება პრეზიდენტ შევარდნაძის გადაყენების მოთხოვნით. **"ხუთიოდე დღეში მილიონ ხელმოწერამდე ავალთ და ამის შემდეგ მასზე, შეიძლება, ხელისუფლებამაც კი მოაწეროს ხელი,"** - სახელმწიფო კანცელარიიდან თეთრი დროშის გადმოფენას ელოდება ანტისახელისუფლებო "კოალიციის" ხელმძღვანელი.

მისი თანაგუნდელის, დავით ბერძენიშვილის თქმით, იგი ჯერ ვერ გარკვეულა, სახელისუფლებო ბლოკის "ქორი" ვახტანგ რჩეულიშვილი მართლა შეშინდა, თუ შევარდნაძის გუნდმა, ოპოზიციის ყურადღების მოდუნების მიზნით, რაღაც ახალი თამაში წამოიწყო. როგორც არ უნდა იყოს საქმე, რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელი მოითხოვს, რომ "კაპიტულაცია" ოფიციალურად გაფორმდეს. იგი ამ შემთხვევაში, შევარდნაძეს, მისი საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, ხელშეუხებლობას ჰპირდება.

**"თუ შევარდნაძე აღიარებს, რომ 2 ნოემბერს ხალხმა ოპოზიციური უმრავლესობა აირჩია, ჩვენ მას დავუტოვებთ შანსს, სიმბოლურად ერთხანს კიდევ იყოს თავის "ქაჯეთის ციხეში",** - ანუ "ნაციონალების" თავდაპირველი ულტიმატუმი ძალაში რჩება: ან ხელისუფლების მიერ ოპოზიციის გამარჯვების ცნობა, ან - შევარდნაძის გადადგომა.

ხელისუფლების მხრიდან დათმობაზე წასვლისთვის მზადყოფნას



გუშინ, როგორც იქნა, ღრუბლებიდან მზეც გამოჩნდა.

მიესალმება ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი გიგი წერეთელი. მისი თქმით, კომპრომისებზე წასვლა და შეცდომის აღიარება ყველას უნდა შეეძლოს, მათ შორის - ხელისუფლების პირველ პირსაც. **"ვიცით, რომ ჩვენ პირველ ადგილზე არ გავსულვართ, მაგრამ 12-15 პროცენტის ფარგლებში ნამდვილად ვართ და თუ სამართლიანობის აღდგენა მოხდება, დაახლოებით ეს მაჩვენებელი გვექნება. პირველობა არც "ნაციონალებისთვის" არის თვითმიზანი, მაგრამ როდესაც არჩევნების შედეგები სიმართლესთან მიახლოვდება, გამარჯვებულებად სწორედ ისინი გამოცხადდებიან,"** - აღნიშნავს წერეთელი.

მისი თანაბლოკელი, მოშიმშილე პარლამენტარი ვასილ მაღლაფერიძეც იმის მომხრეა, რომ პრეზიდენტმა, ბოლოს და ბოლოს, რეალობას თვალი გაუსწოროს. **"არა მგონია, შევარდნაძემ გაბედოს და იმის გარკვევა მოინდომოს, თუ რამდენ ხანს ეყოფა ხალხს მოთმინება,"** - ვარაუდობს მაღლაფერიძე.

ვიდრე პოლიტიკოსები განსჯაში არიან, პარლამენტის წინ მიმდინარე საპროტესტო აქცია ჩვეული რიტმით განაგრძობს "მუშაობას". გუშინ, დღის პირველ ნახევარში, აქციის მონაწილეებმა შვებით ამოისუნთქეს - ღრუბლები გადაიყარა და მზემ გამოანათა, მაგრამ სალამოხანს შევარდნაძის "მოკავშირე" წვიმამ ისევ იძალა და რუსთაველის გამზირი კვლავ ქოლგებითა და ცელოფნებით დაიფარა.

"სისხლსავსე ცხოვრება" პარლამენტის წინ, როგორც წესი, შუადღის პირველი-ორი საათიდან იწყება. მანამდე კი, წინა დღეებში სიქაგაცლილი აქციის ხელმძღვანელები ძალებს იკრებენ და ორგანიზაციულ საკითხებს აგვარებენ. მიტინგზე წესრიგს ახალგაზრდები იცავენ, ანუ ისინი, ვისაც ჩვეულებრივ დღეებში იქით მოუწოდებენ ხოლმე დისციპლინისკენ. ამასთან, მოძრაობა "კმარას" წევრები პაუზებსაც ავსებენ და როდესაც მიტინგზე "სტაგნაციაა", საპროტესტო ტონუსს სხვადასხვა შეძახილებით ინარჩუნებენ.

მიტინგზე, პოლიტიკოსებზე მეტად, უბრალო "მოკვდავნი" აქტიურობენ: მგზნებარე სიტყვით გამოდიან თბილისში მცხოვრები რუსი ქალბატონი და ოჩამჩირედან ჩამოსული აფხაზი დედა, გელათელი მწყემსი და 84 წლის კახელი გლეხი...

გუშინ განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო მიკროფონთან სტუდენტების "მიძალება". საბოლოოდ გაქარწყლდა ხელისუფლების ვარაუდი იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობა "ნეიტრალიტეტს" დაიცავდა: საპროტესტო აქციას შეუერთდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამედიცინო უნივერსიტეტის, სოხუმის ი. ვეკუას სახელობის უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. ისინი, რექტორატის მხრიდან მუქარის მიუხედავად, აპირებენ, დღეიდან უფრო აქტიურად ჩაებან აქციაში - დილის ათ საათზე თავიანთ სასწავლებლებთან დაიწყებენ თავმოყრას და პირველი საათისთვის პარლამენტთან "გამოცხადდებიან"... აქციაზე გამოჩნდნენ, აგრეთვე, რამდენიმე გაფიცული სკოლის პედაგოგები და ზოგიერთი საავადმყოფოს პერსონალი. იზრდება მოშიმშილეთა რიცხვიც: გია ხევიაშვილს, ლადო ჭიპაშვილს, გია ბარამიძესა და ვასილ მაღლაფერიძეს გუშინ ქამალ მურადხანოვიც შეუერთდა. გარდა ამისა, მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, თელავში შიმშილობა დაიწყო საკრებულოს რამდენიმე წევრმა.

ხელისუფლებისა და ოპოზიციური საზოგადოების დაპირისპირება გრძელდება. საეჭვოა, ის მოკლე ხანში დამთავრდეს. **"თქვენ ისეთი კარგები და ლამაზები ხართ, მეეჭვება, შევარდნაძე იოლად შეგელიოთ,"** - პრეზიდენტის სიჯიუტის "მიზეზს" ამცნობს მომიტინგეებს მამათელი ხანდაზმული ქალბატონი, რომელმაც, თავისი ცნობილი თანასოფლელისგან განსხვავებით, მომიტინგეებისთვის თავის შეყვარება უკვე მოასწრო.

# ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ სასტუმრო "მარიოტში" ამერიკელი სამხედრო ექსპერტების მონაწილეობით კონფერენცია ჩატარდა. როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, ამერიკელი ექსპერტები საქართველოში 6 თვის განმავლობაში დარჩებიან და ქართველ კოლეგებს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ. ექვსთვიანი პროგრამის დასრულების შემდეგ ისინი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტებში გადანაწილდებიან. **ინტერ პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** სოხუმის ხელისუფლება თურქეთში მცხოვრები აფხაზი მოჰაჯირების შთამომავალთა აფხაზეთში დაბრუნების პროგრამას შეიმუშავებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მათი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების ხელშეწყობის თხოვნით მიმართავს. ეს გადაწყვეტილება დღეს სოხუმში, აფხაზ მოჰაჯირთა სამშობლოში დაბრუნების საკითხებისადმი მიძღვნილ მრგვალ მაგიდაზე მიიღეს, რომელიც ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრისა და თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის - სახალხო კრების ინიციატივით გაიმართა. **ინტერ პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსეთ-საქართველოს ჩარჩო-ხელშეკრულების შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის აღმასრულებელ მდივანს ლევ მირონოვსა და მის ქართველ კოლეგას მიხეილ უკლებას შორის მოლაპარაკებები დაიწყო. როგორც მირონოვმა განაცხადა, დღევანდელი მოლაპარაკებები ორი კვირის წინ დაიგეგმა და ეს შეხვედრა არანაირად არ უკავშირდება საქართველოში 2 ნოემბრის შემდეგ შექმნილ მდგომარეობას. **ინტერ პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შექმნილი კრიზისული სიტუაცია განიხილეს აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა და "ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" თავმჯდომარემ შალვა ნათელაშვილმა გუშინ გამართულ შეხვედრაზე. როგორც შეხვედრის შემდეგ რიჩარდ მაილსმა ჟურნალისტებს განუცხადა, მას შექმნილი სიტუაციის შესახებ "ლეიბორისტთა" ლიდერის პოზიცია და პროგნოზი აინტერესებდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სომხეთის საელჩო საქართველოში აცხადებს, რომ ერევანი დაინტერესებულია თბილისში სტაბილურობის შენარჩუნებით და სომხეთის ხელისუფლების მტკიცე პოზიციას გამოხატავს იმასთან დაკავშირებით, რომ სომხეთის რესპუბლიკა არც ერთ შემთხვევაში არ გადადგამს ისეთ ნაბიჯებს, რომელიც ზიანს მიაყენებს ქართულ სახელმწიფოს ან შეფასებული იქნება, როგორც მის საშინაო საქმეებში ჩარევა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი აცხადებს, რომ ოპოზიციის მოთხოვნის შესაბამისად, ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება ქვეყანაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავალი არ არის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გენერალურმა პროკურატურამ საარჩევნო სიებთან დაკავშირებით მასალების შესწავლა დაიწყო.

როგორც გენპროკურატურიდან გახდა ცნობილი, გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ სპეციალური საგამოძიებო ჯგუფის შექმნის განკარგულება გასცა, რომელიც შესაბამისი მასალების სრულყოფილ შესწავლას შემჭიდროებულ ვადებში ჩაატარებს. გენპროკურატურაში აცხადებენ, რომ მკაცრი სამართლებრივი შეფასება მიეცემა ყველა იმ პირის მოქმედებას, რომლებმაც საარჩევნო და სარეფერენდუმო დოკუმენტაცია გააყალბეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ექს-პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია ოპოზიციის ლიდერებს - მიხეილ სააკაშვილს და ზურაბ ჟვანიას ახალი სამოქალაქო ომის პროვოცირებაში ადანაშაულებს. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ექს-პრეზიდენტის მიმდევრები არ აპირებენ მხარი დაუჭირონ იმ ძალებს, რომლებსაც ამოძრავებს ერთადერთი მიზანი - ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება და პრეზიდენტის სავარძელი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" ლიდერი ჯუმბერ პატიაშვილი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება და საარჩევნო ადმინისტრაციებში საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეყვანა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის სამინისტროს ქუთაისში დისლოცირებული 21-ე სამხედრო ბრიგადის კაპიტანი გიორგი ჯანელიძე, რომელიც ერაყში მყოფ ქართულ სამშვიდობო ბატალიონში მესანგრედ მსახურობდა, საქართველოში დაბრუნდა და ამჟამად კვლავ ამ სამხედრო ნაწილში აგრძელებს საქმიანობას. ჯანელიძემ სამ ქართველ სამშვიდობოსთან - ვიცე-პოლკოვნიკ გოჩა შავგულიძესთან, მაიორებთან კახა ჯიქიასა და ფრიდონ სოფრომაძესთან ერთად ქალაქ ტიკრითთან ახლომდებარე ბეიჯის დასახლებაში, განნაღმვითი სამუშაოების დროს, სახესა და ხელებზე მესამე ხარისხის დამწვრობა მიიღო და თვენახევარი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტეხასის შტატის ქალაქ სანანტონიოში მკურნალობდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** დღეს ზუგდიდში 150-მდე ადამიანმა "ნაციონალური მოძრაობის" მხარდასაჭერად სამხარეო ადმინისტრაციის შენობასთან საპროტესტო აქცია გამართა.

"ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტების თქმით, ისინი მანამ არ დაიშვებიან, ვიდრე ხელისუფლება მათთვის მისაღებ გადაწყვეტილებას არ მიიღებს. **მედია-ნიუსი**

# პროტესტის ახალი ტალღა იმერეთში

პირველი გვერდიდან

**მარტო ღმერთმა, ასლან და ედუარდ ბაბუმ იციან. ყოველივე ამან მიგვიყვანა გადაწყვეტილებამდე, რომ საქართველოს ყველა ქალაქში უნდა დაიწყოს ისეთივე საპროტესტო აქციები, როგორიც თბილისშია. ჩვენი მიზანია, შევარდნაძემ ნათლად დაინახოს, რომ ხალხი მის ჩამოსაგდებად უკვე მზადაა. ჩვენ მშვიდობიანი აქციებითა და კონსტიტუციური გზით შევცვლით ხელისუფლებას საქართველოში,"** - აცხადებენ "ნაციონალები".

დღეიდან კი ისინი ქუთაისის მერიის წინ მასშტაბური აქციების დაწყებას აპირებენ. პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ, "24 საათის" კორესპოდენტს ერთ-ერთმა ქუთაისელმა პედაგოგმა მამუკა ჯგერენაიამ მიმართა და საკუთარი მოსაზრების გამოქვეყნება სთხოვა.

**"ამ ქალაქის მკვიდრი ვარ და იცი, რა მინდა ვთქვა? ჩვენი ხელისუფლება, ყოველსაათობრივად კარგავს ხალხის მხარდაჭერას და უკვე საშინელ ბოროტებამდე მიდის, რაზეც აბაშიძის სომხეთში ვიზიტიც მეტყველებს. ძალიან მინდა, რომ თქვენი გაზეთის მეშვეობით მოსახლეობას მოვუწოდო: ყველა წესიერი და ღირსეული ქართველი "ნაციონალური მოძრაობისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" გვერდით უნდა დადგეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის პარტიებიც, თითქოს რაღაცაზე რომ არიან განაწყენებულები, გონს მოეგებიან და ამ მოძრაობას შეუერთდებიან. ჩვენს გვყავს ხელისუფლება, რომელმაც ხალხი დააჩანაკა და საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო,"** - აცხადებს ქუთაისელი პედაგოგი.

საპროტესტო შიმშილობა, ჯერჯერობით, იმერეთის მხოლოდ ორ ქალაქში - ქუთაისსა და ზესტაფონში მიმდინარეობს.

# რუსთაველზე ხელმოწერები დაიწყო

პირველი გვერდიდან

ყველაზე მეტი სტვენა ეკრანზე ასლან აბაშიძის გამოჩენამ გამოიწვია, რომელსაც კუდში მიჰყვნენ შევარდნაძე და მისი ბლოკის სხვა წარმომადგენლები; ხოლო "კურიერის" ცნობამ, თოფაძის ლუდის რეალიზაცია საგრძნობლად შემცირდაო, შეციებული ხალხი აახარხარა კიდეც.

შემდეგ მიხეილ სააკაშვილი გამოვიდა, რომელმაც ასეთი განცხადება გააკეთა:

**"პრეზიდენტმა შევარდნაძემ მოგვთხოვა კანცელარიაში მისვლა, მაგრამ იმ პირობებში, როცა იგი მზად არ არის აღიაროს, თავისი ბლოკის დამარცხება საპარლამენტო არჩევნებზე. თუ მას სურს მოლაპარაკების სერიოზულად გამართვა, ჩვენ მზად ვართ, შევხვდეთ მას ნებისმიერ ადგილას კანცელარიის მიღმა. ჩვენ მზად ვართ დიალოგისთვის, მაგრამ ვადასტურებთ, რომ არ ვეახლებით კანცელარიაში მას, ვინც ჩემზე აღძრა 14 თუ 18 სისხლის სამართლის საქმე. ჩვენ ვადასტურებთ, რომ ის არის მოქმედი ავტორიტარული პრეზიდენტი, რომელმაც გუშინწინ გაყიდა საქართველო და აპირებს, ასლან აბაშიძეს გადააბაროს. ამ პირობებში პირადად მე კანცელარიაში ვერ წავალ და მზად ვარ, გავაგრძელო ბრძოლა თბილისის ქუჩებში, ჩვენს სოფლებში, ქალაქებში, სანამ მთავრობა დათმობებზე არ წავა.**

**ჩვენ მზად ვართ, მოვუსმინოთ შევარდნაძეს, ოღონდ ეს შეხვედრა უნდა შედგეს მინისტრების თანდასწრებით, რომ პრეზიდენტმა ძველებურად არ თქვას, მე არაფერი მეხებაო. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საქმიანი მოლაპარაკების მიღწევა. ჩვენ მას თავი არ უნდა მოვატყუებინოთ. შევარდნაძე არის დიდოსტატი ტყუილებისა, ინტრიგების და ხალხის იმედგაცრუების. ჩვენ ვართ მომხრე საჯარო ბრძოლის, საჯარო დიალოგის და საჯარო გამარჯვების. ამაში მინდა გთხოვოთ თქვენი მხარდაჭერა. დიდი მადლობა!"**

# კანცელარია დათმობებზე ალაპარაკდა

*რიჩარდ მაილსი, როგორც წესი, ბევრ საკითხზე საუბარს ერთი მოტივით არიდებს თავს: "როგორც უცხო ქვეყნის წარმომადგენელს, ამ საკითხზე ინფორმაციის გავრცელების უფლება არ მაქვს და კარგი იქნება, თუ ამას ქვეყნის მეთაურთან ან სხვა თანამდებობის პირთან დააზუსტებთო".*

ლელა მჭედლიძე

საქვეყნოდ გაცხადებული ასეთი პოზიციის მიუხედავად, ელჩის საკმაოდ ძუნწი განცხადებებიდანაც შეიძლება სერიოზული დასკვნების გაკეთება. ორი დღით ადრე მაილსი აცხადებდა, რომ, მართალია, პრეზიდენტსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის ოფიციალური შეხვედრები არ არის, მაგრამ კონტაქტი მაინც არსებობს. გუშინ მან უკვე არ დამალა, რომ გვიან ღამით "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი სახელმწიფო მინისტრს შეხვდა. ელჩი გუშინ პრეზიდენტთან "ბურჯანაძე-დემოკრატების" ვიზიტზეც საუბრობდა. პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ეს შეხვედრა სახელმწიფო კანცელარიაში უნდა შემდგარიყო, რადგან ქვეყნის მეთაური ლიდერებთან სხვაგან შეხვედრას არ აპირებდა.

ოპოზიციასთან დიალოგის გასაგრძელებლად პრეზიდენტის მზადყოფნა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებმაც მოიწონეს. ელჩების დელეგაცია, სპეციალურად საამისოდ, გუშინ სახელმწიფო კანცელარიას ესტუმრა. ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ფაბრიციო რომანიმ პოზიცია ყველა ელჩის სახელით დააფიქსირა. მათი პოზიცია კი ასეთია: **"არჩევნების პერიოდში დაფიქსირებული დარღვევები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და სამართლებრივი გზით უნდა აღმოიფხვრას."** ერთი შეხედვით, სახელმწიფო კანცელარიაში ოპოზიციის ორ ლიდერს (ბურჯანაძეს და ჟვანიას) ლამის მოუთმენლად ელოდნენ, მაგრამ სახელისუფლებო ბლოკი გუშინ აშკარად "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერზე აკეთებდა აქცენტს. ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი უკვე დაბეჯითებით საუბრობდა იმ დათმობებზე, რომელზეც სახელმწიფო კანცელარია, უფრო ზუსტად კი, სახელისუფლებო ბლოკი შეიძლება წავიდეს "პირველობას მოწადინებულ" მიხეილ სააკაშვილთან. ეს დათმობა, ვახტანგ რჩეულიშვილის განმარტებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საბოლოო და უპირობო დამორჩილებაშია, **"რომლის გაპროტესტებას ან, სხვადასხვა დარღვევების გამო, სასამართლოებში სირბილს სახელისუფლებო ბლოკის წევრები არ დაიწყებენ."**

რჩეულიშვილი აცხადებს, რომ **"დევდარიანი ყველა იმ უბნის შედეგებს გააუქმებინებს, რომელიც კი საეჭვოდ შეიძლება ჩაითვალოს"...** სხვათა შორის, "სოციალისტთა" ლიდერი ამტკიცებს, რომ გარკვეულ დათმობებზე, იგივე ან სხვა სახით, ალბათ, აჭარის ავტონომიის ლიდერიც წავა, ისევ და ისევ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, იმიტომ, **"რომ პარლამენტის წინ მიმდინარე აქციები ქვეყანას ასუსტებს, რითაც თავისუფლად შეიძლება ისარგებლონ ქვეყნის გარეთ არსებულმა ძალებმა. აგრეთვე, იმისათვის, რომ ქვეყანაში შესაძლებელი სისხლისღვრის აცილება შესაძლებელი გახდეს."** რჩეულიშვილმა გუშინ პარლამენტის ბიუროს შეკრების და შექმნილ სიტუაციაზე მრგვალი მაგიდის გამართვის იდეაც წამოაყენა.

მაინც, რატომ "დაავიწყდა" რჩეულიშვილს სააკაშვილის გვერდით გუშინ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ხსენება? სხვათა შორის, ვიცე-სპიკერი რჩეულიშვილი ადრე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ იგი ყოფილ და მოქმედ სპიკერებთან დიალოგს სავსებით რეალურად და მისაღებად მიიჩნევდა და საამისოდ არამარტო თვითონ, არამედ პრეზიდენტიც მზად იყო. გუშინ კი სახელისუფლებო ბლოკის ლიდერი იმ დათმობებზე საუბრობდა, რომელზეც ისინი მხოლოდ სააკაშვილთან წავლენ, **"ჟვანიამ და ბურჯანაძემ კი სააკაშვილთან თავად მოილაპარაკონ..."** ასკვნის სოციალისტთა ლიდერი.

# სოხუმი ყურადღებით ადევნებს თვალს თბილისში მიმდინარე მოვლენებს

სოხუმის ხელისუფლება ყურადღებით ადევნებს თვალს თბილისში მიმდინარე მოვლენებს, თუმცა პროცესების არც ერთი შესაძლო სცენარით განვითარების შემთხვევაში საქართველოსთან ურთიერთობებში კორექტივების შეტანას არ აპირებს.

"სოხუმის ხელისუფლება, მთელი მსოფლიოს მსგავსად, ყურადღებით ადევნებს თვალს საქართველოს პარლამენტის წინ მიმდინარე მოვლენებს. მაგრამ იმ ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებსაც საქართველოში განვითარებული პროცესების სათავისოდ გამოყენება სურთ, ჩვენ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას არ ვაპირებთ," - განაცხადა გუშინ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ.

მისივე თქმით, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები თბილისში, "აფხაზური მხარე საქართველოსთან ურთიერთობების მოგვარების საკითხში არაერთხელ დაფიქსირებულ პოზიციას არ შეცვლის და არასოდეს გახდება საქართველოს სახელმწიფოს ნაწილი".

შამბას აზრით, როგორც პრეზიდენტი შევარდნაძე, ისე ოპოზიცია მოკავშირეთა მხარდაჭერაში არიან დაინტერესებულნი, თუმცა, რამდენადაც მისთვის არის ცნობილი, არც ერთ მათგანს არც სოხუმის ხელისუფლებისთვის და არც აფხაზეთში მოქმედი პოლიტიკური პარტიებისათვის პოლიტიკური ხასიათის მესიჯი არ მიუწოდებიათ. **ინტერ პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებებში: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ჟურნალისტთა ფედერაცია დიალოგს და მედიის თავისუფლებას უჭერს მხარს

ვერიკო თევზაძე

**- თქვენ იცით, ვის ინტერესებს ემსახურება რუსთავი-2?**

**- დიახ, ვიცი და ამიტომაც ვუჭერ მხარს.**

**- ხელისუფლება ბევრ რამეშია დამნაშავე, მაგრამ ოპოზიციაც ცოდავს... მე არც ერთის ინტერესებს გამოვხატავ, ერთიც წყალს წაუღია და მეორეც!**

**- მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორივეს ჩვენც მივყავართ...**



"დღეს იმის თქმა, რომ ეს არხი არ მოგვწონს, რადგან ასეთი და ასეთი პოზიცია აქვს, უზნეობაა."

ეს დიალოგი გუშინ ჟურნალისტთა ფედერაციაში შედგა. მიუხედავად იმისა, რომ იქ შეკრებილმა ადამიანებმა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვეს, ფედერაციამ გააკეთა სპეციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია: **"შექმნილი ვითარება (რომლის მიზეზი უკიდურესად მძიმე სოციალური ფონია, ხოლო საბაბი - არჩევნებთან დაკავშირებული იმედგაცრუება) შეიძლება უმართავი გახდეს. ასეთ დროს ხელისუფლების კოეფიციენტი მაღალია. განსაკუთრებული გონიერება და კონსტრუქციულობა ოპოზიციურ პარტიებსაც მართებთ."** ფედერაცია გამოსავალს ხედავს დიალოგში, რომლის მისაღწევად ორივე მხარემ ყველაფერი უნდა გააკეთოს.

ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარემ აკაკი სიხარულიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს უდიდესი მონაპოვარია თავისუფალი მედია და უარყოფითად შეაფასა რამდენიმე პოლიტიკური პარტიის მიერ ტელეკომპანია "რუსთავი-2"–ის წინააღმდეგ გამოცხადებული ბოიკოტი. **"შეიძლება, ესა თუ ის ტელეკომპანია, გაზეთი, სააგენტო მოგწონდეს ან არ მოგწონდეს, გამოთქვა შენი სიმპათია-ანტიპათია, ითანამშრომლო ან არ ითანამშრომლო მასთან, მაგრამ დაგმო, კოლექტიური წესით ბოიკოტი გამოუცხადო და თან ხალხს მოუწოდო ამის შესახებ, ყოვლად მიუღებელია,"** - ნათქვამია ჟურნალისტთა ფედერაციის განცხადებაში.

იგივე პოზიცია დააფიქსირა ჟურნალისტმა ზაზა გაჩეჩილაძემაც: **"ერთადერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი ქვეყანაში არის სიტყვის თავისუფლება, ამიტომ დღეს იმის თქმა, რომ ეს არხი არ მოგვწონს, რადგან ასეთი და ასეთი პოზიცია აქვს, უზნეობაა."** "რუსთავი-2"-ის შესახებ გუშინ განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. სოსო ჭუმბურიძეს – გაზეთ "თბილისის" რედაქტორს, ტელეკომპანია სერიოზულ ეჭვებს აღუძრავს: **"იცით, ვის ინტერესებს ემსახურება იგი?"** - კითხულობს ჭუმბურიძე და ჟურნალისტ ზურაბ რცხილაძისგან ასეთ პასუხს იღებს: **"ვიცი და ამიტომაც ვუჭერ მხარს." "რუსთავი-2" პროგრესული ტელეარხია, როგორც იტყვიან, ლაქები მზესაც აქვს,"** - ამტკიცებდნენ გამსახურდიას დროინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები გიორგი გაჩეჩილაძე, ჟურნალისტი ზურაბ რცხილაძე და აკაკი სიხარულიძე. გაზეთ "თბილისის" რედაქტორმა მზის ხსენება ვერ აიტანა. **"რუსთავი-2" შეგიძლიათ, გრიგოლიას "მზეს" შეადაროთ,"** - წაჰკბინა კოლეგა ქალბატონს ბატონმა სოსომ, რომელიც რამდენიმე წუთის წინ "რუსთავი-2"-ს სხვა ტელეკომპანიების კრიტიკის გამო საყვედურობდა. კრიტიკოსმა გურამ გვერდწითელმა თავისუფალ მედიას(ალბათ, "რუსთავი-2"-ის გასაგონად) შეახსენა, რომ თავისუფლება თავაშვებულობას არ ნიშნავს. თავად ტელეკომპანიის ჟურნალისტმა გიორგი კალანდაძემ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ "რუსთავი-2"-ის წინააღმდეგ გამოცხადებული ბოიკოტი ბევრად უფრო ცივილური ფორმისაა იმ აშკარა აგრესიასთან შედარებით, რასაც ხელისუფლება იჩენს ტელეარხის მიმართ. მაგალითისთვის ჟურნალისტმა დაასახელა სახელისუფლებო ბლოკის წევრი თამაზ გიორგაძე, რომელმაც "რუსთავი-2"-ის თანამშრომელს ამ დღეებში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

# "გაფუჭებული ტელეფონი" ქართულ პოლიტიკაში

პირველი გვერდიდან

ცხრის წუთებზე უკვე ოპოზიცია ადასტურებს, რომ გია ყარყარაშვილმა მათთან შეხვედრა ითხოვა.

ცხრა საათისთვის ეს შეხვედრა იწყება საქართველოს პარლამენტში.

ამავე პერიოდში სახელმწიფო კანცელარიის ლიფტებთან ვანო ზოდელავა აკეთებს განცხადებას იმის თაობაზე, რომ ნახევარ საათში საქართველოს პრეზიდენტი ოპოზიციის ლიდერებს შეხვდება.

პარლამენტში კი შეხვედრიდან პირველი, უკვე დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, გამოდის მიხეილ სააკაშვილი, რომელიც რამდენიმე მესიჯს "აჟღერებს" - ამბობს, რომ საქართველოს პრეზიდენტი დროს წელავს; რომ ასლან აბაშიძე სომხეთში სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის შესაძლო გაერთიანების პერსპექტივას განიხილავდა; რომ შევარდნაძე აბაშიძეს თბილისს უმზადებს...

აქვე იგი კომენტარს აკეთებს ავთანდილ ჯორბენაძესთან შეხვედრის შესახებ (ამ შეხვედრის ფაქტი გუშინვე რიჩარდ მაილსმა გაახმოვანა) და ამბობს, რომ აშშ-ს ელჩის რიჩარდ მაილსის თხოვნით იგი შეხვდა ჯორბენაძეს და ოპოზიციის მოთხოვნები კიდევ ერთხელ გააცნო.

ამ მოვლენების სინქრონულად, კანცელარიის ლიფტებთან ბრიფინგს მართავს პრეზიდენტის პრეს-მდივანი და ამბობს, რომ ათის ნახევრიდან პრეზიდენტის ოთახში ოპოზიციას ედუარდ შევარდნაძე, ცესკო-ს ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი და სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ელიან (საინტერესო დეტალი - ნანა დევდარიანის სახელმწიფო კანცელარიაში შემოსვლის ფაქტი ვერ დააფიქსირეს ჟურნალისტებმა, რომელთაც პრეზიდენტის პერსონალური შესასვლელის გარდა, ყველა ოფიციალური შესასვლელ-გამოსასვლელი კონტროლზე ჰყავდათ აყვანილი).

საქართველოს პარლამენტში ამ ინფორმაციას ჟურნალისტებს არავინ უდასტურებს. ამ დროს შეხვედრას პარლამენტში ტოვებს გია ყარყარაშვილი, რომელიც ამბობს, რომ იგი ამ შეხვედრაზე წარმოადგენდა საკუთარ თანამოაზრეებს და არა - სახელისუფლებო ბლოკს. ამბობს იმასაც, რომ იგი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მედიატორის როლის საკისრებლად არ მისულა პარლამენტში.

საღამოს თერთმეტის ნახევრისთვის ჟურნალისტებს კანცელარიის პრეს-სამსახური საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ოთახში ეპატიჟება, რათა თვალნათლივ დაადასტუროს, რომ პრეზიდენტი, ცესკო-ს ხელმძღვანელი და სახელმწიფო მინისტრი უშედეგოდ ელოდნენ ოპოზიციას.

უკვე ამის შემდეგ სატელევიზიო ეთერში გამოჩენილი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ პრეზიდენტთან შესაძლო შეხვედრის შესახებ ოპოზიციამ ამ შეხვედრამდე 40 წუთით ადრე შეიტყო, ამბობს იმასაც, რომ მათ 3-3 დეპუტატის "წამატებაზე" ევაჭრებოდნენ და აცხადებს, რომ ასეთ საკითხებზე სავაჭროდ ოპოზიცია ხელისუფლებას არ შეხვდება. თუმცა, აქვე იგი ამბობს იმასაც, რომ თუ პრეზიდენტი აღიარებს ოპოზიციის გამარჯვებას, იგი მზადაა მას ნებისმიერ ტერიტორიაზე შეხვდეს.

გუშინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ჟვანია, რომლებიც გია ყარყარაშვილის წასვლის შემდეგ, თანაბლოკელებთან ერთად დაახლოებით ოთხი საათის განმავლობაში თათბირობენ და დაახლოებით ღამის პირველის ნახევრისთვის აცხადებენ, რომ გუშინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით კომენტარებს ისინი დღეს გააკეთებენ.

# ვლადიმირ რომანენკო: "მაშინაც ნოემბერი იდგა, ზუგდიდში ტანკით რომ შევიჭერი"

პირველი გვერდიდან

**- საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადება, რომ სიტუაცია კოტროლიდან გამოვიდა, აჭარის ლიდერთან საქართველოს პრეზიდენტის მოლაპარაკებები - რეალურად რას მოასწავებს ეს სამხედროების ენაზე?**

- ესაა სამხედრო მოქმედებებისათვის საფუძვლიანი მომზადება. ხელისუფლება თავს იზღვევს, მაგრამ არა მგონია, რომ ეს ნაბიჯი შევარდნაძემ გადადგას, თუმცა გამორიცხული არაფერია.

**- როდის, რა დროს შეიძლება ოპოზიციას სამხედროები მიუსიონ?**

- როცა მათი ინიციატივა, შემართება შესუსტდება, აი, მაშინ იხელთებს დროს ხელისუფლება. სააკაშვილის გარდა ყველას ეშინია ასეთი სცენარის განვითარებისა. მე პირადად კი სააკაშვილის მეშინია, არ ვენდობი ამ კაცს. მისი მოსვლა საქართველოში წყვდიადისა და ქაოსის განმეორებას ნიშნავს. თანაც, იგი ძალიან მაგონებს განსვენებულ ზვიად გამსახურდიას. საქართველომ ეს ისტორია აღარ უნდა გაიმეოროს.

**- თუ გაქვთ ინფორმაცია, რა თემაზე იყო საუბარი შევარდნაძე-აბაშიძეს შორის, რამდენად რეალურია ბათუმის სამხედრო ბაზის ამოქმედება საქართველოში შექმნილი კრიზისის განმუხტვაში?**

- აჭარაში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზის ამოქმედება ამ კონკრეტულ შემთხვევაში არარეალურია. რუსეთი დღეს საქართველოს შინაომში არ ჩაერევა. პირველ რიგში, რუსეთს არ სჭირდება ახალი ხანძარი საქართველოში, ამიტომ დაუჭირა მხარი პრეზიდენტმა პუტინმა შევარდნაძეს და მას აჭარის ლიდერთან გამგზავრება ურჩია. ბათუმის ბაზას სხვა საფრთხე უფრო ემუქრება: ვინმემ არ გაქურდოს და არ დაიტაცოს, როგორც დანარჩენი ბაზები.

**- დღეს მოსკოვში განახლდება მოლაპარაკებები ორი სამხედრო ბაზის საქართველოს ტერიტორიიდან გატანაზე. როგორ ფიქრობთ, რატომ გახდა აქტუალური ახლა, ამ მომენტში მოლაპარკებების განახლება?**

- ჩვენი პოზიცია საქართველოში სამხედრო ბაზების დატოვების ვადებზე გადახედვას არ ემორჩილება. რუსეთმა თავისი პოზიცია უკვე გამოხატა და მას დაიცავს. პანკისიდან გამოყვანილი ჯარის ნაწილების ნაცვლად თბილისში ნატო-ს ჯარები დიდი სიხარულით შევიდოდნენ, ხელს ბაღდადი რომ არ უშლიდეთ.

**- როგორ ფიქრობთ, მაინც რა სახის მხარდაჭერა აღუთქვა რუსეთის პრეზიდენტმა შევარდნაძეს?**

- მხარდაჭერა სტაბილიზაციის შენარჩუნებაზე. ეს კი ჩვენი მხრიდან ძალის გამოყენებას გამორიცხავს. ამიტომ პუტინის პოზიცია გაწონასწორებულია. განა არ ვიცით, რომ შევარდნაძე საქართველოს განვითარების მთავარი მუხრუჭია, მაგრამ რუსეთს დღეს მეზობელ რესპუბლიკაში ლეგიტიმური ხელისუფლება აძლევს ხელს და არა - უმართავი პროცესები. მე არ მომწონს ოპოზიციის ულამაზო ვაჭრობა ხელისუფლებასთან ხმების დათვლის პროცესში, არ მომწონს შევარდნაძესთან გარიგებული "ახალი მემარჯვენეები" და ლიბერალური ძალები. ეს საქართველოს პრეზიდენტის დამსახურებაა. ამიტომ მიმაჩნია, რომ შევარდნაძის ნდობა არ შეიძლება.. მისი სახით რუსეთს საიმედო პარტნიორი არ ჰყავს, მაგრამ, გვინდა თუ არა, კვლავ შევარდნაძესთან გვიხდება თამაში. დარწმუნებული ვარ, იგი კვლავ მოგვატყუებს - რუსეთს კვლავ გაყიდის.

იცით, ხანდახან ვნანობ ხოლმე, რომ ფოთში, 1993-ში, ადმირალ ბალტინთან ერთად ჩვენი შესვლით შევარდნაძის რეჟიმი გადავარჩინეთ. დავეხმარეთ იმიტომ, რომ მაშინ იგი რუსეთზე იყო ორიენტირებული. პირადად მე ტანკით შევედი ზუგდიდში და ზვიადისტებს დავდევდი. ხალხი რეალურად შიმშილობდა, ფოთის პორტი ზვიადისტების მიერ იყო ბლოკირებული. მაშინაც ნოემბერი იდგა. ახლა თავს მარტო იმით ვიიმედებ, რომ არ შეიძლებოდა მაშინ გამსახურდიას შენარჩუნება.

**- ახლა რა ინტერესები გაქვთ?**

- სტაბილიზაციის შენარჩუნება რუსეთში.



# მთავრობა ჭორებს ავრცელებს

პირველი გვერდიდან

როგორც "24 საათს" სებ-ის სავალუტო სამმართველოს უფროსმა კახა სეხნიაშვილმა განუცხადა, **"არავითარი ეკონომიკური საფუძველი არა არსებობს იმისა, რომ ლარის კურსის კატასტროფული რყევა მოხდეს. უმნიშვნელო სეზონური რყევა კი სავსებით პროგნოზირებადი პროცესი იყო. ამ რყევის მიზეზი ისაა, რომ არჩევნების წინ ლარის მკვეთრი გამყარება მოხდა, რადგან გარეთ დიდძალი ფული გამოიყარა. ახლა ლარის კურსი ძველ ნიშნულს უბრუნდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეინიშნება აჟიოტაჟი ბანკნოტურ სეგმენტზე. ეს პოლიტიკური პროცესების გავლენაა. ხალხი, პანიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ლარებს უცხოურ ვალუტაზე ახურდავებს. ახლა ძნელია საუბარი, თუ რა სიღრმის და რა დოზის გავლენას მოახდენს ეს პროცესი ქვეყნის ეკონომიკაზე. მთავარია, პანიკური სიტუაცია არ იყოს."**

სებ-ში მიიჩნევენ, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობს, რადგან ლარის უმნიშვნელო რყევა გასული წლის ანალოგიურ პერიოდშიც დაფიქსირდა. **"ტყუილი პანიკაა ეს ყველაფერი. შიშის საბაბი არ არსებობს,"** – აცხადებს სეხნიაშვილი.

ამასობაში კი, რკინიგზის ტვირთების 50-პროცენტიან კლებაზე საუბრობს "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელი აკაკი ჩხაიძე, ხოლო საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას პროგნოზირებს: **"ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო, შემოსავლები აუცილებლად შემცირდება, რადგან შემცირებულია იმპორტის მოცულობა."**

მოკლედ, ხელისუფლება ფაქტებით მანიპულირებას იწყებს. მისი ახალი იარაღი ეკონომიკური ბერკეტებია. **"თუ პოლიტიკური ვითარება არ ჩაწყნარდა, ეკონომიკური კატასტროფა გარდაუვალია,"** – აი, დიაგნოზი, რომელსაც ხელისუფლება სვამს და ყველაფერს იმ საპროტესტო აქციას აბრალებს, რომელიც მისივე თავგასულობამ გამოიწვია.

მთავრობის განცხადებებს გუშინვე გამოეხმაურნენ ახალგაზრდა ეკონომისტები და განაცხადეს, რომ ამგვარი ქცევა ხელს შეუწყობს მოსახლეობაში არაადეკვატური მოლოდინის ჩამოყალიბებას და, შესაბამისად - არასტაბილურობას შიდა სავალუტო ბაზარზე. **"ხელისუფლების წარმომადგენლებს არა აქვთ უფლება, საკუთარი უსუსური მოსაზრებების არგუმენტირება ისეთი მგრძნობიარე პარამეტრებით მოახდინონ, როგორიცაა ვალუტის კურსი და ფასების დონე,"** – მიიჩნევენ ისინი.

## კომენტარი

**მოახდენს თუ არა ზეგავლენას საქართველოში მიმდინარე საპროტესტო აქციები ქვეყნის ეკონომიკაზე და როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან ეკონომიკური კრიზისი? - ამ კითხვით დღეს "24 საათმა" ეკონომიკის ექსპერტებს მიმართა:**

**კახა დამენია, საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტის გამგეობის წევრი:**

ბუნებრივია, ზეგავლენა ეკონომიკაზე მოხდება. ნებისმიერი სიტუაციის გამწვავება კიდევ უფრო აუარესებს საინვეტიციო გარემოს; ეს განსაკუთრებით მოქმედებს უცხოურ ინვესტიციებზე. ამ შემთხვევაში მკვეთრად უარესდება საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი - "ფორს-მაჟორული" სიტუაციები და პოლიტიკური რისკები, რაც ისედაც არ აკლდა ჩვენს ქვეყანას. თუ არეულობა დიდხანს გაგრძელდა, არა თუ კაპიტალის შემოდინებას შეეშლება ხელი, არამედ კაპიტალის გადინებაც დაიწყება.

ასევე, ფინანსურ ბაზარზე სიტუაციის გართულების მოლოდინში იქმნება პანიკური სიტუაცია, რაც უმთავრესად გამოიხატება სავალუტო კურსის რყევებში (გაუფასურების მიმართულებით). თუმცა, ეს ეფექტი "მოკლევადიანი იქნება, რადგან ყველა სხვა ეკონომიკურ მაჩვენებელზე დაყრდნობით ლარის კურსი შესაძლებელია გამყარდეს კიდეც. თუმცა, არსებული სიტუაციის დიდი ხნით გაგრძელება, ბუნებრივია, გაცილებით გაართულებს მდგომარეობას და არაპროგნოზირებადს გახდის საფინანსო ბაზარს.

გართულების თავიდან აცილების ერთადერთი წამალია დროზე დალაგდეს სიტუაცია და პროგნოზირებადი გახდეს პოლიტიკური პროცესები. თუმცა, სიტუაცია თუ არ გამოსწორდა რადიკალურად და რამე არ შეიცვალა (ამ შემთხვევაში მიტინგს და პოლიტიკურ არეულობას არ ვგულისხმობ) ქვეყანა ღრმა ეკონომიკური კრიზისისაკენ მიდის; ამოტომ მოკლევადიანი ჩავარდნა მოსათმენიც კი არის, თუ უკეთესობისაკენ წავა საქმე.

**ნათია თურნავა, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე:**

"ზოგადად პოლიტიკური არასტაბილურობა ყოველთვის საზიანოა ქვეყნის ეკონომიკისთვის.

პირველი მიმართულება, რომელიც ყველაზე ოპერატიულად რეაგირებს შექმნილ სიტუაციაზე, არის საგარეო სავაჭრო ურთიერთობები. ის მოკლევადი სავაჭრო კონტრაქტები, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა ოპერაციები, ჩემი ინფორმაციით, საგრძნობლად შემცირებულია. არ მინდა, ჩემმა ნათქვამმა პანიკა შემოიტანოს, მაგრამ შესაძლოა, გაჩნდეს საფრთხე გარკვეული საქონლის დეფიციტისა, რაც, მეორე მხრივ, ფინანსურად დააზარალებს ფირმებს, რომლებიც ჩვენთან მუშაობდნენ.

მეორე სტრატეგიული მიმართულება გახლავთ ინვესტირება. თავისთავად გაჩნდება როგორც საგარეო, ისე შიდა დიდი და მცირე ინვესტიციების განხორციელების პრობლემა.

გარდა ამისა, ეკონომიკური აქტივობის დაქვეითება, იმპორტული ოპერაციების შემცირება პირდაპირ აისახება ბიუჯეტზე. კარგად მოგეხსენებათ, ბიუჯეტი ისედაც როგორ სრულდება და ასეთ სიტუაციაში კი, გარდა სუბიექტური მიზეზებისა, ბიუჯეტის შეუსრულებლობას ობიექტური გამართლებაც მიეცემა. ცხადია, შეექმნება პრობლემები ბიუჯეტიდან ანაზღაურებად სექტორს."

**მალხაზ ვეფხვაძე, ეკონომიკის ექსპერტი:**

"ქვეყანაში არსებული დაძაბული სიტუაცია ყველა სფეროზე უარყოფითად მოქმედებს. სახელმწიფო სტრუქტურაში შრომისუნარიანობა დაქვეითებულია. სამეწარმეო სუბიექტებს იმედი აქვთ, რომ შეეხებათ ის შეღავათები, რომლებსაც ჰპირდებიან პოლიტიკოსები. თუ ეს გაგრძელდა და ამან საერთო ხასიათი მიიღო, ეს უკვე თავისთავად მოახდენს სერიოზულ გავლენას ეკონომიკაზე.

გამოსავალი არის ის, რომ მთავრობამაც და ოპოზიციამაც უნდა გამონახონ საერთო ენა და რაღაც კონკრეტულ შეთანხმებამდე მივიდნენ. ბუნებრივია, კონფლიქტი მალე უნდა მოგვარდეს, რადგან კონფლიქტური სიტუაცია ყოველთვის უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაზე, მაგრამ საპანიკო სიტუაცია ნამდვილად არ არის. აშკარად ჩანს, რომ საზოგადოების განწყობა არ არის აგრესიული. ეს აქცია გარკვეულწილად პრევენციულ ხასიათს ატარებს, რადგან ის ადამიანები, რომლებმაც ვერ მოახერხეს საკუთარი ნების გამოხატვა 2 ნოემბერს, გამოვიდნენ ქუჩაში, რათა მაქსიმალურად შეიქმნან იმის გარანტია, რომ 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში შეძლებენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას".

**რომან გოცირიძე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი:**

"რა თქმა უნდა, ასეთი ვითარება კარგ გავლენას ეკონომიკაზე არ ახდენს, თუმცა გააჩნია, რა ხასიათს მიიღებს იგი და როგორ განვითარდება მოვლენები. მაგრამ რა გავლენაც არ უნდა იქიონიოს ამან ეკონომიკაზე, პასუხისმგებელი მხოლოდ და მხოლოდ მთავრობა უნდა იყოს. მთავრობამ თავად უნდა გადაწყვიტოს, რა ურჩევნია მას: ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუარესება, თუ საკუთარი სკამებისა და პოლიტიკური ძალაუფლების დათმობის სანაცვლოდ ქვეყანაზე ზრუნვა.

დღეს ქუჩაში შეკრებილი რამდენიმე ათასი კაცი ეკონომიკაზე სერიოზულ გავლენას ვერ მოახდენს. მთავრობის წევრების განცხადება იმის თაობაზე, რომ ამ კვირაში ინვესტიციების რაოდენობამ იკლო და ა.შ, ეს არის იაფფასიანი დემაგოგია. საქართველოს მთავრობამ არა თუ არ იცის, რამდენი უცხოური ინვესტიცია შემოდის ყოველი კვირის განმავლობაში, არამედ მას არა აქვს სტატისტიკა უცხოური ინვესტიციების შემოდინების შესახებ ყოველწლიურად. ამგვარი გამოსვლებით მთავრობას სურს, რომ ეკონომიკური პრობლემები მიმდინარე პროცესებს გადააბრალოს. წინათ ყველაფერს აბრალებდნენ გვალვას. დღეს კი იპოვეს მიზეზი: პენსიებს რომ ვერ არიგებენ, ეს, თურმე, პარლამენტის წინ მიმდინარე მოვლენების ბრალი ყოფილა. არადა, საპენსიო დავალიანებამ ჯერ კიდევ არჩევნებამდე, მარტო მიმდინარე წელს 50 მილიონ ლარს გადააჭარბა. არჩევნებამდე 12 მილიონი ლარით გარღვეული სახელმწიფო ბიუჯეტი კი ნოემბერში კიდევ უფრო მეტით გაირღვევა, რადგან ყველა რესურსი მთავრობამ წინასაარჩევნოდ ამოქაჩა."

**ლადო პაპავა – ეკონომიკის ექსპერტი:**

"ბუნებრივია, ქვეყანაში შექმნილი ნებისმიერი დაძაბული სიტუაცია გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. ასეთი ვითარება ნებისმიერ ქვეყანაში აისახებოდა ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მაგრამ ამ ფონზე შეინიშნება მეორე, კიდევ უფრო უარესი სიტუაცია: როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ, საკუთარი უნიათო საქმიანობა დააბრალონ ამ ე.წ. რევოლუციურ მდგომარეობას. ახლა ბრწყინვალე დროა საგადასახადო და საბაჟო სამსახურებში "მოღვაწე" თაღლითებისათვის და იმ თაღლითებისთვისაც, რომლებიც სხვა სახელისუფლებო სტრუქტურებში არიან მოკალათებულნი. ახლა შეიძლება, რაც გინდა, მოიპარო, რაც გინდა, გააკეთო – შენი მაკონტროლებელი არავინ არის, ხოლო ხვალ ყველაფერს რევოლუციას დააბრალებ. ასეთია მათი ლოგიკა. დღეს ჩვენი მთავრობა სწორედ ამით სპეკულირებს და წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების მიზეზად მიმდინარე პროცესები მოჰყავს. ვშიშობ, რომ საბაჟოს და საგადასახადოს წარმომადგენლები შექმნილი სიტუაცით ისარგებლებენ და მერე ყველაფერს ამ გამოსვლებს დააბრალებენ. ეს არის ის დრო, როცა რევოლუციის საბაბით ყველა ცდილობს, მეტი წაღლიტოს ქვეყანას."

# საგადასახადო დეპარტამენტი გაფრთხილებთ

ნინო ნარიმანიშვილი

საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე იასე ზაუტაშვილი გადასახადების გადამხდელებს აფრთხილებს, დროულად გადაიხადონ გადასახადები ბიუჯეტის სასარგებლოდ. **" საქართველოში კანონმდებლობა, ჯერჯერობით, არ შეცვლილა და ისევ მოქმედებს საგადასახადო კოდექსი. დაძაბული პოლიტიკური ფონის მიუხედავად, გადამხდელებისადმი ვერანაირ მიმართვასა და მოწოდებას ვერ დავეთანხმებით** (საუბარია პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციაზე მიხეილ სააკაშვილის მიერ მეწარმეთა მიმართ გამოთქმულ მოწოდებაზე "არ გადაიხადონ გადასახადები, რადგან ეს თანხები გასაქცევად მომზადებული ხელისუფლების ჯიბეში ილექება".). **მათ მიმართ კი, ვინც არ აპირებს გადასახადების გადახდას, საგადასახადო სამსახური დაუნდობელი იქნება და შესაბამის სადამსჯელო ღონისძიებებს გაატარებს. "** –განაცხადა საგადასახადო დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე იასე ზაუტაშვილმა. მისი თქმით, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო (შემცირებული იმპორტის მოცულობის შედეგად) რეალურად შემცირდება შემოსავლებიც. ამასთან, მთაწმინდის რაიონში ბევრი მცირე მეწარმე საერთოდ არ მუშაობს.



იასე ზაუტაშვილი

ვახო [illegible] ფოტო

რაც შეეხება გადასახადების არგადამხდელებს: საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელის განცხადებით, პრეცედენტი იმისა, რომ რომელიმე გადამხდელს ესარგებლოს პოლიტიკოსთა მოწოდებით გადასახადის არგადახდის შესახებ, ჯერჯერობით, არ არსებობს, მაგრამ არ მუშაობს ბაზრობები, რის გამოც იკარგება საკმაოდ სოლიდური შემოსავლები. იასე ზაუტაშვილი აცხადებს, რომ ნებისმიერ ვითარებაში, რაც არ უნდა დაძაბული იყოს ქვეყანაში სიტუაცია, გადასახადის გადამხდელმა ქვეყნის წინაშე თავისი ვალდებულება უნდა შეასრულოს.

იასე ზაუტაშვილმა მისი უწყების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულ თანხებზე, აგრეთვე საგანგებო ლეგიონის გაუქმების შემდეგ საბაჟო და საგადასახადო სტრუქტურებში შესაბამისი ორგანოს – ოპერატიული სამსახურის შექმნის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ნავთობისა და თამბაქოს ნაწარმის კონტრაბანდაზე სრული კონტროლი ფინანსთა სამინისტროს აღნიშნულ უწყებებს გადაეცა. ოპერატიული მოკვლევის სამსახურები კი, რომლებიც ნახევრად პოლიციურ სტრუქტურას წარმოადგენს, რეგიონებშიც, მათ შორის - აჭარისა და აფხაზეთის შესაბამის დეპარტამენტებშიც ჩამოყალიბდა. ახალი სტრუქტურის ხელმძღვანელად საგადასახადო დეპარტამენტის კადრი – ირაკლი ჩხეიძე დაინიშნა. იასე ზაუტაშვილის განცხადებით, ახლად შექმნილი ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებს მაღალი ხელფასები ექნებათ, რაც საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებში არსებული სპეცსახსრებით იქნება უზრუნველყოფილი.

რაც შეეხება თვითონ დეპარტამენტის გადასახადებს, მისი ხელმძღვანელის თქმით, საგადასახადო დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში ოქტომბრის თვეში 70 მილიონი ლარია შეტანილი. უკანასკნელი ათი თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური გადასახადების კუთხით რვა მილიონი ლარის, ხოლო ქალაქის ბიუჯეტში ორი მილიონი ლარის გარღვევაა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პარამეტრის შესრულებაში კი მცირე ჩამორჩენაა, რომლის გამოსწორებასაც ზაუტაშვილი წლის დარჩენილ ორ თვეში ვარაუდობს.

# დაბრუნდება თუ არა "იტერა" "გაზპრომის" ჯიბეში

მაია ურუშაძე

*შესაძლოა, ამ კვირის განმავლობაში გაზის საერთაშორისო ბაზარზე დიდი ცვლილებები მოხდეს. "ფაინენშალ თაიმსის" ანალიტიკოსები რუსული ენერგოგიგანტის "გაზპრომის" მიერ "იტერას" "გადაყლაპვას" წინასწარმეტყველებენ. ბუნებრივია, ეს საქართველოზეც აისახება: "იტერა" აქ უმსხვილესი ქიმიური მრეწველობის კომბინატის – "აზოტისა" და რიგი გაზგამანაწილებელი საწარმოების მფლობელია.*

"ფაინენშალ თაიმსის" ინფორმაციით, "გაზპრომი" "იტერას" ყიდვას 500 მილიონ დოლარად გეგმავს. რეალურად, ეს თანხა "იტერას" მარტო ქართული აქტივები ღირს, რომ არაფერი ითქვას უკრაინის, სომხეთისა და ლატვიის ქონებაზე. ოფიციალურად კი, "იტერა" თავის აქტივებს (საბადოების ჩათვლით) ორ მილიარდ დოლარად აფასებს.

თუმცა, "გაზპრომს" დღეს ყველა ბერკეტი აქვს იმისათვის, რომ პოზიციები დაათმობინოს "იტერას", რომელსაც იყო დრო, როცა მის "ჯიბის კომპანიად" მოიხსენიებდნენ. "24 საათი" არაერთხელ წერდა, რომ "იტერას" მოღვაწეობა დსთ-ს სივრცეში დღეს "გაზპრომის" ნება-სურვილზე დიდადაა დამოკიდებული, რადგან კერძო კომპანია დსთ-ს ქვეყნებს გაზს სწორედ რუსული ენერგოგიგანტის კუთვნილი მილებით აწვდის.

გარდა ამისა, ბოლო დროს "გაზპრომი" ღიად ავიწროებდა "იტერას". საქართველოს ექსკლუზიური გაზმომმარაგებლის სტატუსის ართმევის პარალელურად, "გაზპრომმა" "იტერა" ფაქტობრივად გამოაძევა ლატვიიდან და სომხეთიდან. ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ "გაზპრომმა" "იტერას" აცალა, სანამ მან საერთაშორისო კომპანიის იმიჯი დსთ-ს სივრცეში პოზიციების გასამაგრებლად და აქტივების შესაძენად გამოიყენა და ახლა, როცა "იტერამ" თავისი ფუნქცია შესრულა, მისი ხელში ჩაგდება სურს.

სხვათა შორის, "იტერა" აქციების გაყიდვას ადრეც – 2001 წელსაც ლამობდა. მაშინ მის სავარაუდო პარტნიორებად რუსული კომპანიები "ნოვატეკი" და "ე-ესენი" სახელდებოდნენ, მაგრამ გარიგება არ შედგა.

"იტერას" საქართველოს წარმომადგენლობაში "გაზპრომის" მიზნების თაობაზე დღემდე არაფერი იცოდნენ - აქ მხოლოდ "აზოტის" პრობლემებზე ფიქრით არიან დაკავებულნი. "იტერას" სათაო ოფისში კი "ფაინენშალ თაიმსის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას "ინსინუაცია" უწოდეს და მყისვე ოფიციალურად უარყვეს. ეს ინფორმაცია უარყო "გაზპრომმაც".

თუმცა, გუშინ "იტერას" პრეზიდენტმა იგორ მაკაროვმა ღიად განაცხადა, რომ "იტერას" აქციონერებმა კომპანიის აქციების მსხვილი (შესაძლოა, საკონტროლო) პაკეტის შესყიდვის თაობაზე წინადადებები სამი კომპანიისგან მიიღეს. "მათ შორის ერთი კომპანია უცხოურია, ორი კი რუსული," – დააკონკრეტა მაკაროვმა. "იტერას" კულუარებში კი რუსულ კომპანიებს აკონკრეტებენ: ესენია "ტე-ენ-კა ბი-პი" და "იუკოსი". გარდა ამისა, "იტერას" კულუარებში ღიად საუბრობენ კომპანიის აქტივებით "გაზპრომის" დაინტერესებაზეც.

რაც შეეხება გარიგების სავარაუდო თანხას, ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ დღეს "იტერას" გაუჭირდება კომპანიის აქციების რეალურ ფასად გაყიდვა, რადგან "ამ აქტივების ღირებულებას მნიშვნელოვნად ამცირებს ის, რომ კომპანიის ბაზარი დღეს შეზღუდულია." ეს კი "გაზპრომის" უშუალო დამსახურებაა. ამდენად, აშკარაა, რომ გაზის მონოპოლისტი ნებისმიერი მეთოდით ცდილობს "იტერას" შევიწროებას და "იტერას" აქტივების ხელში ჩაგდება სურს.

ამასობაში კი, როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში თბილისისათვის გაზის მოწოდებაზე "იტერასთან" საუბარი იგეგმება. საქმე ისაა, რომ თბილისის ამჟამინდელ გაზმომმარაგებელს – "გაზექსპორტს" დედაქალაქის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ცისფერი აირის რესურსი არ ჰყოფნის. "იტერასთან" დიალოგი "გაზექსპორტის" მამობილის – "გაზპრომის" საშუალებით შედგება. მანამდე კი, სანამ მოსკოვში თბილისის გაზმომარაგების საკითხი გადაწყდება, დედაქალაქში გაზის შეზღუდვები უკვე დაწყებულია. გაზის მიწოდება შეზღუდულია დელისის მიდამოებში, ორთაჭალასა და ნუცუბიძის მესამე მიკრორაიონში.

Mercy Corps
btc SCP

საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა (სიპ) არის BP-სა და მისი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა (BTC) და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (SCP) პროექტების მიერ დაფინანსებული ინიციატივა, რომლის დანიშნულებაა მილსადენის გასწვრივ მდებარე სოფლების მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა [illegible] და სოფლის მცირე პროექტების მეშვეობით.

ქვემო ქართლის რეგიონში პროგრამას ახორციელებს ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან ([illegible]) შემდგარი კონსორციუმი, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაცია Mercy Corps ხელმძღვანელობს.

პროგრამა დაიწყო 2003 წლის მარტში და გაგრძელდება 2006 წლის თებერვლამდე.

ზეიმი ბირლიკსა და კალინინოში









7 ნოემბერს გარდაბნის რაიონის სოფლების ბირლიკისა და კალინინის მოსწავლეებს ნამდვილი ზეიმი ჰქონდათ - მრავალი სტუმრის თანდასწრებით გაიხსნა საშუალო სკოლის სპორტული დარბაზი, რომელიც ახლახანს გარემონტდა ამ სოფლების მოსახლეობის ინიციატივითა და საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის მხარდაჭერით.

პროგრამის ხელმძღვანელობამ დიდი მადლობა გადაუხადა სოფლების მოსახლეობას ასეთი ლამაზი და წარმატებული პროექტის განხორციელებისათვის, ხოლო ახალი დარბაზისათვის ბავშვებს საჩუქრად სპორტული ინვენტარი გადასცა. მათ კი სტუმრების საპატივსაცემოდ არაერთი ქართული თუ აზერბაიჯანული სიმღერა, ლექსი თუ ცეკვა შეასრულეს.

- ბავშვები ჩვენი მომავალია და მათ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა. გვიხარია, რომ ამ პროგრამით მათთვის სიხარულის მინიჭება შევძელით - ამბობენ საინიციატივო ჯგუფის წევრები და შემდგომი პროექტებისათვის ემზადებიან.

## ორი სიტყვით

**ახალციხე.** გუშინ, დილით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის პროცესი დროებით შეწყდა, რადგან მუშებმა ხელფასების გაცემის მოთხოვნით საპროტესტო აქცია მოაწყვეს. მათ ახალციხიდან ბაკურიანის მიმართულებით ნავთობის მილების გადაზიდვა შეწყვიტეს. გუშინ, დილიდან, ბაკურიანის გზაზე მილსადენის მილებით დატვირთული 10 მანქანა ადგილიდან არ დაძრულა. ნავთობის კორპორაციის მენეჯერმა ზურაბ შურღაიამ კი განაცხადა, რომ მშენებლობის დროებით შეჩერება საპროტესტო აქციის შედეგი არ იყო და უბრალოდ გაუგებრობა მოხდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დაახლოებით ერთ კვირაში "თელასი" ელექტროგადამცემი ხაზის "ალავერდის" მეშვეობით სომხეთიდან 200 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტს დაიწყებს. ამ ვადაში კომპანია საკუთარი ხარჯით დაასრულებს სახელმწიფოსაგან იჯარით აღებული დიდუბის და ლისის ქვესადგურების რემონტს. თავად "ალავერდის" რემონტი უკვე დასრულებულია. "თელასი" ინვესტიციებს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის კუთვნილი ტარიფის ხარჯზე ამოიღებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნოემბრის პირველ ექვს დღეში ქვეყნის მასშტაბით მოხმარებულია 155,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, რაც ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ინფორმაციით, გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 30 პროცენტით აღემატება. ბოლო პერიოდში მოსული ნალექების შედეგად ჰესებში წყლის დონემ იმატა; კერძოდ, ენგურჰესის წყალსაცავში წყლის დონე 498,54 მეტრია, ნაცვლად გასული კვირის 495,34 მეტრისა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ერევანი.** წლის ბოლომდე ირან-სომხეთის ერთობლივი საწარმო ირანში სიგარეტის წარმოებას დაიწყებს. ამის შესახებ განაცხადა კომპანია „ინტერნეიშენლ მასის ტაბაკის" დირექტორმა. ეს კომპანია „გრანდ ჰოლდინგის" ჯგუფში შედის. წარმოება გამოიყენებს როგორც სომხურ, ისე ირანულ ნედლეულს. სიგარეტების რეალიზაცია მოხდება როგორც ირანში, ისე რეგიონის სხვა ქვეყნებში. საწარმოს საწყისი სიმძლავრეა 1 მილიარდი ცალი სიგარეტი წელიწადში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბაქო.** 2004 წლის პირველ კვარტალში აზერბაიჯანის მთავრობა აპირებს, მიიღოს კანონი სრკ შემნახველ ბანკში მოსახლეობის ანაბრების ინდექსაციის შესახებ. ხელისუფლების გეგმებშია ანაბრების ეტაპობრივი ინდექსაცია, რომელიც რამდენიმე წელიწადს გაგრძელდება, ამასთან, ამ პროცესის დაწყებას ხნოვანი ასაკის ადამიანების ანაბრებით აპირებენ. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

# ფოლადზე ამერიკული საიმპორტო ტარიფი უკანონოდ ცნეს

ადამ მჭედლიძე

ევროგაერთიანებამ აშშ-სთან ჭიდილში კიდევ ერთ გამარჯვებას მიაღწია: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ უკანონოდ ცნო ვაშინგტონის მიერ გასულ წელს ფოლადზე დაწესებული საიმპორტო ტარიფი. ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ეს ტარიფი არ შეესაბამება საერთაშორისო სავაჭრო ნორმებს.

ცხადია, გადაწყვეტილებას ამერიკული მხარის უკმაყოფილება მოჰყვა. თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი შეისწავლის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ანგარიშს და მის შესაძლო შედეგებს აშშ-სათვის.

ევროკავშირმა, სადაც მეტალურგიულმა მრეწველობამ ერთობ მტკივნეული რეფორმები გაიარა, ფოლადზე ამერიკული ტარიფების წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერა ჰპოვა ბრაზილიის, იაპონიისა და სხვა ექსპორტიორებისაგან. ყველა ისინი ერთობ მძიმე ვითარებაში ჩააყენა 21 თვის წინ ვაშინგტონის მიერ შემოღებულმა 30-პროცენტიანმა ტარიფმა.

ძველი კონტინენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იმედია, აშშ გააუქმებს ტარიფებს. თუ ასე არ მოხდა, ევროკავშირი, ალბათ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გადაწყვეტილებას გამოიყენებს და ამერიკულ მეტალურგიულ პროდუქციას ტარიფებს დაადებს. ანალოგიურ ნაბიჯს ძველმა კონტინენტმა ახლახან უკვე მიმართა, როცა ზოგიერთი სახის ამერიკულ საქონელს 200 მილიონი დოლარის ღირებულების ტარიფები დაადო. ეს ნაბიჯიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ ვაშინგტონის მხრიდან ექსპორტზე დაწესებული საგადასახადო შეღავათის უკანონოდ გამოცხადებას მოჰყვა. გარდა ამისა, იგეგმება 2,2-მილიარდიანი გადასახადების დადება მთელ რიგ ამერიკულ საქონელზე, მათ შორის - "ჰარლეი დევიდსონის" მოტოციკლეტებსა და ქსოვილებზე. თუკი ეს განხორციელდა, ჯორჯ ბუშს სერიოზული პრობლემები შეექმნება მომავალი საარჩევნო კამპანიის დროს.

ევროკავშირის სავაჭრო კომისრის პასკალ ლამის განცხადებით, ფოლადზე საპასუხო ტარიფების დაწესება შეიძლება უკვე დეკემბრიდან მოხდეს.

ჯერჯერობით, რთული სათქმელია, რას მოიმოქმედებს ვაშინგტონი. ეს უკანასკნელი აცხადებს, რომ 30-პროცენტიანი ტარიფი ადგილობრივი მეტალურგიის დასაცავად დროებით იქნა შემოღებული და, აქედან გამომდინარე, იგი საერთაშორისო სავაჭრო ნორმებს არ ეწინააღმდეგება; მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ, რომ ბუშის ადმინისტრაცია სერიოზული ზეწოლის ქვეშ იმყოფება ადგილობრივი მეტალურგების მხრიდან, ძნელი წარმოსადგენია, რომ ტარიფები მხოლოდ დროებითი მოვლენა იყოს. თეთრი სახლი ახლახან განიხილავდა მათი მოქმედების ვადის 2005 წლამდე გაგრძელების საკითხსაც.

# რუსი პოლიტიკოსები საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

საქართველოს ხელისუფლება რუსეთის სამხედრო ბაზების არათუ გაყვანას, არამედ საქართველოში ხანგრძლივი დროით მათ შენარჩუნებას ითხოვს. ამის შესახებ "24 საათს" აცნობეს რუსეთის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში. რუსი სამხედრო ექსპერტი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ამტკიცებს, რომ **"საქართველოში არსებული კრიზისის სამხედრო მეთოდებით განმუხტვამდე ცოტა დრო დარჩა."**

პარლამენტარების ასეთ პოზიციას არ იზიარებენ რუსი დიპლომატები. მათი აზრით, რუსეთი ასრულებდა და ასრულებს საქრთველოდან სამხედრო ბაზების გატანაზე ნაკისრ ვალდებულებებს. ამ აზრს იზიარებს საგანგებო დავალებათა ელჩი ლევ მირონოვი. დიპლომატების განცხადებებს ეხმიანება რუსეთის თავდაცვის მინისტრის კომენტარიც, რომ რუსეთი საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევას არ აპირებს.

საკუთარი დიპლომატებისა და მინისტრების პოზიციას არ იზიარებს რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ანალიზის ინსტიტუტის ექსპერტი სერგეი ლანდაუ. მისი თქმით, **"საქართველოში მეტად სერიოზული კრიზისია და ამ ეტაპზე რუსეთის სამხედროების იქ ყოფნა რუსეთის საზღვრებთან სტაბილურობის გარანტიის შენარჩუნებას ნიშნავს. არის ყველა საფუძველი საიმისოდ, რომ რუსეთი საქართველოს დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ ამაზე პრეზიდენტმა პუტინმა კრემლში გამართულ პრესკონფერენციაზე მეტად სერიოზული განცხადებაც გააკეთა."**

**"რუსეთი არ დაუშვებს "ბარდაგს" საქართველოში. ჩვენ გვეზიზღება შევარდნაძე, მაგრამ დღეს პირადად მე ყველაფერს გავაკეთებ შევარდნაძის რეჟიმის შესანარჩუნებლად,"** - აცახადებს ვლადიმირ ჟირინოვსკი.

რუსეთის მთავარი კომუნისტი **გენადი ზიუგანოვი** "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში ამბობს: **"ედუარდ შევარდნაძეს არაერთგზის შევახსენეთ, რომ რუსეთთან ცივი ომის წარმოებით საქართველო მხოლოდ წააგებდა. ახლა საქართველოს პრეზიდენტი მეფე ლირივით მარტო დარჩა. მას ხვალ "ერთგული ხალხიც" ზურგს შეაქცევს. ეს მან იცის, ამიტომ ეახლა აჭარის პრეზიდენტს, ამიტომ კვლავ ემუდარება რუსეთს, თქვენი ტანკებით დამიცავითო. და იცით, რა არის ყველაზე სასაცილო? ის, რომ რუსეთი გადაყლაპავს შევარდნაძის მხრიდან ნასროლ ყველა ტალახს და ამჯერადაც მიეხმარება, თუმცა იგი ჩვენს დახმარებას არ იმსახურებს. მაგრამ ჩვენი პრეზიდენტიც იძულებულია, შევარდნაძეს დახმარების ხელი გაუწოდოს, რადგანაც ასე ურჩია ვაშინგტონმა."**

**ირინა ხაკამადა**, რუსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი: **"ეჭვიც არ მეპარება, რომ რუსეთი საქართველოს დღეს ყველა სახის დახმარებას აღმოუჩენს, თვით ფიზიკურსაც კი. მიზეზი გასაგებია, შევარდნაძე დღეს, სამწუხაროდ, ერთადერთი ლიდერია, ვისაც საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს განაღდებული, საკუთარი ლეგიტიმურობიდან გამომდინარე. მე მაშინებს საქართველოში რუსეთის სამხედრო ჩარევის პერსპექტივა."**

# იტალიელი კარაბინერები - ერაყელი პარტიზანების მორიგი სამიზნე


მორიგ ტერაქტს 14 იტალიელი ჯარისკაცი ემსხვერპლა.

REUTERS

გუშინ ერაყის ქალაქ ნასირიაში ძლიერი აფეთქება მოხდა. ერაყელი პარტიზანების სამიზნედ ამჯერად იტალიელ კარაბინერთა შტაბ-ბინა იქცა. ტერაქტის შედეგად, სულ ცოტა, 14 იტალიელი და რვა ერაყელი დაიღუპა. კარაბინერთა სარდლობა ერაყში აცხადებს, რომ შესაძლებელია, კიდევ რამდენიმე იტალიელი სამხედრო შენობის ნანგრევების ქვეშ იყოს მოყოლილი. რომში კარაბინერთა სარდალმა გუიდო ბელინიმ იტალიურ საინფორმაციო სააგენტოსთვის "ანსა" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ აფეთქების თვითმხილველი ვინმე პორტუგალიელი იყო, რომელმაც ნასირიაში განთავსებულ კარაბინერთა შტაბ-ბინასთან სატვირთო ავტომანქანა დაინახა. ადგილზე მყოფმა მაიორმა რობერტო რიკარდიმ კი აღნიშნა, რომ შენობა ცეცხლის კვამლში იყო გახვეული და შესაძლებელია, იქ კვლავ იმყოფებოდნენ იტალიელი კარაბინერები, რომელთაც შველა სჭირდებათ. დაჭრილთა შორის ერაყელებიც არიან.

იტალიის პრეზიდენტმა კარლო კამპიმ მომხდარს ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია მისცა.

ერაყში ამჟამად, დაახლოებით, 2500 იტალიელი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება, რომელთაგან 300 - პოლიციელია და კარაბინერთა კორპუსში მსახურობს. მათთან ერთად ნასირიაში რუმინეთის პოლიციელთა დანაყოფიც არის მიმაგრებული.

ექსპერტთა განცხადებით, ამგვარი ტაქტიკა, როდესაც შენობასთან მდგარი ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე სატვირთო მანქანა ფეთქდება, ერაყელი ტერორისტებისათვის ახალი არ არის. სწორედ ამგვარად განხორციელდა ტერაქტები ერაყში განთავსებულ გაერო-სა და წითელი ჯვრის მისიებში.

ქალაქი ნასირია ერაყის სამხრეთ რეგიონში მდებარეობს და ომის დროს მის ქუჩებში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. მას შემდეგ აქ ვითარება შედარებით სტაბილური იყო. თუმცა, გუშინ მომხდარი ტერაქტი, გუშინწინ ქალაქ ბასრაში ავტობუსის აფეთქება და ქერბალაში პოლონელი ჯარისკაცის მკვლელობა მიანიშნებს, რომ პარტიზანულმა ომმა ერაყის სამხრეთი რაიონებიც მოიცვა.

რაც შეეხება ჩრდილოეთ ერაყს, თავდასხმები ამერიკელ ჯარისკაცებზე კვლავ გრძელდება. გუშინ ბაღდადის ჩრდილოეთ გარეუბანში დაუდგენელმა ერაყელმა პარტიზანმა ცეცხლი გაუხსნა ამერიკელთა პატრულს, რის შედეგადაც ერთი ამერიკელი სამხედრო დაიღუპა.

# შევარდნაძის ევრო-ატლანტიკური ოცნებების სინამდვილე

პირველი გვერდიდან

ამერიკამ ძალიან ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ ეს არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი ყოფილიყო. საკმარისია გავიხსენოთ აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის ვიზიტიც. მაშინ ბეიკერმა საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის გადაჭრაში მიიღო მონაწილეობა. ბეიკერის ფორმულა მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა, დაცული იყო ბეიკერის ციფრები, მაგრამ ამ ციფრებმა აზრი დაკარგა მას შემდეგ, რაც "მრეწველებთან" და "აღორძინებასთან" გარიგების შედეგად, შევარდნაძემ საარჩევნო კომისიაზე კონტროლი მოიპოვა.

ბეიკერის გარდა, საქართველოს ამერიკიდან სხვა მაღალი რანგის სტუმრებიც ეწვივნენ. სენატორ მაკკეინისა და გენერალ შალიკაშვილის სათქმელი იგივე იყო: იმისათვის, რომ საქართველო ევროატლანტიკური თანამეგობრობის ნაწილი გახდეს, იმისათვის, რომ საქართველოს მომავალი ჰქონდეს, აუცილებელია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები. რეალურად კი, არჩევნებმა ეს მიზნები სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენა.

რა უნდა ქნას ახლა ამერიკამ? ამჟამად განიხილება სამი სავარაუდო ვარიანტი.

**პირველი.** მიუხედავად არჩევნებთან დაკავშირებული პრობლემებისა, აშშ კიდევ უფრო გააღრმავებს თბილისთან თანამშრომლობას. შევარდნაძისათვის ეს ყველაზე მისაღები ვარიანტია. 2002 წელს შევარდნაძემ ღიად განაცხადა, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება სურს, მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც რუსეთთან ურთიერთობები დაიძაბა, შევარდნაძემ ამერიკას უფრო აქტიურად მოქმედება მოსთხოვა.

მაგრამ ეს ვარიანტი ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელია. მართალია, ვაშინგტონი თანამშრომლობს ავტორიტარულ რეჟიმებთან, ისეთებთან, როგორიცაა უზბეკეთი, რომელიც სამაგიეროდ, ამერიკას ტერორიზმთან ბრძოლაში ეხმარება. მაგრამ, საქართველომ თავად დაუწესა საკუთარ თავს უფრო მაღალი სტანდარტები, გამოთქვა რა ევროატლანტიკურ თანამეგობრობაში გაერთიანების სურვილი. არჩევნებმა დაადასტურა, რომ მთავრობას არ სურდა ან არ შეეძლო ამ სტანდარტის მიღწევა.

**მეორე.** შეერთებულ შტატებს შეუძლია, საერთოდ უარი თქვას საქართველოსთან თანამშრომლობაზე. საქართველომ ვერ ჩააბარა ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდა და, შესაბამისად, აღარ უნდა მიიღოს ამერიკული დახმარება.

ეს სცენარიც ნაკლებ მოსალოდნელია. აშშ-ს დაინტერესებას საქართველოთი საფუძვლად უდევს სტრატეგიული ინტერესები როგორც მთლიანად კავკასიაში, ისე კერძოდ საქართველოში. "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა, რომელიც დიდი წარმატებით მიმდინარეობს, ქართულ სამხედრო ძალებს მომავლის საფრთხეებთან გასამკლავებლად ამზადებს. ბაქო-ჯეიჰანისა და შაჰ-დენიზიერზრუმის მილსადენების მშენებლობა ხელს უწყობს როგორც კასპიური ენერგიის ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტის შექმნას, ისე საქართველოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას.

შეერთებული შტატები დაინტერესებულია იმით, რომ საქართველო არ ჩაეფლოს ღრმა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისში. ეს საფრთხის ქვეშ დააყენებდა მის რეგიონულ სტაბილურობასაც. გარდა ამისა, საქართველოს მომავალზე, ამ არჩევნებთან შედარებით, უფრო დიდ გავლენას 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნები იქონიებს. ასე რომ, 2005 წლისათვის მოსამზადებლად, ალბათ, უკეთესი იქნება, თუ ამერიკა საქართველოსთან თანამშრომლობას გააგრძელებს.

ამგვარად, ყველაზე სავარაუდო მაინც ეს **მესამე** გზაა. ამერიკას შეუძლია, არჩევნების კომენტირებისაგან თავი შეიკავოს და სტატუს-კვო შეინარჩუნოს. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ამერიკა, ალბათ, არ იტყვის საქართველოსთან თანამშრომლობაზე საბოლოო უარს, მაგრამ ვაშინგტონი ამიერიდან უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. მისი ყველა მცდელობა, ხელი შეეწყო საქართველოში თავისუფალი არჩევნებისათვის, მარცხით დასრულდა.

ახლა ვაშინგტონში მსჯელობენ იმაზე, თუ რა გზას დაადგნენ. სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოში ამერიკის ელჩის რიჩარდ მაილსის განცხადებები მოწმობს, რომ ვაშინგტონი მკვახე ტონზე უარს იტყვის და მოვლენათა განვითარებას დაელოდება. მართალია, შევარდნაძემ ვერ გაამართლა იმედები, მაგრამ საქართველოსთან ურთიერთობების შენარჩუნების სასარგებლოდ სტრატეგიული არგუმენტები მეტყველებს.

ერთი რამ ცხადია, ევროატლანტიკურ თანამეგობრობაში ინტეგრაციას, რომელსაც შევარდნაძე თავის ძირითად მიზნად აცხადებდა, სერიოზული საფრთხე შეექმნა. საბოლოო პასუხს მხოლოდ დრო გაგვცემს, მაგრამ აშკარაა, რომ მთავრობამ იმედი გაუცრუა როგორც თავის მეგობრებს ვაშინგტონში, ისე, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ქართველ ხალხს.

*დოქტორი ერიკ ა. მილერი, აშშ სახელმწიფო პოლიტიკის ეროვნული ინსტიტუტის ანალიტიკოსი, საქართველოში მიმდინარე არჩევნებს თვალს ადევნებდა, როგორც ეუთო-ს დამკვირვებელი აჭარაში*

# იასირ არაფატი: დროა, მშვიდობა დამყარდეს


აჰმედ კურეი და იასირ არაფატი.

REUTERS

პალესტინის ადმინისტრაციის ლიდერმა იასირ არაფატმა გუშინ გაავრცელა განცხადება, სადაც ის ებრაელებს და პალესტინელებს ძალადობის დასრულებისაკენ მოუწოდებს. მისი თქმით, ამ პირობებში არც ერთი მხარის უსაფრთხოება არ არის უზრუნველყოფილი.

ეს განცხადება იასირ არაფატმა პალესტინის პარლამენტის წინაშე გამოსვლისას გააკეთა. მან განაცხადა, რომ ისრაელს უფლება აქვს, პალესტინის სახელმწიფოს გვერდით მშვიდობიანად იცხოვროს.

ანალოგიური სულისკვეთებით იყო გამსჭვალული პალესტინის პრემიერ-მინისტრის აჰმედ კურეის გამოსვლაც. მან დაპირისპირებულ მხარეებს მშვიდობისაკენ მოუწოდა და ისრაელის მთავრობას პალესტინის ტერიტორიიდან ჯარების გაყვანა სთხოვა, რათა პალესტინელებს არჩევნების ჩატარებისათვის თავისუფალი პირობები შეექმნათ. არჩევნები კი 2004 წლის ივნისამდე უნდა გაიმართოს.

გუშინ პალესტინის პარლამენტმა პრემიერ-მინისტრ აჰმედ კურეის მიერ წარდგენილ მინისტრთა კაბინეტის პროექტს უყარა კენჭი და ხმათა უმრავლესობით არაფატის მოსაწონი მინისტრები დაამტკიცა.

გასულ შაბათ-კვირას პრემიერ-მინისტრმა და პრეზიდენტმა საბოლოოდ მოილაპარაკეს პალესტინის უშიშროების სამსახურზე კონტროლის დაწესების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით, ისრაელმა და აშშ-მ შეშფოთება გამოთქვეს, რომ არაფატმა ძალოვან სტრუქტურებზე კვლავ შეინარჩუნა კონტროლი. კერძოდ, პალესტინის შინაგან საქმეთა სამინისტროს არაფატის ერთგული მხარდამჭერი ჰაკამ ბალავი უხელმძღვანელებს. მანამდე საუბარი იყო, რომ ამ სტრუქტურას სათავეში აჰმედ კურეის კანდიდატურა - ნასერ იუსუფი ჩადგომოდა სათავეში. ისრაელი და აშშ, რომლებიც ცდილობდნენ, არაფატი ხელისუფლებისაგან ნელ-ნელა ჩამოეშორებინათ, ამ ფაქტით აღშფოთებულები დარჩნენ. ბალავის განკარგულებაში იქნება პალესტინის პოლიცია, სამოქალაქო თავდაცვის სამსახური და უშიშროების უწყება.

# ხოდორკოვსკი ციხეში რჩება

კომპანია "იუკოსის" ყოფილმა ხელმძღვანელმა მიხაილ ხოდორკოვსკიმ, შესაძლოა, სასამართლომდე კიდევ ორი წელი საპატიმროში გაატაროს. **"კანონის თანახმად, დაკავებული პატიმრობაში, შესაძლოა, ორი თვე იყოს, თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება ერთ ან ორ წლამდე გაიზარდოს,"** - განუცხადა ჟურნალისტებს რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ ვლადიმირ კოლესნიკოვმა. სამშაბათს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ხოდორკოვსკის ადვოკატების მოთხოვნა მათი კლიენტის თავდებით გათავისუფლების თაობაზე. ადვოკატები რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლას ცდილობდნენ, რომლის თანახმადაც ხოდორკოვსკი ციხეში წლის ბოლომდე უნდა დარჩეს.

# ლიტვის პრეზიდენტს რუსულ მაფიასთან კავშირში ადანაშაულებენ


როლანდას პაკსასი.

REUTERS

ლიტვის პრეზიდენტი როლანდას პაკსასი თავის გადარჩენას ცდილობს. გუშინ მან საკუთარი ადმინისტრაციის რამდენიმე წევრი გადააყენა, რომელთაც რუსულ ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირში ედებათ ბრალი.

"პრეზიდენტის ბანდის ირგვლივ მარყუჟი ვიწროვდება," – ასეთი მოწინავეთი გამოვიდა ლიტვის უდიდესი გაზეთი "ლიეტუვოს რიტას". ქვეყანა 2004 წელს ნატო-სა და ევროკავშირში შედის. თუმცა, ეს სკანდალი ქვეყნის რეპუტაციას სახელს უტეხს.

პაკსასი ყველა ბრალდებას უარყოფს და გადადგომაზე უარს ამბობს. ლიტვის უშიშროების სამინისტრო კი კვლავინდებურად ამტკიცებს, რომ პრეზიდენტი და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი რუსულ მაფიასთან არიან კავშირში.

უშიშროების სამინისტროს მონაცემებით, ლიტვას იყენებენ, როგორც შუამავალს იარაღით უკანონო ვაჭრობისა და საერთაშორისო ტერორიზმის დაფინანსებისათვის.

გუშინ პრეზიდენტის პრეს-მდივანმა განაცხადა, რომ ექვსმა მაღალი თანამდებობის პირმა გადადგომის შესახებ დაწერა განცხადება. პაკსასმა, ჯერჯერობით, მხოლოდ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადება დააკმაყოფილა.

პრემიერ-მინისტრი ალგირდას ბრაზაუსკასი თავიდან ვითარების განეიტრალებას ცდილობდა და აცხადებდა, რომ უშიშროების სამინისტროს მოხსენება არ შეიძლება პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძვლად იქცეს. თუმცა, ბოლო ხანს მან, როგორც ჩანს, პოზიცია შეიცვალა.

პრემიერ-მინისტრი კრიზისის სასწრაფოდ გადაჭრას მოითხოვს. "საზოგადოება დიდხანს ვერ დარჩება ასეთ დაძაბულობაში," – განაცხადა მან მას შემდეგ, რაც მაღალჩინოსნების გადადგომას მიესალმა. სკანდალს საპარლამენტო კომიტეტიც იძიებს, რომელმაც თავისი დასკვნა ათ დღეში უნდა წარადგინოს.

მართალია, პრეზიდენტს საყოველთაო კენჭისყრით ირჩევენ, მაგრამ მისი კომპეტენციის სფერო საგარეო პოლიტიკას არ სცილდება. თუმცა, იმ ქვეყნისათვის, რომელიც ევროპაში ინტეგრაციისათვის ემზადება, ეს სფერო ძალიან მნიშვნელოვანია. რუსი განგსტერების საქმიანობა ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობებში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

გაზეთი "ლიეტუვას რიტას" წერს კიდევ ერთი ბრალდების შესახებ, თითქოს პრეზიდენტმა თავისი პოლიტიკური ოპონენტების სახელის გასატეხად რუსული პი-არ კომპანია დაიქირავა.

პარლამენტის სპიკერის, არტურას პაულაუსკასის თქმით, პრეზიდენტის გეგმით, მემარცხენეების დისკრედიტაცია უნდა მომხდარიყო, რაც მემარჯვენეებს 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებში წარმატებისაკენ გაუხსნიდა გზას.

ყოფილმა მფრინავმა, პაკსასმა, სრულიად მოულოდნელად დაამარცხა მოქმედი პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი. არც ისე დიდი ხნის წინ, პაკსასი ცნობილი იყო, როგორც მემარჯვენე პოპულისტი.

პაულაუსკასის თქმით, პრეზიდენტის მიერ მოწყობილი შეთქმულების კვალი მათ მაშინ აღმოაჩინეს, როდესაც გაჩხრიკეს რუსი ბიზნესმენის სახლი, რომელსაც პაკსასის საარჩევნო კამპანიის უკანონო დაფინანსებაში ედებოდა ბრალი.

პაკსასი ყველა ბრალდებას უარყოფს. თუმცა, პროკურატურამ და საგანგებო საპარლამენტო კომიტეტმა გამოძიება უკვე დაიწყო.

*როიტერი*



## გეოლოგები ქალაქის მთავრობას ადანაშაულებენ

*"რამდენიმე თვის წინათ, მერიასა და საკრებულოს ჩვენი მოთხოვნა რომ შეესრულებინა, მაყაშვილის ქუჩაზე დღეს მსხვერპლი არ იქნებოდა," – აცხადებს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი. როგორც გეოლოგები ირწმუნებიან, ქალაქის მთავრობას გუშინწინ მომხდარი უბედურების თავიდან აცილება მხოლოდ 10 ათასი ლარი დაუჯდებოდა.*

ნანა ქადაგიშვილი

მაყაშვილის ქუჩაზე მომხდარ უბედურებას გეოლოგიის დეპარტამენტი პრესკონფერენციით გამოეხმაურა. **"აგვისტოში მერია და საკრებულო გავაფრთხილეთ, რომ თბილისის მეწყერულ უბნებში კატასტროფებია მოსალოდნელი და ვთხოვეთ, სახიფათო უბნების გეოდინამიკური მონიტორინგის ჩასატარებლად 10 ათასი ლარი გამოეყოთ, მაგრამ პასუხიც კი არ გვაღირსეს. შედეგი სახეზეა. კვლევა თავის დროზე რომ ჩატარებულიყო, დღეს მსხვერპლი არ იქნებოდა,"** – აცხადებს დეპარტამენტის თავმჯდომარე სანდრო თვალჭრელიძე.

როგორც გეოლოგები ამბობენ, საქართველოში 3 ათასი დასახლებული პუნქტი გეოლოგიურად სახიფათო ზონაშია მოქცეული, თბილისში კი – 60 მეწყერული უბანი და 50-ზე მეტი ღვარცოფული ხევია. მამადავითის ფერდობი, მთაწმინდა, ნუცუბიძის, ღრმაღელე-ჩუღურეთის უბნები ისეთ მდგომარეობაშია, ყოველდღიურ მეთვალყურეობას საჭიროებს. **"ასეთი სიტუაციის მიუხედავად, კარგა ხანია, ქვეყანაში გეოდინამიკური კვლევები აღარ ფინანსდება. მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე მონიტორინგის ჩატარებას 1 700 ათასი ლარი სჭირდება, თბილისში – 50 ათასი ლარი. ეს დიდი თანხა ნამდვილად არ არის, მით უმეტეს, როცა ქვეყანას მეწყერებისგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება ბევრად ძვირი უჯდება,"** – აცხადებს დეპარტამენტი.

მერია თავს იმით იმართლებს, რომ ბიუჯეტში გეოდინამიკური მონიტორინგის დაფინანსება თავიდან გათვალისწინებული არ იყო და შემდეგ თანხის გამოძებნა ვერ მოხერხდა. თუმცა, გეოლოგიის დეპარტამენტს მერიასთან სხვა პრეტენზიებიც აქვს. **"თბილისის გენგეგმა და სტრატეგიული განვითარების გეგმა ისე კეთდება, ჩვენ არაფერს გვეკითხებიან. განა შეიძლება, ქალაქის გენგეგმა გეოლოგიური მონიტორინგის გარეშე გაკეთდეს? გეოდინამიკური გამოკვლევის გარეშე ქალაქში არც ერთი სახლი არ უნდა შენდებოდეს, მაგრამ ამას ვინ უყურებს. თბილისში 90-მდე კერძო გეოლოგიური ფირმაა შექმნილი და შესაბამის დასკვნებს ისინი გასცემენ, გეოლოგიის დეპარტამენტს კი არავინ არაფერს ეკითხება. პრეზიდენტის 2000 წლის 2 მაისის ბრძანებულების თანახმად კი, მიწა ჩვენი დასკვნის გარეშე არ უნდა გასცეს,"** – აცხადებს სანდრო თვალჭრელიძე.

ქალაქის მთავარი არქიტექტორი გეოლოგებს არ ეთანხმება და აცხადებს, რომ ქალაქში არც ერთი მშენებლობის ნებართვა გეოლოგიური დასკვნის გარეშე არ გაიცემა. **"ამ დასკვნებს ლიცენზირებული გეოლოგიური ფირმები აკეთებენ. ჩაატაროს გეოლოგიის დეპარტამენტმა მონიტორინგი, შემოხაზოს ტერიტორია, სადაც მშენებლობა არ შეიძლება და გავითვალისწინებთ. რაც შეეხება გენგეგმას, თბილისის გეოდინამიკური მონიტორინგი 1970 წელს ჩატარდა და ძველი გენგეგმა მის საფუძველზე შეიქმნა. 33 წელიწადში ქალაქის გეოლოგიური სურათი ისე როგორ შეიცვლება, რომ ძველი კვლევები ახალი გენგეგმისთვის არ გამოდგეს,"** – აცხადებს ირაკლი როსტომაშვილი.

## სკოლების დათბობას 15 ნოემბრიდან გვპირდებიან

*მართალია, სკოლების შენობების დათბობის პრობლემა ბოლო წლებში ნაწილობრივ მოგვარდა, მაგრამ წლევანდელი ზამთრის მოახლოებას პედაგოგები და მოსწავლეები მაინც შიშით ელიან, ამ პოლიტიკურ გაწამაწიაში ქალაქის ხელმძღვანელობა სკოლების დათბობისთვის სად მოიცლისო, ფიქრობენ.*

ნანა ქადაგიშვილი

სკოლების გათბობის სეზონი, წესით, ნოემბრის შუა რიცხვებიდან უნდა დაიწყოს. პედაგოგები ეჭვობენ, რომ წლევანდელ ნოემბერს სკოლებისთვის არავის ეცლება. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ქალაქის ხელმძღვანელობის შესაბამისი დადგენილება ჯერ არ გამოცემულა. თუმცა, როგორც მერიის სამეურნეო სამსახური აცხადებს, ეს პრობლემას არ შექმნის და სკოლების გასათბობად საწვავის შემოტანა 15 ნოემბრიდან დაიწყება. **"მართალია, დადგენილება არ გამოცემულა, მაგრამ ჩვენ მას არ დაველოდეთ და საწვავის შემოტანაზე ტენდერი უკვე გამოვაცხადეთ. იგი 12 ნოემბერს დასრულდება და საწვავის შემოტანა გამარჯვებული ფირმების გამოვლენისთანავე დაიწყება,"** – აცხადებს ქალაქის სამეურნეო სამსახურის უფროსის მოადგილე ზურაბ ქოჩიაშვილი.

ქალაქის ბიუჯეტიდან შესაბამისი საწვავით 417 სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება მარაგდება (187 სკოლა, 204 საბავშვო ბაღი და დანარჩენი მიუსაფარ ბავშვთა სახლები). აქედან 152 შენობა ინდივიდუალური საქვაბით თბება, დანარჩენი – ელექტროენერგიით, შეშითა და ნავთით. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიებმა წელს 1500 ტონა დიზელის საწვავი, 100 ტონა ნახშირი, 300 ტონა ნავთი, შეშა და შუშა უნდა შემოიტანონ. ამისთვის მთლიანად 2 მლნ. ლარია საჭირო. მერიას კი ჯერ საწვავის შემომტანი კომპანიების შარშანდელი ვალიც არ გაუსტუმრებია. **"წელს იანვრამდე ბიუჯეტიდან 300 ათასი ლარი უნდა გადმოირიცხოს, მაგრამ, ალბათ, 100 ათას ლარზე მეტს არ მოგვცემენ. თუმცა, ეს საწვავის შემოტანას მაინც არ შეაფერხებს. ყოველ წელს ასეა, ტენდერში მონაწილე კომპანიებს წინასწარ ვაფრთხილებთ, რომ ფულს ნელ-ნელა, დაგვიანებით გადავუხდით. მთავარია, ჯერჯერობით, არც ერთი კომპანია არ მოგვიტყუებია და შესრულებულ სამუშაოს დაგვიანებით, მაგრამ სრულად ვუნაზღაურებთ. თუკი რომელიმე სკოლაში პრობლემა მაინც იქმნება, მხოლოდ იმიტომ, რომ სკოლის ხელმძღვანელობა ჩვენ მიერ შეტანილ საწვავს სახელმწიფო სკოლის შენობაში გახსნილ კერძო სექტორსაც უნაწილებს,"** – აცხადებს ქოჩიაშვილი.

სკოლები მერიის უკმაყოფილონი მართლაც არ არიან. **"შარშან გათბობა მთელი წლის განმავლობაში უპრობლემოდ გვქონდა. ცოტა შეშა წელსაც შემოგვრჩა, მაგრამ საწვავი დროზე თუ არ მოგვაშველეს, ეს შეშა რას გვეყოფა,"** – გვითხრა 114-ე სკოლის დირექტორმა გულიკო გაბიტაშვილმა. **"გათბობის მხრივ პრობლემა ნამდვილად არ გვქონია, გასულ წელს მერიამ 2 ტონა დიზელი საწვავი, შეშა, ნავთი და ფანჯრებისთვის 25 კვადრატული მეტრი შეშა მოგვაწოდა,"** – აცხადებს 135-ე სკოლის დირექტორი მანანა გიორგაძე. 51-ე სკოლას კი მერიის დახმარება საერთოდ არ სჭირდება. **"შენობაში ბუნებრივი აირი ჩვენი ხარჯებით შევიყვანეთ და გათბობა ახლაც ჩართული გვაქვს,"** – გვითხრა სკოლის დირექტორმა ინეზა კიკნაძემ.

პედაგოგთა უკმაყოფილებას სხვა რამე იწვევს. **"თუკი მერია წელსაც შარშანდელივით მოიქცევა, გათბობის პრობლემა არ შეგვექმნება, სამაგიეროდ, სხვა გასაჭირი გვაქვს, ჭერიდან წვიმა ჩამოდის. ჩვენი სკოლის შენობის რემონტისთვის 32 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, მაგრამ მიზნობრივად მხოლოდ ამ თანხის ნაწილი დაიხარჯა. სახურავი ვითომ გადახურეს, რამდენიმე დღის წინ კი წვიმა ჩამოვიდა. ვთხოვე, ტუალეტი და სამზარეულოც გაეკეთებინათ, მაგრამ უარი მითხრეს, თანხა არ ეყოფაო, მაშ რაში დაიხარჯა 32 ათასი ლარი?"** – ამბობს 135-ე სკოლის დირექტორი მანანა გიორგაძე.

მერიის სამეურნეო სამსახური ამ ფაქტს კატეგორიულად აპროტესტებს. **"135-ე სკოლის დირექტორს საპრეტენზიო არაფერი აქვს, შევქმნათ კომისია და პრესასთან ერთად ყველაფერი შევამოწმოთ. ამ სკოლას დაზიანების ხარისხიც კი არ აქვს, მაგრამ დირექტორმა გვთხოვა და სარემონტო სკოლების სიაში შევიყვანეთ. ახლა კი მადლობის მაგივრად პრეტენზიები აქვს,"** – აცხადებს ქოჩიაშვილი.

## „კიდევ ოთხი წელიწადი ვაჩუქოთ ხელისუფლებას, ამ დღეში რომ გვამყოფოს?"



თაობებს უკეთესი მომავლის იმედი აქვთ...



*"ასეთ წვიმებში დგომას უკვე კარგა ხანია მივეჩვიე. შვიდი წელიწადია ამ გზით ვარჩენ ოჯახს. ქალ-ვაჟი მყავს, მაგრამ სამსახურს ვერ შოულობენ და სახლში სხედან. ახლა თან ვვაჭრობ, თან ამ აქციის მონაწილეებს ვუჭერ მხარს. ბოლოს და ბოლოს, ეს კაცი ხომ უნდა წავიდეს და ჩვენ ქვეყანაში არსებობის კი არა, ცხოვრების საშუალება მოგვცეს",- ოლია ბერიძე უკვე შვიდი წელიწადია, რაც ქარში თუ წვიმაში ვერის ბაღში ზის და მზესუმზირას ყიდის. ახლა მან თავისი ადგილი დროებით დატოვა და პარლამენტის შენობის წინ იმ იმედით გადაინაცვლა, რომ ახლო მომავალში ქუჩაში ყოფნა აღარ მოუწევს.*

თამარ დვალი

**"მთელი ჩემი სოფელი აქ ჩამოვიდა და მეც წამოვყევი შვილო. სოფლის ჩურჩხელები, თხილი, მზესუმზირა ჩამოვიტანე, ამ ხალხს ჭამა ხომ უნდა? თან მეც ცოტა სარგებელს ვნახავ. აბა, ამ მთავრობის ხელში რამდენი წელიწადია აღარაფერით გვიხეირია... ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქალს, პრეზიდენტის გადადგომა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება რომ მინდოდეს გასაკვირია?"** – იკითხა კახეთიდან ჩამოსულმა 55 წლის ქალბატონმა.

ამ ქალბატონების ყველაზე დიდი მუშტრები ახალგაზრდები არიან, რომელთა ნაკლებობაც ნამდვილად არ შეიმჩნევა.

**"ხომ გვაქვს უფლება სკოლის მოსწავლეებმაც გამოვხატოთ ჩვენი აზრი და ჩვენს ხალხს მხარში ამოვუდგეთ! ჩვენ გვინდა ჩვენვე შევქმნათ ახალი საქართველო, ოღონდ შევარდნაძის გარეშე,"**- ასეთი განწყობით შეუერთდნენ აქციის მონაწილეებს, 166-ე სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები. რომლებიც, აქციას ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგ უერთდებიან.

გიორგი თავაძე. თსუ პირველკურსელი: **"გვინდა ყველას უთხრათ, რომ ჩვენ უსაქმურები და მოცლილები არ ვართ. აქ ჩვენი ქვეყნის მომავლის შესაცვლელად მოვდივართ. ამ ხელისუფლებამ ჩვენ ხალხს მხოლოდ უბედურება მოუტანა და ახლა დროა წავიდეს. ოდესღაც ჩვენ ქვეყანასაც ხომ უნდა ეღირსოს ნორმალური არჩევნების ჩატარება. სხვა ქვეყნების დასაცინი რა გვჭირს? გვინდა მთელმა მსოფლიომ დაინახოს, რომ საქართველო ნორმალური ქვეყანაა. თუ ასე გაგრძელდა, განვითარების მაგივრად, აფრიკის ჯუნგლებივით ჩავიკარგებით. ხომ არსებობს გამონათქვამი: "ხმა ღვთისა, ხმა ერისაო", ეს სიტყვები უნდა შეისმინოს ამ კაცმა და გადადგეს."**

გურანდა არჩილაშვილი. თსუ ფილოსოფია-სოციოლოგიის სტუდენტი: **"პირველ რიგში ერთი რამე მინდა ვთქვა, რატომღაც თსუ-ს სტუდენტებს ყოველთვის "კმარასთან" აიგივებენ. მართალია, წინააღმდეგობაში არ მოვდივართ კმარელებთან, მაგრამ ფაქტია, რომ არც იმათ რიგებში ვდგავართ. ჩვენ ერთადერთი რამ გვამოძრავებს, ეს არის პროტესტი დღევანდელი ხელისუფლების მიმართ. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ მივეკუთვნებით. აქ მოსვლა და ამ ხალხის გვერდით დგომა ჩვენი კეთილი ნებაა და არა ვინმეს წაქეზების შედეგი."**

ნიკა ჩხიროძე 29 წლის: **"აღარ შეიძლება გაჩუმდე და კიდევ ოთხი წელი აჩუქო ხელისუფლებას იმისთვის, რომ კვლავ ამ ყოფაში გაცხოვროს. მე არცერთი პარტიის მომხრე არ ვარ, მაგრამ სხვა არჩევანი არ არსებობს. რომ გაიღვიძებ, მზეს შეხედავ და ამ დროს გეუბნებიან, ეს მზე კი არა, მთვარეაო, ასეთ ვითარებაში ვართ ახლა. გვეყო ტყუილების ქვეყანაში ცხოვრება, დროა ხმა ამოვიღოთ და უკეთესი მომავალი მოვითხოვოთ."**

## დროა ომის მოგება ვისწავლოთ!

### საზოგადოება არჩევნების შედეგების გადახედვას ითხოვს

*გიორგი მშვენიერაძის დაპატიმრება აჭარაში, დარღვევებით ჩატარებული არჩევნები, საშიშროება, რომელიც, შეიძლება, სიტყვის თავისუფლებას დაემუქროს – ეს გახლავთ ის საკითხები, რომელთა ირგვლივ სასაუბროდ კულტურისა და საზოგადო მოღვაწეები გუშინ თბილისის საკრებულოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ. შეხვედრა მოეწყო იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით, რომლებმაც ამ ორი დღის წინათ, ამავე საკითხებთან დაკავშირებით, აქციები მოაწყვეს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის საელჩოების წინ.*

მაკა ჯაიანი

**"ჩვენი მოთხოვნები რუსეთის საელჩოსადმი განსხვავებულია, -** არასამთავრობო ორგანიზაციათა სახელით აცხადებს მზია ალავიძე, **- მათ ჩვენ საქართველოს საქმეებში ჩაურევლობას ვთხოვთ და ვახსენებთ, რომ ჩვენი ქვეყანა მათი კოლონია არ არის."** ქვეცნობიერი შიში იმისა, რომ რუსეთმა, თავისი ძველი ჩვეულებისა და მარადახალი მისწრაფებების წყალობით, უდრტვინველად შეიძლება ხელი საქართველოს ცხოვრებაში აფათუროს, არსებობდა, მაგრამ აჭარის აწ უკვე მთავარი პოლიტიკური და სამხედრო პირის უკანასკნელმა ვიზიტმა სომხეთში, რომელიც იქ რუსეთის თავდაცვის მინისტრის სტუმრობას დაემთხვა, საზოგადოებას ეჭვები გაუჩინა. იმის გათვალისწინებით, რომ, გარკვეული დათმობების სანაცვლოდ, ასლან აბაშიძეს აქამდეც უტვირთია შუამავლის როლი საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, მის სომხეთში გამგზავრებას კი წინ შევარდნაძის გასეირნება უძღოდა აჭარაში, ამ ეჭვებს საფუძველი ნამდვილად აქვს.

იმას, რაც 2 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების საწინააღმდეგოდ უჩნდება ქართველ ხალხს, ეჭვი აღარც კი შეიძლება ეწოდოს – სამარიდან მოხმობილი ამომრჩევლები და კონსტიტუციურუფლებაწართმეული საზოგადოება, საპირფარეშოებში დაყრილი საარჩევნო სიები, დამკვირვებლებზე გამართული ნადირობა და ა.შ. საკმარისი იყო იმისთვის, რომ ყველაფერს თავისი სახელი დარქმეოდა - ფარსი. **"ასე ჩატარებული არჩევნებით ახალ პარლამენტში უმრავლესობით ხელისუფლება მოდის,** - ამბობს ნოდარ ნათაძე, - **ხვალ, შეიძლება, პარლამენტის სპიკერად მოგვევლინოს ჯემალ გოგიტიძე. ამით დაიწყება ხელისუფლების გადაცემა შევარდნაძის ხელიდან აბაშიძის ხელში. აბაშიძეს გაუჩნდება საპრეზიდენტო ამბიცია. ამ ამბიციის დაკმაყოფილების შანსი არ არსებობს, რაც, გახდება აჭარის ხელისუფლის გაბუტვისა და ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯების საფუძველი. ეს არის რუსული სცენარი და საზოგადოება მას წინ უნდა აღუდგეს."**

საუკეთესო საშუალება მოსალოდნელი ანტისახელმწიფოებრივი ქმედების, ანუ აჭარის განცალკევების წინააღმდეგ, ნოდარ ნათაძის აზრით, ხელმოწერების შეგროვება და 2 ნოემბრის არჩევნების არშემდგარად გამოცხადებაა. შემდეგი ნაბიჯი ახალი არჩევნები იქნება. **"ოღონდ, ეს პროცესი არ უნდა გაიწელოს,** - აზუსტებს იგი, **- საჭიროა ამომრჩეველთა სიების დაზუსტება და ახალი არჩევნები უნდა დაინიშნოს. მთელ მსოფლიოს უნდა ვამცნოთ, რომ არ ვაღიარებთ ასეთი გზით მოსულ ხელისუფლებას და არ დავეთანხმებით არც ერთ აქტს, რომელსაც იგი განახორციელებს."** ამ აზრს შეკრებილები ერთსულოვნად დაეთანხმნენ. **"ახლა ყველა პრობლემა შეიძლება რუსთაველის გამზირზე გადაწყდეს,** - მიიჩნევს ლაშა ბუღაძე, - **ხელისუფლება არ ელოდა ამგვარ წინააღმდეგობას, ხალხის ასეთ აქტივობას. იგი ახლა აგონიაშია და საზოგადოებამ ეს მდგომარეობა უნდა გამოიყენოს."**

შეხვედრაზე მისული ყველა ცნობილი ადამიანი: რამაზ ჩხიკვაძე, გიორგი შენგელაია, ნაირა გელაშვილი, შოთა ნადირაშვილი, ნიკოლოზ შენგელაია, სხვები ერთსულოვანნი იყვნენ იმაშიც, რომ კატეგორიულად უნდა დადგეს აჭარაში დაკავებული ახალგაზრდა დამკვირვებლის, გიორგი მშვენიერაძის გათავისუფლების საკითხი. ამაში თანადგომას ისინი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სპეციალური პეტიციით სთხოვენ. კიდევ ერთი საკითხი, რომელმაც შეკრებილები გააერთიანა "რუსთავი 2"-ის წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია გახლავთ. **"მინდა ვკითხო გოგი თოფაძეს: ვინ უფრო დაზარალდება მისი პროტესტით, "რუსთავი 2"-ის მაყურებელი, რომელიც ეკრანზე სახელისუფლო ნომენკლატურასა და დემაგოგ გამომსვლელებს ვერ იხილავს, თუ თავად, ამ ტელევიზიის მაყურებელმა "თოფაძე" რომ აღარ დალიოს?"** – იკითხა ასოციაცია "მსოფლიო ლაბორატორიის" ხელმძღვანელმა იოსებ ცისკარიშვილმა.

**"ის მუქარა, რომელიც კულტურის მინისტრის მოადგილის მხრიდან ამ ტელეკომპანიის ხელმძღვანელის მიმართ გაისმა, შეიძლება თავისუფალი მედიის, თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებად ჩაითვალოს,"** – აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის" თავმჯდომარე დავით ლილუაშვილი. იგივე პათოსი აქვთ სტუდენტებსაც. **"გამოდის, რომ ორი წლის წინათ, ნოემბერში ტყუილად გამოვედით სიტყვის თავისუფლების დასაცავად!** – ამბობს დავით მესხიშვილი, - **ხელისუფლება, ფაქტობრივად, იგივეს გაკეთებას ცდილობს. ჩვენ, "ხმების დაცვის სტუდენტური კომიტეტი" ბოლომდე ვიდგებით, რომ დავიცვათ პრესის, სიტყვის თავისუფლება და ადამიანების კონსტიტუციური უფლება, აირჩიონ სასურველი პარლამენტი და დაიცვან საკუთარი ხმა გაყალბებისაგან."**

ერთგვარ რეზიუმედ გუშინდელი შეკრებისა, შეიძლება, საკრებულოს განათლების ქვეკომიტეტის თავმჯდომარის გია მურღულიას განცხადება ჩაითვალოს: **"დღეს აქ ვხედავ ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელსაც ანგაჟირებულს ნამდვილად ვერ უწოდებ, რომელიც საკუთარი შვილების ზურგს არ ეფარება და მზადაა, იტვირთოს პასუხისმგებლობა. ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ მომიტინგეები, რუსთაველზე, სამი სენიდან ერთ-ერთს მაინც ვერ გაუმკლავდებიან. ან შიში წაახდენთ – ხელისუფლება მუდმივად დესტაბილიზაციით იმუქრება, ან ნიჰილიზმი დაძლევთ – ფიქრი იმისა, რომ მაინც არაფერი შეიცვლება, ან სიზარმაცე მოერევათ და ყველაფერს თავს დაანებებენ. არავითარი დესტაბილიზაცია არ იქნება, შეცვლითაც ყველაფერი შეიცვლება, თუკი ქვეყნის, ერთმანეთის ერთგულები ვიქნებით. ჩვენ ვიგებთ ბრძოლებს. დროა, ომის მოგებაც ვისწავლოთ."**

გაზეთი
ბათუმელები
NEWSPAPER BATUMELEBI www.internews.ge/batumelebi
batumelebi@batumi.net
დამოუკიდებელი პრესის არსებობის პრეცედენტი აჭარაში

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ოპოზიციასა და ხელისუფლებას დიალოგისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, ეკლესია მზად არის, ორივე მხარის სურვილის შემთხვევაში, მხარეებისთვის მისაღები სახით მონაწილეობა მიიღოს პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტაში. გუშინ საქართველოს საპატრიარქომ კათოლიკოს-პატრიარქის ეს მიმართვა გაავრცელა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ახალციხე.** გუშინ დილით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის პროცესი დროებით შეწყდა, რადგან მუშებმა, ხელფასების გაუცემლობის გამო, საპროტესტო აქცია მოაწყვეს. მათ ახალციხიდან ბაკურიანის მიმართულებით ნავთობის მილების გადაზიდვა შეწყვიტეს. დილიდან ბაკურიანის გზაზე მილსადენის მილებით დატვირთული 10 მანქანა ადგილიდან არ დაძრულა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "განათლების ეროვნული კავშირი" მხარს უჭერს საქართველოს პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციის მონაწილეთა მოთხოვნას პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომის თაობაზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პროფესიული კავშირების გაერთიანება შეშფოთებულია ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით, ამასთან მხარს უჭერს ბოლო დღეებში ოპოზიციის მიერ მოწყობილ საპროტესტო აქციებს, რომელიც ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას ან პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომას მოითხოვს, რადგან, სხვაგვარად, ქვეყანაში ყოველთვის იქნება კორუფცია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში იმყოფებიან იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ექსპერტები ბერნარ ბიზე და ანდრეი ტომაშევსკი, რომელთაც საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი მასპინძლობს. სტუმრები იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შესული ძეგლების – სვეტიცხოვლის, ბაგრატისა და გელათის ტაძრების მონიტორინგს განახორციელებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციას ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების ნაწილი შეუერთდა. უნივერსიტეტის რექტორის რამაზ ხუროძის განცხადებით, ყველას აქვს უფლება გამოხატოს თავისი პოზიცია, მათ შორის სტუდენტებსაც, თუმცა მიაჩნია, რომ ახლა ცივი გონებაა საჭირო. ქუჩა არ არის გადაწყვეტილების მიღების ადგილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს დედაქალაქის ზოგიერთ მაღაზიაში პურის ფასმა ისევ 5-10 თეთრით მოიმატა. პურპროდუქტებისა და მარცვლეულის ხარისხის კონტროლის ინსპექციის უფროსი გურამ გეწაძე აცხადებს, რომ პურის გაძვირების რეალური მიზეზი, ამჟამად არ არსებობს; ზოგიერთმა არაკეთილსინდისიერმა მეწარმემ ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური ვითარებით ისარგებლა და ფასები გაზარდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი** „ინვალიდთა, ვეტერანთა და დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციათა ასამბლეის" წევრებმა, რომლებიც ცოტა ხნის წინათ სახელმწიფო კანცელარიის წინ საპროტესტო აქციებს მართავდნენ, პარლამენტის შენობასთან გადაინაცვლეს და იქ მიმდინარე აქციას შეუერთდნენ. ისინი მხარს უჭერენ გაერთიანებული ოპოზიციის მოთხოვნას — გადადგეს საქართველოს პრეზიდენტი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს დილის 11 საათზე მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომა საბოლოოდ დააფიქსირებს თავის პოზიციას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ფილოსოფოსი გურამ თევზაძე და აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე დაპირისპირებულ მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მუნიციპალური ბიუჯეტით გათვალისწინებული დედაქალაქის მაღალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში 700-მდე ლიფტის აღდგენითი სამუშაოები, რომლებიც შპს „თბილლიფტსა" და მის ქვეკონტრაქტორებს – „თბილხელსაწყოს" და „კომპიუტერლენდს" უნდა შეესრულებინა, დაუფინანსებლობის გამო შეჩერებულია. გათვალისწინებული ორი მილიონი ლარიდან ნახევარია გამოყოფილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი ლიანა შეწირული მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო პროცესის განახლებაში მხარდაჭერას სთხოვს და აცხადებს, რომ პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციებმა სასწავლო პროცესის წარმართვაზე ზეგავლენა არ უნდა იქონიოს. უკვე მეორე კვირაა, პირველ კლასიკურ გიმნაზიაში სწავლა, მოსწავლეთა გამოუცხადებლობის გამო, შეწყვეტილია. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სამართალდამცველი ორგანოები ოპოზიციის მიერ გუშინ დაგეგმილ სახელმწიფო ობიექტების პიკეტირებას არ დაუშვებენ. ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში განაცხადა.

მინისტრის თქმით, ჯერჯერობით, არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია იმის თაობაზე, როგორ იმოქმედებენ "ნაციონალური მოძრაობის" რეგიონებში გასვლასთან დაკავშირებით. "თუმცა, დაგეგმილი ღონისძიებებიდან გამომდინარე, აუცილებლად დადგება ის საკითხი, თუ რა ქმედება უნდა განახორციელონ ამ შემთხვევაში სამართალდამცველმა ორგანოებმა", – ამბობს ნარჩემაშვილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის საბჭოში დაიწყო პროკურორების ტესტირების გავლის მსურველ იურისტთა საბუთების მიღება. ამ ერთთვიან პროცედურას ტესტირების ორგანიზატორები 20 ნოემბერს დაასრულებენ. იუსტიციის საბჭოს ინფორმაციით, ამ დროისათვის ტესტირებაში მონაწილეობის მსურველ 570-ზე მეტ იურისტს საბუთები უკვე წარდგენილი აქვს. პროკურორების ტესტირება პარლამენტის სხდომათა დარბაზში 6 დეკემბერს გაიმართება.

პროკურორების ტესტირების პირველი ეტაპი ერთი წლის წინათ დაიწყო. 2002 წლის დეკემბრიდან 2003 წლის მარტამდე მასში მონაწილეობა 2136 მოქმედმა პროკურორმა და იურისტმა მიიღო. მათ შორის 2087-მა დადებითი ქულა დააგროვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს თბილისის საოლქო სასამართლოში, ქისტი რამზამ დუიშვილის მკვლელობის საქმის განხილვა 25 ნოემბრისათვის გადაიდო. ამის მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ საქმეში დაზარალებულად ცნობილია მოკლულის ბიძა და არა მამა.

რამზამ დუიშვილი, რომელიც პანკისის ხეობაში განლაგებული შინაგანი ჯარების მოხალისე ჯარისკაცი იყო, 15 ივლისს ჯარისკაცებს შორის გამართული ფეხბურთის მატჩის დროს ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ავტომატიდან გასროლით მოკლეს.

განსასჯელის სკამზე ზის შინაგანი ჯარების ოფიცერი თემურ ბენდუკაძე, რომელიც სამართალდამცველებს მკვლელობის დღეს თავად ჩაბარდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ადვოკატთა ტესტირების სამი ეტაპი, რომელიც 5, 8 და 9 ნოემბერს საპარლამენტო სხდომათა დარბაზში ჩატარდა, 464-მა იურისტმა გაიარა, მათ შორის 289 იურისტმა დადებითი ქულა მიიღო. ადვოკატთა ტესტირება ამ თვეში კიდევ ოთხ ეტაპად გაიმართება. 15 და 16 ნოემბერს ტესტირებას გაივლიან სამოქალაქო სამართლის, ხოლო 22 და 23 ნოემბერს - სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, მაყაშვილის ქუჩაზე ჩამოწოლილი მეწყერის შედეგად სამი ადამიანის – გოჩა კაპანაძის, იოსებ მოდებაძისა და გიორგი ხურციანიძის გარდაცვალების ფაქტზე შრომის წესების დარღვევის მუხლით აღძრულ საქმეს თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურა იძიებს. მეწყერმა მაყაშვილის ქუჩაზე მდებარე შპს „ჯორჯიანას" ავტოგასამართი სადგური დაანგრია, რასაც სადგურის ორი თანამშრომელი და ერთი მომხმარებელი ემსხვერპლა.

როგორც მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურორმა მირზა დოლიძემ განაცხადა, გამოძიება თავდაპირველად გაარკვევს, რით იყო მოტივირებული სასამართლოს გადაწყვეტილება – ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის ნებართვა გაეცა.

მაყაშვილის ქუჩაზე, სადაც, გეოლოგთა მტკიცებით, დამეწყრილი ზონაა, მსგავსი მშენებლობა არ უნდა განხორციელებულიყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ახმეტა.** უშიშროების სამინისტროს კახეთის სამხარეო სამსახურმა პანკისის ხეობის სოფელ დუისში, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სოფლის საკრებულოსა და საშუალო სკოლის შენობები გაჩხრიკა. ჩხრეკის შედეგად, სკოლის შენობის სხვენიდან ორ ტომარაში მოთავსებული ტყვია-წამალი, ხელყუმბარები - ეგრეთ წოდებული "ლიმონკები", ჯავშანჟილეტები და სამხედრო ჩოგრიტები ამოიღეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ეს ყველაფერი, შესაძლოა, იმ ჩეჩენ ბოევიკებს ეკუთვნოდათ, რომლებმაც ხეობა უკვე დატოვეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გუშინ განმწესრიგებელი სხდომა ჩაატარა საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსის ლევან ტაბაღუას მკვლელობის საქმეზე.

ტაბაღუას მკვლელობის ბრალდებით, განსასჯელის სკამზე ეროვნული გვარდიის სპეცფონდების ყოფილი ხელმძღვანელი მიხეილ კერესელიძე ზის.

ლევან ტაბაღუა 2003 წელს, 10 იანვარს გაუჩინარდა. რვა დღის ძებნის შემდეგ მისი გვამი სოფელ ნიჩბისთან, დიდგორის ველზე აღმოაჩინეს. გუშინდელ სასამართლო პროცესზე კერესელიძის ადვოკატმა ეკა ბესელიამ მისი დაცვის ქვეშ მყოფის გათავისუფლება მოითხოვა. ამის მოტივად ადვოკატმა პროკურატურის მიერ საქმის გამოძიების 9-თვიანი საპროცესო ვადის დარღვევა დაასახელა. საქმის ძიება 19 აგვისტოს ნაცვლად, 27 აგვისტოს დასრულდა. ადვოკატის მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა. საქმის განხილვა 21 ნოემბერს დაიწყება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინწინ საქართველოში აღირიცხა 11 დანაშაული, გახსნილია – სამი. მოხდა ერთი მკვლელობის მცდელობა; ჯანმრთელობის დაზიანების სამი შემთხვევიდან გაიხსნა ერთი; მოხდა ერთი ხულიგნობა; ქურდობის ხუთი შემთხვევიდან გაიხსნა ერთი; ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით დაფიქსირდა ოთხი შემთხვევა; დაკავებულია ერთი ძებნილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში მცხოვრებმა დავით ყოჩაშვილმა პოლიციას ნებაყოფლობით ჩააბარა ხელყუმბარა „ფ-1". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ისან-სამგორის რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში მცხოვრები ოლეგ მასპანოვი, რომელმაც გაქურდა მეტროს სადგურ „ავლაბრის" მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სავაჭრო ჯიხური, რომელიც მოქალაქე ლეილა შამუგიას ეკუთვნის. **მედია-ნიუსი**

# გრიგოლ ხურცილავა კვლავ მოწმეთა ჩვენებებს ისმენს

ხათუნა ჯანგირაშვილი

გუშინ საოლქო სასამართლოში გიორგი სანაიას მკვლელობაში მსჯავრდებულის, გრიგოლ ხურცილავას სასამართლო პროცესი განახლდა. შეგახსენებთ, გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მიერ ხურცილავასთვის გამოტანილი განაჩენი დაზარალებულმა მხარემ და მსჯავრდებულის ადვოკატმა გაასაჩივრეს. სანაიას მეუღლე საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატას ხურცილავასთვის გამოტანილი განაჩენის გაუქმებას, მკვლელობის მოტივის დადგენას და იმ ხარვეზებისა და კანონდარღვევების გასწორებას ავალებს, რაც გამოძიებამ და რაიონულმა სასამართლომ დაუშვეს. მკვლელობის მოტივის დაუდგენლად გამოტანილ 13-წლიანი პატიმრობის განაჩენს მსჯავრდებულის ადვოკატიც აპროტესტებს და მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის ხელახალი ექსპერტიზის დანიშვნას მოითხოვს.



ხურცილავას ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის ხელახალი ექსპერტიზის დანიშვნას მოითხოვს.

წინა პროცესზე, სააპელაციო კოლეგიის მოსამართლეთა დიდი სჯა-ბაასის შემდეგ გადაწყდა, რომ ყველაფრის გასარკვევად, საოლქო სასამართლოში ხელახლა უნდა დაიკითხოს თავად მსჯავრდებული და გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში დაკითხული ყველა მოწმე.

გუშინდელ ხანმოკლე პროცესზე, გრიგოლ ხურცილავას სიდედრი დაკითხეს, რომლის ჩვენებაც გამოძიებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის მიცემული ჩვენების იდენტური იყო. დასაკითხად დაბარებულმა გრიგოლ ხურცილავას მეუღლემ სასამართლო კოლეგიას ჩვენების მიცემაზე უარი განუცხადა. "ვიყენებ კანონით მინიჭებულ უფლებას. ოჯახის წევრის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემაზე უარს ვამბობ", - ასეთი გახლდათ მსჯავრდებულის მეუღლის პოზიცია. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ, გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში გამართულ საჩვენებელ პროცესზე ხურცილავას მეუღლემ ჩვენების მიცემა დააპირა, თუმცა მის ამ მოქმედებას განსასჯელისგან პროტესტი მოჰყვა. ხურცილავამ მეუღლეს ჩვენების მიცემა სახალხოდ, ყვირილით აუკრძალა.

გუშინდელ პროცესზე კვლავ იმ სატელეფონო მოსმენებზე იყო საუბარი, რომლის გამოქვეყნებას ხურცილავას ადვიკატი კატეგორიულად ითხოვდა. მისი ეს მოთხოვნა მოსამართლე ნანა გუგუნაშვილმა არ დააკმაყოფილა. საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ კი გუშინ გადაწყვეტილება მიიღო, ბრალდების მოწმეების დაკითხვის შემდეგ გამოქვეყნდეს ის დოკუმენტი, რომელიც საქმეში დევს და საიდუმლო სატელეფონო საუბრებს შეეხება. ადვოკატ დავით დადიანის მტკიცებით, ეს სატელეფონო მოსმენები კანონით გათვალისწინებული ნორმების ფარგლებში – სასამართლოს მიერ გაცემული სანქციის საფუძველზეა მოპოვებული. თუმცა, როგორც ხურცილავას ადვოკატი ირწმუნება, ამ დოკუმენტის შინაარსი თავადაც არ იცის.

ვის მოუწევს შემდეგ სასამართლო პროცესზე ჩვენების მიცემა და შეცვლის თუ არა რომელიმე მოწმე გამოძიებისთვის და პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებას, წინასწარ ძნელი სათქმელია. ფაქტია, სანაიას მეუღლისა და ხურცილავას ადვოკატის საჩივრების განხილვა საოლქო სასამართლოში კარგა ხანს გასტანს, რადგან დასაკითხ მოწმეთა სია საკმაოდ ვრცელია. თავად მსჯავრდებული ჯერ დუმილის უფლებას იყენებს და ჩვენების მიცემას მხოლოდ მოწმეების დაკითხვის დასრულების შემდეგ აპირებს.

# მკვლელი მილიონერი სასამართლომ გაამართლა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ არ სცნეს ექსცენტრული ნიუ-იორკელი მილიონერი რობერტ დარსტი, რომელსაც 71 წლის მეზობლის მორის ბლეკის მკვლელობა და მისი გვამის დანაწევრება ედებოდა ბრალად.

თუმცა, გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემდეგაც დარსტი ციხეში რჩება – მას ჯერ კიდევ მოუწევს პასუხისგება იმის გამო, რომ მკვლელობისა და გვამის დანაწევრების შემდეგ მართლმსაჯულებისგან დამალვა სცადა. იგი ექვსი კვირა იმალებოდა, ბოლოს კი პენსილვანიის შტატში დააკავეს, როდესაც მაღაზიაში სენდვიჩი მოიპარა. სხვათა შორის, ამ წვრილმანი ქურდობის დროს, რის გამოც 2-დან 10 წლამდე პატიმრობა ემუქრება, დარსტს ჯიბეში ასეულობით დოლარი ედო.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარე ცდილობდა, დარსტი ცივსისხლიან მკვლელად წარმოეჩინა. ბრალმდებლის მტკიცებით, მან წინასწარ დაგეგმა მეზობლის მკვლელობა, რათა მისი საბუთები მოეპარა და სახელი და გვარი მიეთვისებინა. პროკურორის თქმით, დარსტს ვინაობის შეცვლა და მიმალვა მისი პირველი ცოლის გაუჩინარების გამო პასუხისმგებლობის ასაცილებლად სჭირდებოდა.

დაცვის მხარის მტკიცებით კი, დარსტმა შემთხვევით მოკლა ბლეკი, როდესაც ის თოფით მიუვარდა სახლში. მერე კი, იმის შიშით, რომ არავინ დაუჯერებდა, პანიკაში მყოფმა, გვამი დაანაწევრა და გალვესტონის ყურეში გადააგდო.

ბლეკის სხეულის ნაწილები მკვლელობის დღესვე იპოვეს, თუმცა მისი თავი დღემდე არ არის ნაპოვნი. სასამართლო პროცესზე დარსტმა თქვა, რომ ბლეკთან მეგობრობდა, თუმცა კი ისინი ხშირად ჩხუბობდნენ. დანაშაულის დღეს კი, განსასჯელის მტკიცებით, ბლეკი მასთან სახლში თოფით მივარდა. მათ შორის ჩხუბი ატყდა. ჩხუბისას დარსტი ცდილობდა მეზობლისთვის თოფი წაერთმია და შემთხვევით სასხლეტზე გამოეკრა ხელი.

დარსტის თქმით, თავდაპირველად იგი ცდილობდა დახმარება აღმოეჩინა მეზობლისთვის, თუმცა, როცა მიხვდა, რომ ის კვდებოდა, შეეშინდა და გვამის დამალვა გადაწყვიტა.

სასამართლოს 60 წლის მილიონერი დამნაშავედ რომ ეცნო, მას 99 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, თუმცა, ნაფიცმა მსაჯულებმა ბრალდების მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისად ჩათვალეს საიმისოდ, რომ განსასჯელი დამნაშავედ ეცნოთ და ხუთდღიანი ფიქრის შემდეგ გამოიტანეს განაჩენი – "უდანაშაულოა". ერთ-ერთმა მსაჯულმა ისიც აღნიშნა, რომ სასამართლო პროცესის მსვლელობისას აზრი რამდენჯერმე შეიცვალა.

რობერტ დარსტის ოჯახი ნიუ-იორკში ერთმილიარდიანი კაპიტალის მქონე ფირმას ფლობს, თუმცა, როგორც ამბობენ, თავად მდიდარი მემკვიდრე თითქმის მათხოვრულად ცხოვრებას ამჯობინებდა.

# აჭარული სასამართლო კანონიერების წინააღმდეგ

ხათუნა ჯანგირაშვილი

*როგორც მოსალოდნელი იყო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ, არჩევნების დღეს ქობულეთის პოლიციის მიერ უკანონოდ დაკავებული დამკვირვებელი გიორგი მშვენიერაძე გუშინ პატიმრობაში დატოვა.*

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრის, დამკვირვებლის მოვალეობის შემსრულებლის საქმემ, ქობულეთის სასამართლოდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში მას შემდეგ გადაინაცვლა, რაც უკანონოდ დაკავებული დამკვირვებლის ადვოკატებმა ქობულეთელი მოსამართლეების მიერ მშვენიერაძისთვის დაწესებული სამთვიანი პატიმრობა გაასაჩივრეს. თუმცა, უმაღლესმა სასამართლომ ძალაში დატოვა რაიონულის გადაწყვეტილება და გიორგი მშვენიერაძეს, რომელიც აჭარელმა სამართალდამცველებმა მხოლოდ იმისთვის დააკავეს, რომ მან N84 საარჩევნო ოლქის სოფელ დაგვის N23 საარჩევნო უბანში მიმდინარე დარღვევები გააპროტესტა, აღმკვეთ ღონისძიებად სამთვიანი პატიმრობა დაუტოვა. რაც მთავარია, არჩევნებისთვის ხელის შეშლის ბრალდებით დაკავებულ დამკვირვებელს, რამდენიმე დღეში ბრალდება შეუცვალეს, ანუ დაუმძიმეს და ხულიგნობის მუხლი წაუყენეს. მშვენიერაძეს ხულიგნობის მუხლის იმ ნაწილით გაასამართლებენ, რომელიც შვიდ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

**"ჩვენ გვქონდა საკმარისი საფუძვლები იმისთვის, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსთვის მოგვეთხოვა მშვენიერაძისთვის მისჯილი წინასწარი სამთვიანი პატიმრობის გაუქმება. ადამიანი ისჯება მხოლოდ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კანონის დამრღვევებს კანონიერებისკენ მოუწოდა. გავრცელებული ინფორმაცია, რომ მშვენიერაძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ამომრჩეველს და უცხოელ დამკვირვებლებს, სიმართლეს არ შეეფერება. საქმეც ისაა, რომ მის წინააღმდეგ საქმე ცრუ ბრალდებებით "შეიკერა". გამოძიება მიკერძოებულად და არაობიექტურად ჩატარდა",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მშვენიერაძის ადვოკატმა ნატო დავითაძემ, რომელიც მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის აჭარელი სამართალდამცველების მიერ წაყენებული ბრალდების მოხსნის მოთხოვნით, უახლოეს დღეებში, საჩივრის შეტანას გენერალურ პროკურატურაში აპირებს.

**"თავიდანვე გვქონდა ეჭვი, რომ მშვენიერაძის საქმის გამოძიება არაობიექტურად წარიმართებოდა. ამის საფუძველი გახლავთ ისიც, რომ დაკავებულ დამკვირვებელს, აჭარაში, თავიდანვე "ნაციონალური მოძრაობის" წევრად ნათლავდნენ, ამიტომაც არის მისი დასჯით დაინტერესებული აჭარული მართლმსაჯულება. მშვენიერაძე არ გახლავთ "ნაციონალური მოძრაობის" წევრი, ის "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" იურისტია. რაც ყველაზე მთავარია, სასამართლომ არ გაითვალისწინა არც მისი ოჯახური და არც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ერთი სიტყვით, გიორგი მშვენიერაძე უკანონობის მსხვერპლია",** - გვითხრა "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარემ.

# სასამართლოები საარჩევნო სარჩელებს განიხილავენ

პირველი გვერდიდან

საოლქო სასამართლომ განიხილა სახელისუფლებო ბლოკის სარჩელი ისანი-სამგორის რაიონიში №20, №29 და №36 საარჩევნო უბნების შედეგების გაუქმების შესახებ. მართალია, საოლქო სასამართლომ, №36 უბნის შედეგები გაუქმებულად ცნო, მაგრამ №20 და №29 უბნებზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა რაიონულ სასამართლოს მიანდო და ბიულეტენების ხელახლა დათვლა მოითხოვა. შეგახსენებთ, აღნიშნულ რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობისთვის ერთმანეთს ბლოკი "ბურჯანაძე-დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი და სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელი პანტიკო თორდია ეცილებიან.

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" და ბლოკი "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობის" სასარჩელო მოთხოვნაც, რითაც ისინი ბოლნისის არჩევნების ბათილად ცნობას მოითხოვდნენ. საოლქო სასამართლომ ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიას საუბნო კომისიიდან შესული ხმების ხელახლა დათვლა მოსთხოვა. ამასთან, კომისიამ ოთხ დღეში უნდა განიხილოს ის საჩივრები, რომელიც დამკვირვებლებმა დარღვევებთან დაკავშირებით შეიტანეს.

გუშინვე, საღამოს 7 საათზე თბილისის საოლქო სასამართლოში დაიწყო არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" სარჩელის განხილვა, რომელიც მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობას შეეხება.

"სამართლიანი არჩევნების" ინფორმაციით, ამ მოთხოვნას საფუძვლად დაედო მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი ერთმანეთისგან განსხვავებული ორი ოქმი, რომელშიც ხმების განსხვავებული რაოდენობაა დაფიქსირებული. არადა, ორივე ოქმი რეგისტრაციაში გატარებულია ერთი და იმავე ნომრით და თარიღით, რაც ხელმოწერილია და ბეჭდით არის დამოწმებული.

ამასთან, "სამართლიანი არჩევნების" ხელთ აღმოჩნდა უამრავი საბუთი, რომელიც ადასტურებს, რომ მთაწმინდის საარჩევნო ოლქის მოსკოვის №16 საარჩევნო უბანში არჩევნები გაყალბდა. კერძოდ, მათი თქმით, არჩევნებს, ფაქტობრივად, ატარებდა საქართველოს საელჩო რუსეთში, რომლის თანამშრომლებიც საარჩევნო კომისიების საქმიანობაში უხეშად ერეოდნენ. "სამართლიანი არჩევნების" ინფორმაციით, დაფიქსირებულია ფაქტები, რომლებიც 2 ნოემბერს 20.00 საათისთვის ხმების დათვლის პროცედურის დაწყების წინ ყველა დამკვირვებლის საარჩევნო უბნებიდან გამოძევებას ადასტურებს. არჩევნებზე, დღის განმავლობაში, მოსკოვის მთელ რიგ უბნებში, დამკვირვებლების ინფორმაციით, საშუალოდ 50-100 ამომრჩეველი მოვიდა, ხოლო მოსკოვის საუბნო ოქმებში თითქმის ყველგან დაფიქსირებულია გაათმაგებული ციფრები.

სხვათა შორის, აღნიშნულ პროცესზე მოსარჩელე მხარეებად გამოვიდნენ "ლეიბორისტული პარტია", ბლოკი "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა" და ბლოკი "ერთობა", რომელთა დამკვირვებლები ასევე ადასტურებენ აღნიშნულ ფაქტებს.

მთაწმინდასთან დაკავშირებით სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, დღეს გახდება ცნობილი.

საოლქო სასამართლოში დაწყებული პროცესით კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა საბურთალოს არჩევნებიც. სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელი ირაკლი მაჭავარიანი, რომელსაც არჩევნებში გამარჯვების არანაირი შანსი არ ჰქონდა და აქამდე პროტესტიც არ გამოუთქვამს, 19 უბანში არჩევნების გაუქმებას ითხოვს. საბურთალოში ამჟამად გამარჯვებული მაჟორიტარი დეპუტატის გივი თარგამაძის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატის მოთხოვნას, საბურთალოს არჩევნები საერთოდ გაუქმებულად ჩაითვლება. ამ პროცესზეც მართლმსაჯულება გადაწყვეტილებას დღეს გამოიტანს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ამ დღეებში მეორედ მოუწევს მარნეულის არჩევნების შედეგებზე მსჯელობა. გუშინწინ საღამოს საოლქო სასამართლოში მარნეულის არჩევნებთან დაკავშირებული პროცესი გუშინ მოსარჩელეს - არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მარცხით დასრულდა. სასარჩელო მოთხოვნით, მართლმსაჯულებას მარნეულის არჩევნების შედეგები ბათილად უნდა გამოეცხადებინა. მაგრამ ასოციაციის სარჩელი სასამართლომ არ დააკმაყოფილა და მარნეულში ჩატარებული არჩევნები კანონიერად სცნო.

გუშინვე მარნეულის რაიონის სასამართლოში მარნეულის 10 უბნის შედეგების გაუქმებას მოითხოვდნენ "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები. მაგრამ მოსამართლემ საქმის წარმოება იმ მოტივით შეწყვიტა, თითქოს "სამართლიანი არჩევნები" საოლქო სასამართლოში, მარნეულთან დაკავშირებით შემდგარ პროცესზე მხარეს წარმოადგენდა. სწორედ აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებენ "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები საოლქო სასამართლოში.

ერთი სიტყვით, არჩევნებთან დაკავშირებული სასამართლო დავები გრძელდება. საბოლოოდ, მართლმსაჯულების გადაწყვეტილებები არჩევნების შედეგებზე რა გავლენას მოახდენს, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

# კიევში ორი მღვდელი მოკლეს

უკრაინის დედაქალაქში დაუდგენელმა პირებმა უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ორი მღვდელი მოკლეს. კიევის პოლიციის ცნობით, ეკლესიის ორი მსახურის – 36 და 42 წლის ადამიანების გვამები დედაქალაქის ერთ უბანში, საცხოვრებელ ბინაში აღმოაჩინეს. მღვდლებისთვის დაუდგენელ დამნაშავეებს დანით რამდენიმე ჭრილობა მიეყენებინათ. წინასწარი ინფორმაციით, დაღუპულები ქირით ცხოვრობდნენ ბინაში, სადაც ისინი იპოვეს.

# საზღვარზე ერთი ტონა ჰეროინი დააკავეს

ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე მესაზღვრეებმა ერთ ტონაზე მეტი ჰეროინი ამოიღეს. დაკავებული ნარკოტიკის საერთო ღირებულება შავ ბაზარზე 6 მილიონი დოლარია.

ამოღებულ ნარკოტიკებთან კავშირის ბრალდებით დაკავებულია ავღანეთის ექვსი მოქალაქე, თავად ნარკოდილერებმა კი, ორმხრივი სროლის შემდეგ, მიმალვა მოახერხეს.

პაკისტანის პოლიცია ამტკიცებს, რომ ჰეროინი ავღანეთის სასაზღვრო პროვინცია გილმენდიდან მოჰქონდათ.

# „ვაშინგტონელი სნაიპერი" საკუთარ თანამოაზრეზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდა

როგორც ცნობილია, წელიწადნახევრის წინ ვაშინგტონისა და მისი შემოგარენის დამტერორებელ წყვილს, რომელთაც 10 ადამინის მკვლელობაში ადანაშაულებენ, ცალ-ცალკე ასამართლებენ. თუმცა, 42 წელს მიღწეულ ჯონ ალენ მუჰამედსა და 18 წლის ლი ბოიდა მალვოს მკვლელობების ჩადენა თანაბრად ედებათ ბრალად. ამჟამად კი "ვაშინგტონელ სნაიპერებად" მონათლულ დამნაშავეთაგან უმცროსის, ლი ბოიდა მალვოს ადვოკატები მათი დაცვის ქვეშ მყოფის პროცესზე უფროსი "სნაიპერის" დაკითხვას ითხოვენ. ადვოკატების აზრით, მალვო მუჰამედის მხრიდან ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდიდა. ადვოკატებს სურთ დაამტკიცონ, რომ მუჰამედი ზეწოლას ახდენდა მალვოზე და აიძულებდა მას დანაშაული ჩაედინა.

სასამართლო პროცესზე ისინი მუდმივად იმეორებენ, რომ მალვო მუჰამედის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული და დანაშაულის ჩადენის დროს საკუთარ საქციელს ვერ აცნობიერებდა.

მალვოს ადვოკატების მოთხოვნას მუჰამედის იურიდიულ წარმომადგენელთა მხრიდან პასუხი ჯერ არ მოჰყოლია.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
■ აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
■ ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

# თავისუფლება ჩემი რჯულია

**სოფო მიქიაშვილი**
*თბილისის 161 საშუალო სკოლა*

რა არის მშვიდობა... რამდენი ასპექტი შეიძლება მოვუძებნოთ ამ სიტყვას, რამდენი რამ შეიძლება იგულისხმებოდეს მასში... რამდენი მეოცნების ცრემლიანი თვალები, ქარქაშიდან ამოღებული ხმალი, რამდენი ადამიანის აჯანყებული გული შეიძლება დავუპირისპიროთ მას.

თითოეული თქვენთაგანი მოდებულია წურბელასავით ამ ყველაზე გასაგებ გაუგებრობას-ცხოვრებას და წოვს, წოვს სისხლის ბოლო წვეთამდე. არასწორია და სასაცილოც, როცა უცხო თვალით შეხედავ ამ დროს შენ თავს... ცხოვრება ხომ ერთადერთი ზღაპარია, რომელიც არ იწყება სიტყვებით "იყო და არა იყო რა", მაგრამ ამ სიტყვებით კი მთავრდება და დასრულებისას, გარდაუვალი ხვედრისას, რომელშიც შექმნის სათავეა დაგეგმილი და ნაგულისხმევი, სევდიანმა, თუმცა ბედნიერმა არ თქვა: "მე ვიწვალე, ვიშრომე, ვისწავლე, შევიყვარე, ვიცხოვრე და მშვიდად დავასრულე ჩემი სიცოცხლე". ნუთუ ამ ჩვეულებრივი სიტყვის დამსახურება ასე რთულია, ასე მიუწვდომელი და წინააღმდეგობებით აღსავსე?.. რა გვევალება და რისი გაკეთება შეგვიძლია? შეგვიძლია: ვიცხოვროთ ერთმანეთისთვის, ვიცხოვროთ არა მარტო საკუთარი, არამედ გარშემომყოფთა ბედნიერებისათვისაც, რადგან შეუძლებელია ირგვლივ იყოს ქაოსი, უთანხმოება და შენ ამ დროს თავს კარგად გრძნობდე. როგორ ადვილად შეგიძლია შენ, ახლა, ვინც ამას კითხულობ, ხვალიდანვე დაიწყო მშვიდობიანი ყოფის შესაქმნელი საძირკვლის ჩაყრა, აგურის დადება. და დამერწმუნე, თუ შენ, დღეს, შენს მეგობარს აპატიებ, შენს ახლობელს დაეხმარები, შენი სამშობლოსათვის მთელი დღის განმავლობაში სულ ცოტას მაინც გააკეთებ, ყველაფერი საოცრად აეწყობა. ჩინელები ამბობენ "ასი მილი გზის გავლა ერთი ნაბიჯით იწყებაო." მოდით გადავდგათ ეს ერთი ნაბიჯი.

**რუსუდან კოხოძე**
*ბაღდათის რ-ნის სოფ. ფერსათის საშუალო სკოლა*

"სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერარას არგებს მამულსა".

ჩვენი ვალია ვიყოთ ღირსეული მამულიშვილები.

ამ ქვეყნად ყველაფერი იბადება, ცოცხლობს და მერე კვდება. ასევეა ადამიანიც, რომლის გარდაცვალების შემდეგ სამყაროში მხოლოდ მისი სახელი და ნამოღვაწარი რჩება.

**ხატია ჩოგოვაძე**
*თბილისის I კლასიკური გიმნაზიის მოსწავლე*

მეორე კლასიდან თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში ვსწავლობ. ესაა ჩემთვის ყველაზე ხელშეუხებელი განცდა. სკოლა, რომელიც 1992 წლის ომის შედეგად ნანგრევად იქცა, მალევე ალადგინეს. თუმცა ყოველთვის მგონია, რომ მის კედლებს სადღაც მაინც სტკივა, სადღაც მაინც ეტყობა ნატყვიარი! ეს განცდა მხოლოდ სკოლის შიგნით მეუფლება, სკოლის გარეთ, ანუ შენობის წინ, რუსთაველის პროსპექტზე ხშირად სრული ქაოსია. ხან - მიტინგი, ხან - აქცია, ხანაც - პოლიციის მრავალრიცხოვანი რაზმი. იქვე ცხოვრება თავისით მიდის, ადამიანები დაბაკუნობენ ქუჩაში, თითქოს ყველა შეეჩვია ასეთ სურათს. ადამიანები ცალ-ცალკე დგანან!

ისეთ ქვეყანაზე ვოცნებობ, ილია ჭავჭავაძეს რომ წარმოედგინა. ენერგიადაცლილ ქვეყანაში ილია არ იბადება! "ცარიელი მშვიდობაც" არაფრის მაქნისია. ყველა ახალგაზრდამ თავისი თავი უნდა იპოვოს.

... თუ მშვიდობას სხვას სთხოვ, არასოდეს გექნება მშვიდობა. თუ დამოუკიდებლობას სხვას სთხოვ, ვერასოდეს დამოუკიდებელი ვერ გახდები!

**ნანა კალანდარიშვილი**
*161-ე საშუალო სკოლა*

მშვიდობის მისაღწევად დიდი და გრძელი გზაა გასავლელი და ალბათ, ყველაზე რთული პირველი ნაბიჯების გადადგმაა. მთავარია იყოს სურვილი და იმის რწმენა, რომ შენი მცდელობა ნაყოფს გამოიღებს.

ჩვენმა თაობამ უნდა შეძლოს პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება და პირველი ნაბიჯების გადადგმა. ის კი ყოველგვარი პრაქტიკის გარეშე, რთულიცაა და მიზანშეუწონელიც. იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა მიიღონ ერთგვარი გამოცდილება და ისწავლონ თავის ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება, ისინი უნდა მიეჩვიონ თავისუფალ აზროვნებას, საკუთარი აზრის გამოთქმასა და დასაბუთებას, შენიშვნების მიღებასა და გათვალისწინებას.

თუ საზოგადოების თითოეული წევრი თავისუფლად აღზრდილი არ იქნა, მაშინ ზედმეტია ლაპარაკი კონფლიქტების მოგვარებაზე. თუნდაც იმიტომ, რომ საზოგადოება გაიმეორებს იმას, რასაც მასზე ძლიერი იტყვის.

ცალკეული თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი იმდენის გაკეთებას ნამდვილად ვერ შეძლებს, რასაც თავისუფალი საზოგადოება. თორემ ისე, ცხოვრება დაემსგავსებოდა ომს მშვიდობის დროს.

**თამუნა სიფრაშვილი**
*თბილისის მე-2 ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლე*

დედამიწას შეიძლება ირგვლივ შემოუარო და დაბრუნდე, მაგრამ წარსულს ვერ მოუვლი მოსაბრუნებლად! ახალგაზრდობას ხნიერი ველარ დაიბრუნებს, მაგრამ ეს არაა მთავარი, მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ გამოიყენე ეს წლები.

ბევრი მშვიდობის მოსაპოვებლად დაცემულა ბრძოლის ველზე, ისე, რომ ვერც კი გაუგია, მოიპოვა იგი თუ არა. ზოგი ფიქრობს, რომ მშვიდობა მიუწვდომელია, ბედს ურიგდება... ლაჩარია. შეიძლება ქვეყნად ყველაფერი რიგზე იყოს, მშვიდობა სუფევდეს, მაგრამ ადამიანი? ის ხომ ერთი პატარა სამყაროა, დიდი სამყაროს ერთი შეუმჩნეველი, მაგრამ მისი შემადგენელი, განუყოფელი ნაწილი.

ყოველი ახალგაზრდა უნდა ცდილობდეს მშვიდობის, ბედნიერების დაცვას. ხშირად სიტყვა უფრო მჭრელი და მოხერხებულია. საჭიროა სულის სიმაღლე! ხელის შეხება ადვილია, სულის შეხება ყოფილა ძნელი და უმთავრესი! ოდესღაც ვაჟა-ფშაველას ასე დაურიგებია მომავალი თაობა, რომლის ხელში მამიდან შვილზე გადასულა უდიდესი მოვალეობა თავისუფლების, მშვიდობის შენარჩუნებისა:

"ნუ დაისვენებ, ებრძოლე
მტერს მინამ გიდგა სულიო.
შვილო, მეც ეგრე ვიყავი,
ეგ არის ჩვენი რჯულიო".



## წერილები მთავრობას



**თეა ბეგიანაშვილი**
*თბილისის მე-60 საშუალო სკოლის მოსწავლე*

ოტია იოსელიანი თავის ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში წუხდა: რა დროს მშვიდობაა ამ დაქცეულ ქვეყანაში, მშვიდობა გვინდა? ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა, ამდენ უსამართლობას და უკანონობას ვაწყდებით.

მართლაც ძალისხმევაა საჭირო დღევანდელი პრობლემების გადასაჭრელად, და ახალგაზრდობა ასეთ შემთხვევაში საზოგადოების ყველაზე აქტიური ფენაა, რომელიც ძნელად ეგუება გულგრილობას და ადამიანის უფლებების აბუჩად აგდებას. ალბათ იმიტომ, რომ არ გვეშინია სავარძლების დაკარგვის და ქონების წართმევის.

ახალგაზრდობაა ერისათვის მშვიდობის მომტანი, და ახალგაზრდობის კეთილდღეობისთვისაა საჭირო მშვიდობა ქვეყანაში. სად უფრო საჭიროა მშვიდობა, შინ თუ გარეთ. სასურველია ყველგან ყველაფერი მოწესრიგებული იყოსო, მაგრამ ასე ხომ მხოლოდ ზღაპრებში ხდება. მე არ მინდა მქონდეს იდეალური მდგომარეობა ოჯახში, მაგრამ სახლს იქით ვაწყდებოდე უსამართლობას, დაჩაგვრასა და გულის ტკენას, ერთი სიტყვით, ჭუჭყს, ადამიანურ სულიერ სიბინძურეს. დღეს კი ადამიანებს შორის უფრო სიძულვილს ვაწყდებით. ეს ხდება ურთიერთობის ნებისმიერ დონეზე. ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკოსების სენი, ყველაზე ძვირფასად კი ადამიანებს შორის ურთიერთობა მიმაჩნია.

დიდი იმედი მაქვს იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კარგად იქნება, მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს, არ დაგვაგვიანდეს. არ მიყვარს გამოთქმა - სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. არა, არა, დაგვიანებულ სიხარულის ნაყოფს სიხარული აღარ ჰქვია, გადამწიფებული ნაყოფი სიხარული აღარ არის, ლპება. ბავშვი სუნთქვას აჩერებს, თუ დროულად არ დაიბადება.

მშვიდობა სჭირდებათ ახალგაზრდებს შემდგომი ცხოვრებისათვის. მშვიდობა კი სწორედ ახალგაზრდებმა უნდა მოიპოვონ.

**ჟანა გუმბერიძე**
*ბაღდათის რ-ნი სოფ. ოფჩა*

ჩვენც, საქართველოს ახალგაზრდობამ უნდა გავაკეთოთ შესაძლებლობების მაქსიმუმი: ჩვენი სწავლით, შრომით, სამშობლოს სიყვარულით, წინაპრების თაყვანისცემით და არ დავუშვათ, ვინმემ შელახოს ჩვენი სახელი, ჩვენი ღირსება, საქართველო ნაწილ-ნაწილ კი არა, საქართველო უნდა გვწამდეს მთლიანად. თუკი სამშობლოს სიკეთეს, კეთილდღეობას, ჩვენს მშვიდობიან, იმედიან მომავალს დასჭირდება, მაშინ მეც დიდი მგოსანივით მსხვერპლად შევეწირები.

"თუ ჩემს სამშობლოს გამოაღვიძებს ჩემი სიკვდილი,
აბა მეც მზად ვარ!"

**ესმა გვასალია**
*თბილისის 162-ე საშუალო სკოლის მოსწავლე*

ჩემს ცნობიერებაში ომი დიდი ტკივილი და ტრაგედიაა, რადგანაც მე მშობლიური ქალაქი სოხუმი დავკარგე. როდესაც ომი დაიწყო, ბევრ რამეში გარკვეული არ ვიყავი, არ ვიცოდი, თუ რას ნიშნავდა ის უბედურება, რომელიც თავს დაგვატყდა. დედას ხშირად ვეკითხებოდი, თუ რატომ უნდოდათ ჩვენი მოსპობა, რა დავაშავეთ? პასუხი ასეთი იყო: ჩვენ ვიყავით ქართველები და ამიტომ უნდოდათ გაძევება მშობლიური მიწა-წყლიდან. მტრებმა მიზანს მიაღწიეს - მე ჩემს მშობლებთან ერთად სოხუმი 28 სექტემბერს დავტოვე. გამოვედით ბოლო გემით, რომელიც გულრიფშის რაიონში სოფელ მაჭარასთან იდგა. ჩემი თვალით ვნახე, 27 სექტემბერს აფხაზები როგორ ზეიმობდნენ სოხუმის აღებას.

ომმა არავინ და არაფერი არ დაინდო.

ჩემი დიდი ოცნებაა - არასოდეს განმეორდეს ომი.



www.24hours.ge 24 B

არქივიდან

# "ნუ მიიღებთ ცალმხრივ და ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს"...

## ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილის სიტყვა

*საქართველოს პრეზიდენტმა, არჩევნების წინ, თავისი ახალი წიგნის პრეზენტაცია მოაწყო. წიგნში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი პრეზიდენტის თანამოაზრეთა რიცხვშია მოხსენიებული და მის გამოსათხოვარ პანაშვიდზე წიგნის ავტორის მიერ წაკითხული სიტყვაა დაბეჭდილი.*

*ალექსანდრე ჯავახიშვილი "მოქალაქეთა კავშირის" დამფუძნებელი არ ყოფილა. ის იქ მიიწვიეს და საქართველოს ფიზიკურად გადარჩენისთვის მივიდა... პარლამენტში მუშაობაზე თხოვნას კი იმ იმედით დათანხმდა, რომლის განხორციელებასაც მას ახალგაზრდა გუნდი ჰპირდებოდა. დღეს ისინი "ბურჯანაძე-დემოკრატებს" და "ნაციონალურ მოძრაობას" წარმოადგენენ.*

*უკომენტაროდ გთავაზობთ 25 წლის წინ მუზეუმში, იმდროინდელი ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან შეხვედრაზე ალ. ჯავახიშვილის მიერ წარმოთქმულ სიტყვას. ვფიქრობ, ის დღესაც აქტუალურია...*

*გ. ჯავახიშვილი*



ოთხი წელი გავიდა მას აქეთ, რაც თქვენ პირველად ესტუმრეთ საქართველოს მუზეუმს. იმჟამად მწვავედ იდგა ჩვენი ფილიალის - ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დაბინავების საკითხი. ამიტომ იყო, რომ მაშინ მე მოურიდებლად მოგახსენეთ, რომ მეგობრობის მუზეუმის შექმნა საქართველოს მუზეუმის ბაზაზე არ შეიძლებოდა, რადგან ეს სუსტი ბაზა თვით საქართველოს მუზეუმის ძირითად საჭიროებებსაც კი ვერ უზრუნველყოფდა. მაგრამ მოსახდენი მოხდა და ამის მძიმე შედეგები ჩვენთვის დღესაც მწვავედ საგრძნობია.

წარსულია, მაგრამ არ შემიძლია არ გავიხსენო: მეგობრობის მუზეუმის საორგანიზაციო კომიტეტის რეკომენდაციით, რომელსაც ქალბატონი ვიქტორია სირაძე მეთაურობდა, მინისტრთა საბჭომ ახალი მუზეუმის გამოფენისთვის მისცა საქართველოს მუზეუმის ზოოლოგიის განყოფილების ფონდებისა და გამოფენის კუთვნილი ფართობი, ხოლო ზოოლოგიის განყოფილების სათუთი და უნიკალური კოლექციებისა და გამოფენის დასაბინავებლად შეარჩია ორი ადგილი - მუხრანის ხიდის ქვეშ მოწყობილი დარბაზი და საბანკეტო დარბაზი ვაკეში. დამახასიათებელია, რომ საორგანიზაციო კომიტეტს ფიქრადაც არ მოსვლია პირუკუ მოქცეულიყო საბანკეტო დარბაზში, ან მუხრანის ხიდის ქვეშ გაემართა მეგობრობის მუზეუმის დროებითი გამოფენა, ხოლო ზოოლოგიის განყოფილება ადგილზე დაეტოვებინა.

მუზეუმმა მოახერხა შეენარჩუნებინა ზოოლოგიის განყოფილებისთვის მისი კუთვნილი სამი სართულიდან ერთი სართული და ამით გადაარჩინა საფონდო კოლექციები; გამოფენა კი დღემდე არ არის აღდგენილი, რის გამოც ჩვენ გამუდმებით ვღებულობთ დამსახურებულ საყვედურებს.

დღეს მეგობრობის მუზეუმი საკუთარ შენობაში გადავიდა, ხოლო უახლოეს მომავალში მას უნდა აუშენონ თანამედროვე ნაგებობა, მაგრამ ის არც ფიქრობს დაცალოს მისი დროებითი გამოფენის მიერ ჩვენთან დაკავებული ორი სართული იმ მოტივით, რომ საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ოთხი წლის თავზე რატომღაც ისევ არსებობს და განაგებს ამ ჩვენ ფილიალს, ახალ შენობაში ახალი გამოფენის გამართვას ავალებს. მოდის რაღაცა მითითებები თუ განკარგულებები, რომლებიც უყოყმანოდ უნდა შესრულდეს, იმის მიუხედავად, გონივრულია ისინი თუ არა. არც მუზეუმის დირექციას, არც მის სამეცნიერო საბჭოს არავინ არაფერს არ ეკითხება; კიდევ მეტი - სამეცნიერო საბჭომ სთხოვა მეგობრობის მუზეუმს, მოახსენოს ცენტრალურ კომიტეტს, თუ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, ე. ი. იმას, ვინც თითქოს მოითხოვს მისგან დროებითი გამოფენის დატოვებას საქართველოს მუზეუმში, ხოლო ახალ შენობაში სხვა გამოფენის გამართვას, რომ გამომდინარე საქართველოს მუზეუმისა და საერთო საზოგადოებრივი ინტერესებიდან, ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად უნდა დაიცალოს ზოოლოგიის განყოფილების კუთვნილი ფართობი, რათა იქ აღდგეს ოდინდელი გამოფენა. ამაზე ჩვენ წესიერი პასუხიც კი არ მიგვიღია.

ეს არის ერთი პატარა მაგალითი იმისა, თუ ხშირად როგორ წყდება ჩვენთან მნიშვნელოვანი საკითხები; ასეთი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება, მაგრამ მე დღეს უახლოესზე შევჩერდები: საქართველოს მუზეუმი და ხელოვნების მუზეუმი თავიანთი საუწყებო ხელმძღვანელობის მეშვეობით, იღებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტიდნ განკარგულებას სამუზეუმო კოლექციების აფხაზეთში გაცემის შესახებ ისე, რომ არც თქვენ - ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, არც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ არაფერი არ იცით. დღეს ამ დარბაზში გამოირკვა: თქვენ კვლავ არაფერი იცით იმის შესახებ, რომ რამდენიმე დღის წინათ გამართულ თათბირზე ვ. სირაძემ ისევ ილაპარაკა სამუზეუმო ნივთების აფხაზეთში გადაცემის თაობაზე, - საჯაროდ განაცხადა, რომ ცენტრალური კომიტეტის ეს განკარგულება შესრულებული იქნება. განა ეს ნორმალურია?

ყოველივე ამან არ შეიძლება შეშფოთება არ გამოიწვიოს და ამიტომაც იყო, რომ იმათთან ერთად, ვინც აალელვა აფხაზეთიდან მოსულმა ცნობებმა, მეც გთხოვეთ - ბოლოს და ბოლოს გეთქვათ ხალხისთვის რა ხდება სინამდვილეში, ვინ რას მოითხოვს ჩვენგან და რის გაკეთებას აპირებთ თქვენ, რესპუბლიკის ხელმძღვანელები. მე კარგად მესმის, თუ რატომ გიჭირთ ამ თხოვნის შესრულება იმის მიუხედავად, რომ ჩვენში, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ ინტერნაციონალიზმზე და ხალხთა მეგობრობაზე, რისი გამოხატულება ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დაარსებაა. ეს ლაპარაკი არსებითად არ სცილდება ოფიციალური პროპაგანდის ფარგლებს და არ შეეხება საკითხის არსს. ცხადია, თქვენთვის ადვილი არ არის ტრადიციული დუმილის დარღვევა, მაგრამ საქმე ისაა, რომ სიჩუმე საქმეს ვერაფერს შველის. ამა თუ იმ ერის, მათ შორის ქართველი ერის, ისტორიული ცხოვრების პროცესში წარმოშობილი ეროვნული პრობლემები თავისთავად არც გაქრება და არც გადაიჭრება თვით საბჭოთა წეობილების პირობებშიც კი. ისინი რეალურად არსებობს და ხალხს ამის დავიწყება არ შეუძლია, რადგან ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდება მათ. ჯერ არ დამდგარა და, ალბათ, კიდევ დიდხანს არ დადგება ერების გათქვეფისა და ნიველირების დრო; პირიქით - ინტერნაციონალური სულისკვეთებით გამსჭვალული ჩვენი ცხოვრების ნაციონალური ფორმის აღორძინება ხვეწავს და სრულყოფს ერის შეგნებას და სახეს. სხვაგვარად ფიქრი თავის მოტყუება იქნებოდა.

ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ყოველ საბჭოთა რესპუბლიკას, მათ შორის საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, ყველაფერთან ერთად აქვს და ჯერჯერობით მაინც უნდა ჰქონდეს კიდევ თავისებური ეროვნული სახე. უამისოდ მათი არსებობა გაუგებარი იქნებოდა. სამწუხაროდ, თუ საქმის ვითარებას ღრმად ჩავუკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის - ის თანდათანობით კარგავს ეროვნულ სახეს. ეს მარტო იმით არ აიხსნება, რომ მისი მოსახლეობა დიდი სიჭრელით ხასიათდება - ამაში ახალი არაფერია; მთავარი ისაა, რომ ჩვენ არა მარტო არ ვუწევთ წინააღმდეგობას ჩვენი წყობილებისთვის სრულიად უცხო თვითმპყრობელური და მრავალი სხვა ჯურის შოვინიზმის რეციდივებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ იჩენენ ხოლმე თავს, არამედ უსიტყვოდ ვურიგდებით მათ, ან რაც პირდაპირ პარადოქსადაც გამოიყურება, მახვილს იმათკენ ვაბრუნებთ, ვინც ხმას იმაღლებს მათ წინააღმდეგ.

როგორ შეიძლება იქნეს კვალიფიცირებული, მაგალითად, სამეცნიერო ხარისხების მინიჭების ახალი წესები? განა ეს არ არის საბჭოთა კავშირის ხალხების ერთ-ერთი ძირითადი უფლების - დედა ენის თავისუფალი ხმარების უფლების პირდაპირი დისკრიმინაცია, ღონისძიება, მიმართული დედა ენაზე მეცნიერული კვლევის, მეცნიერების განვითარების შესაძლებლობის მოსპობისაკენ? ამაზე არც ჩვენ, რომელთაც ქართველი საბჭოთა მეცნიერები გვქვია, არც ჩვენმა მეცნიერებათა აკადემიამ, არც უმაღლესი სკოლების სამინისტრომ, არც მთავრობამ და პარტიულმა ორგანოებმა ხმა არ ამოვიღეთ. შორს სადღა წავიდე - ჩემდა სამარცხვინოდ, მე თვითონ რუსულად გავაკეთე ჩემი მეორე დისერტაცია, ცხადია იმისათვის, რომ საქმე გამეადვილებინა. საკითხავია - რაღა საჭიროა ქართული უნივერსიტეტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები, როცა ქართული ენა თანდათან იდევნება საზოგადოებრივი და სამეცნიერო ცხოვრებიდან? სამწუხაროდ, ამ პროცესს, მეტნაკლებად, ნებსით თუ უნებლიეთ, ყველანი ვუწყობთ ხელს, ზოგი აქტიურად, ზოგი სიჩუმით. ამ მხრივ მაგალითს ჩვენ ხელმძღვანელი ორგანოები გვაძლევენ - პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და მთავრობაში საქმის წარმოება ფაქტიურად რუსულია. მმართველი ორგანოების ოფიციალური სხდომები უპირატესად რუსულად ტარდება და რაღა გასაკვირია, თუ სახელმწიფო სამეურნეო და საზოგადოებრივი დაწესებულებებიც არსებითად რუსულ წარმოებაზეა გადასული. რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოებმა ამ მხრივ ცოტათი განსხვავებული პოზიცია რომ დაიკავონ, დარწმუნებული ვარ, საქმეს ოდნავ მაინც ეშველება. საქმეს კი ნამდვილად უნდა შველა, რადგან დღეს საქართველოში ქართული ენის ცოდნა აღარ არის საჭირო. ზოგან, მაგალითად, ქვემო ქართლში, თრიალეთში, ჯავახეთში, აფხაზეთში, შიდა ქართლის უდიდეს ნაწილში ის ზედმეტიც კი არის. მე დიდხანს ვმუშაობდი ქვემო ქართლში, მარნეულის რაიონში, და კარგად ვიცი იქაური ვითარება. შაუმიანში, მაგალითად, ფიქრადაც არ მოსდით, რომ სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებში და ორგანიზაციებში მაინც საჭიროა ქართულის ცოდნა. შაუმიანის კომუნალური განყოფილების გამგე გულდამშვიდებით აგდებდა ოფიციალურ მოწერილობებს ნაგვის კალათში, თუ შემთხვევით მე იქ არ ვიყავი, რომ ისინი მისთვის წამეკითხა და მეთარგმნა. საკვირველი რამეები ხდება ჩვენ თვალწინ: ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცნება - სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი - მარტივად შეიცვალა ეთნო-გეოგრაფიული ცნებით - სამხრეთ ოსეთი. მოუსმინეთ ტელეპროგრამა "მოამბეს" ყოველ საღამოს, ამინდის პროგნოზის გადმოცემის დროს ასახელებენ: აფხაზეთი, აჭარა, კოლხეთის დაბლობი, ბორჯომის ხეობა, მესხეთ-ჯავახეთი, სამხრეთ ოსეთი, ქართლ-კახეთი; ასე გაქრა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხე - შიდა ქართლი.

ნიშანდობლივია, რომ სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ჩვენივე ხელშეწყობით, ჩვენთანვე აღზრდილმა მკვლევარმა გამოაქვეყნა ნაშრომი - "Центральный кавказ в XVI-X в.в. до н. э.". ავტორის აზრით, აღნიშნულ ხანაში კავკასიაში არსებობდა ე. წ. ცენტრალურ-კავკასიური კულტურა, რომლის ერთ-ერთი ლოკალური ვარიანტი მოიცავდა დღევანდელი ჩრდილო ოსეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიას. სინამდვილეში შიდა ქართლში გვიანი ბრინჯაოს ადრე რკინის ხანაში გავრცელებული იყო კარგად ცნობილი და შესწავლილი კოლხურ-ყობანური, ანუ დასავლურ-ქართული კულტურის მძლავრი ნაკადი. ძნელი მისახვედრი არ არის, რა უდევს საფუძვლად ასეთ თეორიას და მისი შორსმიმავალი მიზანია, ნიადაგი შეუმზადოს მტკიცებას, თითქოს ოსები შიდა ქართლში, სულ ცოტა შუა ბრინჯაოს ხანიდან, ე. ი. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ცხოვრობენ. აქედან კი ერთი ნაბიჯიღა რჩება "კანონიერ მოთხოვნამდე" - შეერთდეს ოსების ორი გათიშული ნაწილი. ყველაფრის მიუხედავად მე მაინც არ მენდომებოდა ეჭვი შემეტანა ამ ნაშრომის ავტორის გულწრფელობაში და შემიძლია, დავუშვა, რომ ის ქვეცნობიერად გამოდის წინასწარ აღებული მისთვის სარწმუნო დებულებიდან ოსების ოდინდელი ბინადრობის შესახებ; მაგრამ, განა ეს შველის რასმე? ასეთი "თეორიები" შეიძლება წარმოშობილიყო მხოლოდ ყოველივე ქართულის საწინააღმდეგო, სულის შემხუთველ საკვირველ ატმოსფეროში, რომელიც ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და განსაკუთრებით სახიფათოა. ამიტომვეა სახიფათო, როცა ძველთაძველი ტოპონიმები: ლეხორა, წუნარი და სხვა იცვლება ახლით - კიროვი, ხეთაგუროვი... თითქოს არ შეიძლება, რომ ამ პირთა სახელები ოსების იმ ახალ დასახლებებს დარქმეოდა, რომლებიც სოკოებივით ჩნდება შიდა ქართლში; ხოლო ამავე დროს, მაგალითად, არავის გვიზრუნია თრიალეთის სოფლების ძველი ქართული სახელების აღდგენაზე, რასაც პრესის საშუალებით, გასაგები მოტივებით, გვთავაზობდა იქაური სომეხი მასწავლებელი. სხვათა შორის, სომხებმა თავიანთ რესპუბლიკაში ეს დიდი ხანია გააკეთეს, თათრული ტოპონიმების ნაცვლად აღადგინეს ან შემოიტანეს და დაამკვიდრეს სომხური.

დმანისის რაიონის სოფლების - მაშავერას, ვარდისუბნის, დიდი დმანისის, უკანგორის - სომხურად მონათლული და ამის გამო სომხური სახელებისა და გვარების მქონე ქართულმა მოსახლეობამ, რომელსაც ენად ქართული აქვს და კარგადაც ახსოვს თავისი ძველი ქართული გვარები, ვერა და ვერ მიაღწია ბუნებრივ სურვილს, იურიდიულად აღიდგინოს ნამდვილი ეროვნება და გვარი.

იმის მიუხედავად, რომ ამ საქმეში ჩარეული იყო, მრავალ სხვა პირთან ერთად, თვით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე - ბიუროკრატიული ბარიერი თუ იქნება, სხვა რამ, გადაულახავია.

უკვე მოგახსენეთ, რომ კარგად ვიცნობ ქვემო ქართლის ვითარებას. იქაურ თათრულ მოსახლეობას თვალი სულ ბაქოზე უჭირავს, სომხები კი, თუ გაგიშინაურდნენ, არც დაგიმალავენ, რომ დღევანდელი საზღვარი საქართველოსა და სომხეთს შორის დროებითად მიაჩნიათ. ჯავახეთში, ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონებში, იმ ორგანოების ცხვირწინ (ბოდიშს ვიხდი გამოთქმისათვის), რომელთაც ეს უშუალოდ ეხება, ამ რამდენიმე წლის წინ ვრცელდებოდა პროკლამაცია, რომელიც მიუწოდებს იქაურ სომხობას - რუსეთის მთავრობის მიერ XIX საუკუნის ოციან წლებში აქ ჩამოსახლებულ სომეხთა შთამომავლებს - მოითხოვონ დედა სამშობლოსთან (ე. ი. სომხეთთან) შეერთება. ყოველივე ამის შემდეგ შეგვიძლია დამშვიდებით ყოფნა?.

ჩვენ კი რას ვთხოულობთ - გვითხარით სიმართლე; მოგვეცით უფლება და საშუალება გავცეთ პასუხი იმათ, ვინც უმართებულოდ ხშირად განზრახ ამახინჯებს და აყალბებს ისტორიულ ფაქტებს, ცილსა სწამებს მთელ ერს და ტალახში სვრის მის ღირსებას. მაგრამ, ამის ნაცვლად ჩვენ დათმობასა და სიჩუმეს გვირჩევენ; იმის შიშით, რომ ვინმემ ნაციონალისტობა არ დაგვწამოს, ისე ვიქცევით, თითქოს მართლაც ვიყოთ რამეში დამნაშავე საქართველოს მიწაზე მცხოვრები სხვა ერების წინაშე. სწორედ ამის შედეგია ის, რაც მოხდა დღეს აფხაზეთში და ხვალ სულ ადვილად შეიძლება მოხდეს შიდა ქართლში, ე. ი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში.

რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ საკმაოდ მწირი ოფიციალური ინფორმაციისა და ბევრად უფრო უხვი, მაგრამ, ხშირად, საეჭვო ხასიათის წყაროების ცნობების მიხედვით, სადღეისოდ აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობა მეტისმეტად მიშვებული და გართულებულია და, ცხადია, მას ფრთხილი მიდგომა ესაჭიროება - ჩვენ არ უნდა ავყვეთ თვით აფხაზეთისა და ქართველების წინააღმდეგ მიმართულ მტრულ პროვოკაციებს. მაგრამ, ჩემი აზრით, არ უნდა განმეორდეს წარსული შეცდომა - სიფრთხილე ისე არ უნდა იყოს გაგებული, თითქოს ერთ მხარეს უნდა დავუყყვავოთ, თავზე ხელი გადავუსვათ, მეორე კი გავაჩუმოთ. სამწუხაროდ, უკვე არის იმის ნიშნები, რომ ჩვენ ვაპირებთ ბევრ უსამართლო დათმობაზე წასვლას, ოღონდ ერთი მოვახერხოთ ამბოხებული აფხაზების დაშოშმინება; ამის მომავალ შედეგებზე და იმაზე, რომ უმართებულო დათმობა არავისთვის არასოდეს არ ყოფილა სასარგებლო - არა ვფიქრობთ.

მე მოვიტან ერთ მაგალითს: პრესაში გაკვრით იყო ნათქვამი და, მაშასადამე, ეს ოფიციალური ცნობაა, რომ სხვადასხვა პუბლიკაციებში, მათ შორის, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში, დაშვებულია მთელი რიგი შეცდომებისა აფხაზთა მიმართ და რომ ეს შეცდომები უნდა გასწორდეს. საკითხავია, ვინ დაადგინა, რომ ის, რაზედაც აქ საუბარია, ნამდვილად შეცდომაა, ან ვინ უნდა გამოარკვიოს და დაადგინოს ეს? ცხადია, იმან, ვინც ამ საქმის მცოდნეა, ვინც უშუალოდ მუშაობს მოცემული ხანის ისტორიის კვლევაზე. ვიდრე ეს გაკეთებული არ არის, დაუშვებელია დირექტივების გამოცემა რაღაცა შეცდომების გასწორებაზე. ის, რასაც შეცდომად თვლის ზოგიერთი აფხაზი, ასე ვთქვათ, სპეციალისტი, საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის კარგა ხანია არის მეცნიერულად დადგენილი ისტორიული ფაქტები, რომლებსაც გასწორება არ ესაჭიროება. მაგრამ, თუკი რომელიმე კონკრეტულ საკითხში მაინც არის რაიმე სადავო, ეს მეცნიერების საქმეა და არა სადირექტივო ორგანოებისა და სპეციალისტთა ვიწრო წრეში უნდა იყოს განსჯილი და მეცნიერული ჭეშმარიტების მიხედვით დადგენილი.

იმედი მაქვს, გამოვხატავ ყველა იმათ აზრს, ვისთანაც ერთად ერთხელ უკვე მოგმართეთ, თუ კვლავ გთხოვთ - მოგვეკიდეთ ნდობით, გვითხარით სიმართლე, გაუწიეთ ანგარიში ჩვენი სპეციალისტების, ჩვენი ინტელიგენციის, საერთოდ მთელი საზოგადოების აზრს. ნუ მიიღებთ ცალმხრივ და ნაჩქარევ გადაწყვეტილებებსა და ღონისძიებებს. ეს არის ერთადერთი გზა, რომელიც შეგვანარჩუნებინებს ურთიერთნდობასა და ერთობას.

სვეტი



## პირადი ბიბლიოთეკა

კენ კიზი,
"ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" (1962)

მალხაზ ხარბედია

ყოველთვის ძალიან მაღიზიანებდა, როცა ლიტერატურულ ნაწარმოებს რეალურ მოვლენებთან აწყვილებდნენ ხოლმე. მაგალითად, ტექსტის გასაგებად სულ არ მჭირდებოდა, ვთქვათ, დავით გურამიშვილის "დავითიანის", თომას მანის "დოქტორ ფაუსტუსის" ან ჯორჯ ორუელის "1984"-ის შექმნის რეალური თუ იდეოლოგიური ფონის კვლევა, რადგან ჩემთვის თავად ტექსტი იყო მნიშვნელოვანი. მართალია, ასეთი ფონის არსებობას ადვილად ვაღიარებდი, მაგრამ ყოველთვის ვარჩევდი ხოლმე, ნაკლები მელაპარაკა ამის შესახებ. დღეს კი პირიქით, საქართველოში შექმნილი ვითარება არამხოლოდ ნაწარმოების რეალური ფონის აქტუალიზებას მაიძულებს, არამედ დღევანდელ პრობლემებთან მის შესაბამებასაც.

გასაგები მიზეზების გამო დღევანდელი ჩემი სვეტი კენ კიზის სახელგანთქმულ რომანს ეძღვნება. შესაძლოა, ვიღაცამ ბანალურადაც ჩათვალოს ეს არჩევანი, რომელიც ასე პირდაპირ მიანიშნებს ერთი მხრივ საქართველოში შექმნილ შლეგურ სიტუაციას, მეორე მხრივ კი იმ დაუმორჩილებლობასა და პროტესტს, რომელსაც უკვე რამდენიმე დღეა გამოთქვამს საზოგადოება. თუმცა, როგორც ჩანს, დღეს სწორედ ასეთი პირდაპირი პარალელებია საჭირო, ანუ ისეთი რამ, რაც თვალს აგვიხელს და ახალი - ამჯერად ლიტერატურული - სახეებით შეავსებს ჩვენს პოლიტიზირებულ რეალობას.

ადვილი შესაძლებელია ამ რომანმა სულ სხვა მხარეს გამიტაცოს, კერძოდ კი ბიტნიკებთან, ჰიპებთან, სახელოვან ელესდომანებთან, როკის კლასიკოსებთან, ტომ ვულფის რომანთან, Electric Cool-Aid Acid Test, რომელიც მთლიანად ელესდესა და კენ კიზის გადარეულ ბანდას ეძღვნება. ანუ, დიდი შანსია, მამა-პაპური, ნონკონფორმისტული სინტაქსით გამოვტენო სვეტი, მაგრამ მაინც შევეცდები უშუალოდ ნაწარმოებზე მივაქციო თქვენი ყურადღება, და მზერა (თუნდაც არაპირდაპირი) ჩვენს სატკივარზეც მივმართო.

ესაა რომანი თავისუფლებაზე და შესაძლოა, იგი ყველაზე სახელგანთქმული წიგნიც იყოს ამ თემაზე. ჩვენში "გუგულმა" თავდაპირველად ფილმის სახით შემოაღწია და ჩემზე ცოტათი უფროსი თაობა, ოდესღაც ღამეებსაც ათენებდა ნიკოლსონისა (რენდლ მაკმერფი) და მისი "გიჟი ბიჭების" ცქერაში. მაშინ თითქმის არავის ჰქონდა წაკითხული ეს რომანი, ახლა კი, უკვე ბევრია ისეთი ადამიანი, ვინც ფილმისა და რომანის განსხვავების "ძირითადი პრინციპებზეც" კი საუბრობს.

როგორც გახსოვთ, რომანში მთხრობელი ინდიელია, რომელიც ყრუ-მუნჯად აჩვენებს თავს და ნაწარმოების დასაწყისშივე მისგან ასეთ სიტყვებს გავიგონებთ: "ერთხელაც იქნება, ყველაფერს მოვყვები - საავადმყოფოზეც, იმ ქალზეც, იქაურებზეც... და მაკმერფიზე. იმდენი ხანია ხმა არ ამომიღია, რომ სათქმელმა შეიძლება ჯებირები გამოარღვიოს და თქვენც იფიქრებთ, რომ სისულელეებს ვროშავ, რომ ასეთი კოშმარები სინამდვილეში არ ხდება, და რომ შეუძლებელია ეს საშინელება სიმართლე იყოს. მაგრამ გთხოვთ, მომისმინოთ, რადგან ჩემი გამჭირვებია, აზრებს ძლივს ვუყრი თავს. და რადგან ყველაფერი, რასაც გაიგონებთ - სიმართლეა..." ესეც პირველი მსგავსება: ჩვენც ხომ კარგა ხანია, ხმა არ ამოგვიღია, რამდენიმე დღის წინ ჩვენმა ხმებმაც ხომ გადმოარღვია ჯებირები, მაგრამ იქ, იმათ, დღემდე სისულელედ მიაჩნიათ ეს გამბედაობა.

თავიდან ასეთ სისულელედ აღიქვამს მაკმერფის ოინებს უფროსი მედდაც (ორუელის უფროსი ძმაც გაგახსენდება კაცს) და მისი სამი შავკანიანი სანიტარი. აი, როგორ აღწერს ავტორი ამ ქალბატონს: "უმცირესი შეფერხება მის გაზეთილ, საათივით აწყობილ `მახინაში" და იგი რისხვის გრდემლად იქცევა, რომელზეც ღიმილია გადაჭიმული. დადის, დააბიჯებს და მის სახეს, ცხვირსა და ნიკაპს შორის, ისევ ის თოჯინური ღიმილი კვეთს შუაზე. თვალებიც უჟუჟუნებს, მაგრამ შიგნით ქვასავით მაგარია... უზარმაზარია ბულდოზერივით, და სულმთლად რკინისაა - ჩაქუჩივით." სანიტრებზე კი ავტორი ამბობს სამი, ტელეფონივით შავი ტიპიაო.

თავად ავტორი, ცხადია, მთავარ გმირს ადარებს თავს, რადგან რომანი, გარკვეულწილად, ავტობიოგრაფიულია. ისიც მასსავით ქერაა, დიდი ბაკენბარდებითა და გრძელი კულულებით, ფართო ღიმილითა და განიერი ბეჭებით. მთხრობელი ინდიელი მაკმერფის ბეისბოლის ბურთს ადარებს და აღფრთოვანებულია მისი მანერებით. როცა რენდლი იცინის, ასე ჰგონია, თითქოს პირველად ისმენდეს სიცილს წლების განმავლობაში. თავად მაკმერფის კი ის ანცვიფრებს ყველაზე მეტად, რომ საავადმყოფოში არავინ იცინის.

მაკმერფი მიჩვეულია პირველობას, იგი ტრაქტორზე ამხედრებული პირველი და მთავარი რაინდი იყო ორეგონის "სატყეოში", კორეის ომიდან მოყოლებული ბანქოში პირველობდა, მთავარი კაცი იყო პენდლტონის ბარდის გადამამუშავებელ ფერმაში, და ახლა, საგიჟეშიც პირველი ადამიანი ხდება. იგი პირველია, ვინც ხმამაღალ სიმღერას დასცხებს, გაიცინებს, დასცინებს უფროს მედდას, იტყვის სიმართლეს. შემთხვევითი არაა, რომ ინდიელს, პირველი სიტყვა, რომელიც მრავალწლიანი დუმილის შემდეგ წამოსცდება, "მადლობაა". იგი ემადლიერება მაკმერფის, ისევე, როგორც სხვა პაციენტები, ვინც მისი წყალობით სამყარო ნახა, ბავშვობა გაიხსენა, მომავალზეც დაიწყო ფიქრი და რაც მთავარია, მან თავისი მემკვიდრე-ევანგელისტი დატოვა, ინდიელი, ვისაც ეს ამბავი უნდა მოეთხრო.

და მემგონი, მალე ჩვენთანაც გამოჩნდება ასეთი მახარობელი, ვინც "ერთხელაც იქნება, ყველაფერს მოჰყვება", გადმოანგრევს დუმილის ჯებირებს, მკითხველს **სიმართლეს** ეტყვის და ამით სათავეს დაუდებს ახალ, XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურას. დარწმუნებული ვარ, ასეთ შემთხვევაში არავინ იფიქრებს, რომ ავტორი სისულელეს როშავს. რადგან ჩვენ მომსწრე ვართ ამისა, ვმონაწილეობთ ამაში და მომავალშიც, ყველას კარგად გვეხსომება, თუ რა ხდებოდა 2003 წლის ნოემბერს საქართველოში.

მანამდე კი გვახსოვდეს, რომ ჯერ კიდევ არ გასულა 2003 წლის ეს ცივი ნოემბერი.



# ხალხის არჩევანი

1. უერთდებით თუ არა აქციის მოთხოვნას, გადადგეს პრეზიდენტი და მთავრობა?
2. თუ ხედავთ რეალურ ძალას, რომელსაც შეუძლია ქვეყნის ბედი ჩაიბაროს?
3. შესაძლებელია ამ აქციებით მიზნის მიღწევა?

**ოთარ რამიშვილი**
*ავტორ-შემსრულებელი*

**1.** შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. ის გადადგება თუ სხვა მოვა, რა მნიშვნელობა აქვს, თუ კანონმა არ იკანონა. საერთოდ, მიმაჩნია, რომ მომღერალმა უნდა იმღეროს, რეჟისორმა ფილმი უნდა გადაიღოს, პოლიტიკოსმა პოლიტიკას უნდა მიხედოს, მაგრამ არჩევნებზე ყველა უნდა წავიდეს და თავისი არჩევანი უნდა გააკეთოს. მე ვიყავი არჩევნებზე და ხმა მივეცი გიტარას, იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში ყველაზე კარგად მასთან გამომდის ურთიერთობა.

**2.** ნათქვამია, - წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. წინასწარ ჩემთვის ძნელია პროგნოზის გაკეთება. ერთი კი ნამდვილად ვიცი: ხალხმა რომ იარსებოს, ვინმე ისეთი უნდა მოვიდეს, ვისაც სიგიჟემდე ეყვარება ეს ქვეყანა.

**3.** არ გაგიგიათ იშხნელების სიმღერა? – "არ დაიჯერო, არ დაიჯერო..." მაგრამ, მეორე მხრივ, მე ხალხის ძალის მჯერა. გამოთქმაცაა ასეთი: "ხალხი რას იტყვის?" ხალხი ყველაფრის მკურნალია და მომწესრიგებელი; ამიტომ საქმე სისხლის დაღვრამდე კი არ უნდა მივიდეს, ხალხთან მოლაპარაკებებით უნდა დასრულდეს ყველაფერი.

**ზურა ყიფშიძე**
*მსახიობი*

**1.** რა თქმა უნდა, ვუერთდები და ამისთვის ვარ ყოველ ღამე იქ. ოღონდ, ეს ყველაფერი სათუთად უნდა მოხდეს. ვიღაცის წასვლას და ახლის მოსვლას მომზადება სჭირდება.

**2.** ვიცი, რომ ეს უნდა იყოს კონკრეტულად ვინმე ახალგაზრდა. რაც შეეხება ძალას, რომელსაც ცვლილებების მოტანა შეუძლია, ჯერჯერობით მას ვერ ვხედავ.

**3.** არ მგონია. ეს, უბრალოდ, პროტესტის ფორმაა. იქ დგომა უფრო ჩვენს სურვილს გამოხატავს. მიზნის მიღწევა კი ორი გზით შეიძლება: ან დაპირისპირებით, ან ადამიანი უნდა გამოჩნდეს, რომელიც გონივრულ ნაბიჯს გადაგვადგმევინებს.

**კოტე ყუბანეიშვილი**
*პოეტი*

**1.** აქციას ვუერთდები სულით და გულით. წავიდნენ, თავი დაგვანებონ. უბრალოდ, წინააღმდეგი ვარ იმის, რომ, როცა ყველაფერი დამთავრდება, არ დავიწყოთ მათი დაჭერები და გასამართლებები. ასეთი რამ არ გვინდა.

**2**. რეალური ძალა ჯერ კიდევ არ ჩანს: აი 15 ან 20 ათასი კაცი რომ გამოვიდოდეს არა შუქის, რომელიმე კონკრეტული პარტიის, ან ვიღაცის პრეზიდენტობის გულისთვის, არამედ საკუთარი მომავალისათვის, საკუთარი უფლებების დასაცავად მაშინ სულ სხვა იქნებოდა. ასეთი ძალა რეალურ ცვლილებებს გამოიწვევდა. დღეს მთავარია, ამ ყველაფრის შემდეგ ხალხი არ დარჩეს მოტყუებული.

**3.** მიზანს ამ აქციებით იმ შემთხვევაში მივაღწევთ, თუ ოპოზიციას კონკრეტული მოთხოვნები და ზუსტად გათვლილი პროგრამა ექნება, თუ ამ პროგრამასა და მოთხოვნებს პროფესიონალი იურისტები თუ ეკონომისტები შეადგენენ და თუ ოპოზიცია კომპრომისზე არ წავა. ჩვენ ყველაფერი უცებ გვინდა. სინამდვილეში კი ბრძოლა ნაბიჯ-ნაბიჯაა საჭირო. მოწინააღმდეგემ უნდა შეგატყოს, რომ შენ პროფესიონალურად იბრძვი. სწორედ ახლა ZDF-ს მივეცი ინტერვიუ და გარედან ჩანს, რომ ჩვენ ამ ბრძოლაში ცოტა არ იყოს აბსურდულები ვართ. ოპოზიცია უნდა შეიკრას. საქართველო ახლა ცივილიზებული ბრძოლის სწავლის პროცესშია. ცვლილებების სუნი მცემს, მაგრამ ეს მონაპოვრები დილეტანტის ხელში არ უნდა აღმოჩნდეს.

**სოსო ჯაჭვლიანი**
*მსახიობი*

**1.** ცოტა შორიდან მოვუვლი, ამ არეულ სიტუაციაში, მე, როგორც ხელოვნებაში და სპორტში მოღვაწეს, ასეთი კითხვა მიჩნდება, როდესაც ერთმანეთს ხვდება ორი სპორტსმენი, ერთმა აუცილებლად უნდა წააგოს და მეორემ უნდა მოიგოს. დამარცხებული უნდა მიესალმოს და დაემშვიდობოს გამარჯვებულს, მაგრამ ამ შეჯიბრის მაყურებლი ძალიან კარგად გრძნობს, თუ როგორ მოიპოვა გამარჯვებულმა მისი წარმატება, ამავე დროს ნათლად ჩანს დამარცხებულის კარგი კაცობა, სიალალე, თუ ბოღმიანობა და ა.შ. მე ისეთი პროფესია მაქვს, რომ როგორი მთავრობაც არ უნდა მოვიდეს, პირადად მე ვერავინ ვერაფერს ვერ გამიკეთებს, იმიტომ რომ სპორტს და ხელოვნებას აბსოლუტურად უანგაროდ ვემსახურები. წელს, როცა ჩემმა პროექტმა გაიმარჯვა და სახლემწიფომ ფილმის გადასაღებად ფული მომცა, მე უკან დავუბრუნე და ყველაფერი ჩემი სახსრებით გავაკეთე, ასეა სპორტშიც, ვიმარჯვებთ და მსოფლიო ჩემპიონები ვხდებით, მაგრამ ჩემი ნაკრების წევრები, მშიერ-მწყურვალნი ხვდებიან ყველა ახალ წელს. და თუ გასაბრაზებელია, პირველები ჩვენ უნდა ვიდგეთ იქ, მაგრამ დავიღალეთ. ამიტომ მოდით მართლა ერთმანეთთან გავმართოთ დიალოგი და წავიდეთ რაღაც კომპრომისზე. ეს კი, პირველ რიგში, მთავრობამ უნდა გააკეთოს იმიტომ, რომ თვითონ არის მმართველი. დანარჩენი ორივე მხარე თავის სიმართლეს ამტკიცებს. ჩვენ, ხალხმა სიმართლე ძალიან კარგად ვიცით, ამიტომ დავსხდეთ და ვილაპარაკოთ, გაურკვეველი არაფერი არაა, არ შეიძლება სკამებს გადავაყოლოთ საქართველო. ჩემზე ძალიან მოქმედებს დღევანდელი სიტუაცია იმდენად, რამდენადაც ორივე მხარეს არიან ჩემი ახლობლები და მეგობრები. ეს არის ჩემი პოზიცია – დიალოგი, დავსხდეთ და გავარკვიოთ. მე შეიძლება ყველაზე მეტად ვიყო გაბრაზებული პრეზიდენტზე, მაგრამ არსებობს კანონი; თუკი ეს აქციები და ყველაფერი ის, რაც დღესდღეობით ხდება, კანონთან შესაბამისობაში მოვა, მაშინ ასე უნდა გაკეთდეს, მაგრამ ემოციას არ უნდა ავყვეთ, ემოციას რომ ავყევით ათასი უბედურება დაგვატყდა თავს.

**2.** რეალური ძალა ყოველთვის არის პატიოსნებაში. პატიოსანი ადამიანები დღესვე გადაიბარებენ სახელმწიფოს. თბილისში უამრავი კარგი და პატიოსანი ადამიანია. თუ გნებავთ იგივე დღევანდელ აქციაზე, იგივე სამთავრობო პარტიაშიც, მაგრამ მათ რეალური ძალა არ გააჩნიათ და, ალბათ, ეს არის ყველაზე ცუდი.

**3.** პირადი შეხედულებების სხვისთვის თავს მოხვევა არ შეიძლება. ამიტომ, ამას შესაძლოა, სხვადასხვა შედეგი მოჰყვეს: დაქსაქსვა და დანგრევა, არეულობა, რაც ჩვენ უკვე ვნახეთ; ან შესაძლოა, გაიმარჯვოს ბნელმა ძალამ, ამ შემთხვევაში ორივე ძალას ვგულისხმობ, შესაძლოა, ერთი მართლაც კაცურად და პატიოსნად უდგებოდეს ამ ყველაფერს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ არეულობის დროს, ვინმემ ისეთი ილეთი გამოიყენოს, რომ ბნელმა ძალამ ისარგებლოს. ჩემი აზრით, აქციას პერსპექტივა მარტო მაშინ აქვს, როცა ეს ყველაფერი კანონის ფარგლებში იქნება.

**გოგი დოლიძე**
*რეჟისორი*

**1.** რა თქმა უნდა, მე პირველი დღიდან, ყოველ დღე დავდივარ ამ აქციაზე.

**2.** როგორ არ ვხედავთ, აბა რაზე ვიკლავთ თავს. იმ სამეულის მე ძალიან მწამს.

**3.** ჩემი აზრით, ეს აქცია აუცილებლად თავის მიზანს მიაღწევს. პირველ რიგში, აუცილებლად უნდა გაუქმდეს არჩევნების შედეგები. მე, უბრალოდ, სიტყვებით ვერ გადმოვცემ, თუ რა არჩევნები გაიმართა. არ შეიძლება ეს ასე გაგრძელდეს და მიზანი არ იყოს მიღწეული.

**ქეთი კორძახია**
*ხელოვნებათმცოდნე*

**1.** აქციას არ ვუერთდები, მაგრამ არა იმიტომ, რომ მთავრობა და პრეზიდენტი მომწონს, მე კანონის მომხრე ვარ. ის, რასაც აქციის მონაწილენი ითხოვენ, კანონის დაცვასთან არანაირ კავშირში არ არის. ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ლაპარაკი მხოლოდ და მხოლოდ საარჩევნო კანონის დაცვასა და ხმების აღდგენაზე უნდა იყოს, ისიც ცესკოს საბოლოო შედეგების გამოცხადების შემდეგ. ანუ, ჯერ მაინტერესებს არჩევნების შედეგების დაზუსტება და შემდეგ კანონის გზით დარღვევების აღმოფხვრა.

**2.** ვერც რეალურ შემცვლელ ძალას ვხედავ, რადგან ის ხალხი, რომელიც გარეთ დგას, უკანონობისკენ მოუწოდებს საზოგადოებას. მე პატივს ვცემ მათ, მაგრამ ჩემი პოზიცია მაქვს. მათი მოთხოვნები უკანონოა. და თუ გვინდა, კანონიერი სახელმწიფო გვქონდეს, მაშინ უნდა დავიცვათ კიდეც კანონი. რატომ არაფერს ამბობენ იმაზე, რომ პარლამენტსაც შეუძლია ცესკოს შედეგების გაუქმება? რატომ არ იწვევენ პარლამენტს, ის შემადგენლობა ხომ ისევ დღის წესრიგშია? იმიტომ, რომ არ აქვთ გარანტია, რომ გავა. მათი გზა უკანონო გზაა.

**3.** აქედან გამომდინარე, აქცია მიზანს ვერ მიაღწევს.

**მანანა ვადაჭკორია**
*გალერისტი*

**1.** როდესაც პრეზიდენტი ვერ ფლობს სიტუაციას; როდესაც არსებობს 25 საკითხი (იგულისხმება ოპოზიციის ლიდერებისა და პრეზიდენტის შეხვედრის დროს დასმული საკითხები), რომლის შესახებაც მან არაფერი იცის, მაშინ, რა თქმა უნდა, პრეზიდენტიც უნდა გადადგეს და მისი მთავრობაც. ეს არის ხელისუფლება, რომელმაც იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ჩვენ მათთვის ხმის მისაწვდენად გაუთავებელი აქციების მოწყობა დაგვჭირდა. აქედან გამომდინარე, მათი გადადგომის მოთხოვნა უბრალო ახირება კი არა, ძალიან ლოგიკური შედეგია იმისა, რაც 2 ნოემბერს ხდებოდა და რამაც დღემდე მოგვიყვანა.

**2.** ჩემი აზრით, რეალური ძალა არსებობს. მეტიც, ამ ძალას უკვე ბოლომდე აქვს გააზრებული, რომ თუ წესიერად არ მოიქცევა, ჩვენ ვიცით, როგორც ვიმოქმედოთ. პირადად მე მარადიული ოპოზიციონერი ვარ. როგორც კი ახალი მთავრობა მოვა, ჩემი ფსიქოლოგიური წყობით, უთუოდ, ოპოზიციაში გადავალ. იმიტომ, რომ თუ მთავრობას არ ჰყავს ოპოზიცია, იგი იხრწნება. შესაბამისად, მოსახლეობაც მუდამ მთავრობის ოპოზიცია უნდა იყოს. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ მიტინგებსა და ქუჩაში მუდმივ სირბილს. უბრალოდ, თუ საჭირო იქნება და მთავრობას რამე შეეშლება, ამ შეცდომას საზოგადოებისგან მომენტალური რეაქცია უნდა მოჰყვეს. უნდა იყოს გამოსვლები და მანიფესტაციები. ჩვენ რომ ამ წლების მანძილზე ასე მოვქცეულიყავით, დღემდე ამ სურათით, ალბათ, არ მოვიდოდით... იქნებ, ცოტა რამეს მაინც მიმხვდარიყო მთავრობა.

**3.** ამაში კი ეჭვი მეპარება. მგონი, პრეზიდენტისა და მთავრობის გადადგომა თვითმიზანი არავისთვის არ არის. თუკი ისინი აღიარებენ იმ სიმართლეს (მე არჩევნებთან ერთად ზოგადად მთელ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას ვგულისხმობ), რომელიც რეალურად არსებობს, მაშინ, ალბათ, მოთხოვნები უნდა შერბილდეს. არჩევნების გაყალბება ყველასთვის ბოლო წვეთი იყო, რომელმაც აავსო მოთმინების ფიალა. ეს იყო საბაბი, მიზეზი კი 12 წლის განმავლობაში გროვდებოდა.

**გიორგი აბდალაძე**
*ფოტოგრაფი*

**1.** სამწუხაროდ, საქართველოში ხელისუფლების შეცვლის სხვა მეთოდი არ არსებობს. იმიტომ, რომ ყველას ეძნელება სავარძელთან დაშორება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ პროფესიონალიზმითა და საქმის ცოდნით ჩვენთან ხალხი ნულის დონეზეა. ვგულისხმობ კადრებს, რომლებიც პრეზიდენტის გარემოცვაში არიან. მათი ათწლიანი მოღვაწეობის შედეგი არის ის, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდა. ვინ გამოიყვანა, ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ხალხი მაინც გამოვიდოდა და თავის დამოკიდებულებას გამოხატავდა.

**2.** ერთმა ემიგრანტმა ქართველმა მილიონერმა, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს, თქვა: ომის შემდეგ გერმანია ყოვლად განადგურებული იყო, მაგრამ რამდენიმე წელიწადში ფეხზე დადგაო. ეს კი მოხდა ერთადერთი რამის გამო – ხელისუფლებაში მოვიდა ხალხი, რომელსაც უყვარდა თავისი ქვეყანა და გააჩნდა იდეოლოგია. ქვეყანაც ფეხზე დადგა. ჩვენთანაც აუცილებლად მოიძებნებიან პიროვნებები, რომელთაც უყვართ თავისი ერი. ამ ქვეყნის აყვავება თავისუფლად შეიძლება, მთავარია, არსებობდეს მონდომება, სიყვარული და საქმისადმი პროფესიონალური დამოკიდებულება.

ამ ეტაპზე შემცვლელს ნამდვილად ვერ დავასახელებ, რადგან ვფიქრობ, რომ ყველას თავისი ამბიცია და სავარძელი აღელვებს. შეიძლება ისინი, უბრალოდ, ვერ ამჟღავნებენ თავიანთ შესაძლებლობებს, მაგრამ გარედან ასე ჩანს – ბრძოლა ერთი რამისთვის – სავარძლებისთვის მიდის.

**3.** აქციას მიზნად რა აქვს დასახული, არავინ იცის, რადგან დღეს ისეა არეული პოლიტიკური სპექტრი, რომ ვერაფერს გაიგებ. ხშირ შემთხვევაში, ვინც აქებდა და ადიდებდა ამ ერთ პიროვნებას, პრეზიდენტს, დღეს ლანძღავენ. ეს არის ძველი კომუნისტური მენტალიტეტის შედეგი. მაშინაც ახალი ლიდერები წინამორბედებს ლანძღავდნენ. ეს დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს კონკრეტული მიზნით, რომელიც ქვეყანას ეხება. უნდა გამოიკვეთოს, თუ რისი შემქმნელია ესა თუ ის ძალა რეალურად და რა ეკონომიკური ბერკეტები გააჩნია მას.


ოთარ რამიშვილი


ზურა ყიფშიძე


კოტე ყუბანეიშვილი


ქეთი კორძახია


მანანა ვადაჭკორია


გიორგი აბდალაძე

# კადრს მიღმა დარჩენილი კულტურა

ნათია მირიანაშვილი

ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ასახვა ყველა სფეროზე ჰპოვა, ეკონომიკაზე (რაც მოსახლეობისთვის ყველაზე მტკივნეულია) და მათ შორის, კულტურაზეც. ის კი არადა, კულტურის სფეროზე მომუშავე ჟურნალისტები პოლიტიკაზე გადაერთნენ, რას იზამ, ცხოვრებას თავისი კანონები აქვს და ზოგჯერ საკმაოდ მკაცრიც. შეიძლება ითქვას, ქალაქში კულტურული ცხოვრება კადრს მიღმა დარჩა, როგორც ხანდახან ფილმის გადაღებისას ხდება - კადრს მიღმა რაიმე მნიშვნელოვანი რჩება ხოლმე.

თუმცა ყოველთვის არ ამართლებს ის აზრი, რომ ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას, როგორც ამას კომუნისტურ ფორმაციაგამოვლილებს გვასწავლიდნენ. მოკლედ, ცხოვრებაში ხანდახან დგება ისეთი მომენტებიც, როცა მხოლოდ "პური და სანახაობა" არ კმარა და საქმე ღირსებას ეხება. ამ შემთხვევაში უკან დახევა არამც და არამც არ არის გამართლებული. ღირსებადაკარგული და ყველაფრისადმი ინდიფერენტული ადამიანი ხომ უკვე არარაობაა და საშიშიც არის. ქვეყნისათვის კი, ყველაფერზე წამსვლელი ხალხი ნამდვილად არ არის სახარბიელო (ისედაც ბევრი ნაგავი დაგვიგროვდა)...

მოკლედ, კულტურის დარგის მესვეურებიც აქტიურად შეუერთდნენ რუსთაველის გამზირზე (მასშტაბურობით მთელი საქართველოს ეპიცენტრს) მიმდინარე მოვლენებს. ბოლოს და ბოლოს, სირაქლემასავით ქვიშაში ხომ არ წაყოფდნენ თავს, ვითომ აქ არაფერიაო... და შესაბამისად, ქალაქში კულტურული ცხოვრებაც ჩაკვდა.

დასტურად ერთ მაგალითს მოგიყვანთ, დღეს ერთი მსახიობის თეატრში - "ვერიკო", კოტე მახარაძის ხსოვნის საღამო უნდა გამართულიყო, მაგრამ ქალბატონი სოფიკო ჭიაურელის ინიციატივით, ღონისძიება შედარებით მშვიდობიანი დროისთვის გადაიდო. დარწმუნებული ვარ, ბატონი კოტე ჩვენს გვერდით რომ ყოფილიყო, ყველაფერს გულთან ახლოს მიიტანდა. აკი მიიტანა კიდეც, გასულ წელს "ლოკომოტივის" სტადიონზე "რუსეთ-საქართველოს" ეროვნული ნაკრებების ჩაშლილი მატჩი და გულის შეტევის მსხვერპლი გახდა.

და კიდევ, ცნობილ ტრავმატოლოგს ოთარ ლუდუშაურს საგურამოში ყოფნისას ასევე გულის შეტევა დაემართა, როდესაც 1991-92 წლებში, სამოქალაქო ომის დაწყების შესახებ გაიგო. ეს ამბავი მისთვისაც საბედისწეროდ დამთავრდა.

ასეთი გახლავთ ქვეყნის ღირსეული მამულიშვილის და მის ბედიღბალზე მზრუნველის ბედისწერა. ასე რომ, გავუფრთხილდეთ საკუთარ ქვეყანას, შესაბამისად საკუთარ გულებს და კულტურას.

# ექსპოზიცია ბაღდადში

ბაღდადში, ერაყის ეროვნულ მუზეუმში ასობით ფასდაუდებელი ექსპონატი გამოფინეს. ეს რელიკვიები მუზეუმიდან საომარი კონფლიქტების დროს გაქრა, თუმცა სხვადასხვა ქვეყნების მხარდაჭერის წყალობთ, ისინი მოროდიორებს წაართვეს.

როგორც ჩანს, გამტაცებლები უნიკალური ნივთების ნაწილს მეტად "მოხერხებულ" სამალავებში ინახავდნენ. მაგალითად, 150 კილოგრამიანი ცარცის სტატუეტი (ექსპოზიციის ცენტრალური ექსპონატი), რომელიც დაახლოებით 4300 წლისაა, ამერიკელმა სამხედროებმა თხრილში იპოვეს. სამწუხაროდ, თოთხმეტი ათასი რელიკვიიდან, რომელიც საომარი მოქმედებებისას დაიკარგა, დღეისათვის ოთხი ათასია ნაპოვნი. მათგან, დაახლოებით, რვაასი ექსპონატი სამშაბათს ერაყის ეროვნულ მუზეუმში გახსნილ ექსპოზიციაზე გაიტანეს. ერაყის კულტურის მინისტრის თქმით, ქვეყნის მთავრობა ალბათ უახლოეს მომავალში თხოვნით მიმართავს მეზობელი სახელმწიფოების ხელისუფალთ, დაეხმაროს დაკარგული ფასეულობების მოძიებაში.

# დებიუტი ეკრანებზე

როკ-ჯგუფი "ლინკინ პარკი" ახალ ტრადიციებს ითავისებს და საკუთარ ახალ DVD-ს (ციფრული ვიდეო-დისკი) სახელწოდებით Live In Texas-ს აშშ-ს რამდენიმე კინოთეატრში წარადგენს. პრემიერა სხვა ქვეყნებშიც გაიმართება. DVD-ს პრემიერას 17 ნოემბერს ერთდროულად აშშ-ს ორმოც მსხვილ ქალაქში დაესწრება მაყურებელი.

კინოთეატრების ხელმძღვანელობისთვის ეს საკმაოდ წარმატებული გამოცდილებაა. თავის დროზე სწორედ ამ კინოთეატრებში აჩვენეს "ქოლდფლეის", "ქისისა" თუ ბეიონს ნოულზის ახალი ნამუშევრები.

# შენიშნე კარგად

## ფოტოკონცეფცია, რომელიც სამყაროს ერთიანობაზე დაგვაფიქრებს

ვერა ნეფარიძე

*გუშინ გალერეა "უნივერსში" მისული დამთვალიერებელი ცნობილი თბილისელი ფოტოგრაფის ირინა აბჟანდაძის ბავშვობისდროინდელი განუხორციელებელი ვნების ასრულებას შეესწრო.* Nota Bene, *ანუ "შენიშნე კარგად" ის, რის დანახვასაც მიკროსკოპი, სამედიცინო განმარტება და ობიექტური ობიექტივი სჭირდება, - ასეთია ამ გამოფენის კონცეფცია.*



ირინა აბჟანდაძე ყვავილებით

მომავალი გამოფენის შესახებ ავტორმა, დაახლოებით, ორი კვირის წინათ მითხრა. მაგრამ 2 ნოემბრის შემდეგ განვითარებული მოვლენების ფონზე ქალაქში თითქმის ყველანაირი კულტურული აქტივობა შეწყდა და რატომღაც მეგონა, ირინას გამოფენაც გადაიდებოდა. თუმცა, ასე რომ არ უნდა მეფიქრა, ამაზე გუშინწინვე მივხვდი, როდესაც ფოტოგრაფმა კიდევ ერთხელ შემახსენა "უნივერსის" ექსპოზიცია. "ეს ქვეყანა ამაზე მეტად არ დალაგდება და ვისაც აინტერესებს მოვიდეს", - ასეთი იყო ირინას პასუხი ჩემ უსაფუძვლო ეჭვებზე გამოფენის გადადებასთან დაკავშირებით. გუშინდელი წვიმიანი ამინდისა და ქალაქის ცენტრში მიმდინარე აქციის მიუხედავად, კატეგორია – "ვისაც აინტერესებს", იმდენად მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ გამოფენის დათვალიერებას უშლიდა ხელს... ხმაური, სტუმრებით გადაჭედილი დარბაზები, სიცხე და ამ ყველაფერს დამატებული სანახაობა კედლებზე, რაც ისედაც ჩემისთანა "სუსტი გულის" პატრონთათვის ცოტა მძიმე სანახავი, ცოტა დამღლელი აღმოჩნდა.

ექსპოზიცია "მძიმეა" მათთვის, ვისაც არ სიამოვნებს ცოცხალი ორგანოების ცქერა. მე კი ნამდვილად ასეთთა კატეგორიას მივაკუთვნებ თავს. მაგრამ, გამოფენის მიზანი ამ დაავადებული ორგანოების ვიზუალური გაცნობა არ ყოფილა. თუმცა, სჯობს თანამიმდევრობა დავიცვათ.

სამი წლის წინათ ირინა აბჟანდაძემ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გადაღება დაიწყო: "საერთოდ, ლითონის ფაქტურა მიყვარს და მომწონს ძალიან. მედიცი-



ექსპოზიცია

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

ნა კი არის ჩემი ბავშვობის განუხორციელებელი ვნება. როდესაც გადავიღე, ვნახე, რომ ძალიან მშრალი იყო და მინდოდა რაღაცით შემევსო; მინდოდა საჭადრაკო ეტიუდებით განმეხილა თითოეული ნამუშევარი, მაგრამ ესეც ძალიან მშრალი აღმოჩნდა. მედიცინის სიყვარულის გამო სამედიცინო ატლასებს სულ ვკითხულობ ხოლმე და ერთხელაც, ანალოგიები აღმოვაჩინე ამ ანატომიურ ორგანოებსა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს შორის", - "ჩვენი ქალაქის ნანგრევები საოცრად ჰგავს სამედიცინო დაავადებებს", - მიაჩნია ფოტოგრაფს. ამ ფოტოების გამოფენა ერევანში შარშანწინ მოეწყო; ამ იდეის ერთგვარი ინტერპრეტაცია კი მაშინ დაიბადა, როდესაც ერევანში გამართულ ექსპოზიციაზე სიუჟეტი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, მარინა კვიტაშვილმა ნახა და გადაწყვიტა, ფოტოგრაფთან თანამშრომლობა დაეწყო. "ჩემი მტკივნეული ადგილი ღვიძლია, ანუ ის ორგანო, რისი ექიმიც მე ვარ. როდესაც შევხვდით, ირინას შევთავაზე, რამე გაგვეკეთებინა ღვიძლთან დაკავშირებით. მოგვიანებით იდეაც დაიხვეწა", - ყვება ინფექციონისტ-ჰეპატოლოგი მარინა კვიტაშვილი. იდეის არსი კი ასეთი იყო, რომ დაავადებული ორგანოები საოცრად ჰგავს გალაქტიკის სხეულებს.

ირინა აბჟანდაძემ ფოტოგადაღებები ინფექციურ-პათოლოგიის ცენტრში დაიწყო. შედეგი კი უკვე "უნივერსშია" წარმოდგენილი. საკმაოდ დიდ ექსპოზიციაზე (აქ გამოფენილია სამი წლის წინათ გადაღებული რკინა-ბეტონის კონსტრუქციების შავ-თეთრი ფოტოკოლექციაც) ნახავთ ადამიანის დაავადებულ ორგანოებსა და მათ ასოციაციებს ასტრონომიულ სხეულებთან. მაგალითად, უყურებთ ფერად ფოტოს, რომელიც რეალურად არის თვალის ფსკერი, ხოლო მინაწერი: მზის ფოტოსფერო მიგვანიშნებს მის ანალოგიასთან, რომელიც ავტორმა დაინახა ასტრონომიულ სხეულსა და ორგანოს შორის. "ამ სინთეზით შექმნილი ფოტოკონცეფცია სამყაროს მთლიანობაში გვარწმუნებს", - წერია გამოფენის საინფორმაციო ფურცელზე. ასეთი ანალოგიებით არის სავსე "უნივერსის" ორი მოზრდილი და ერთიც შედარებით პატარა დარბაზი. ირინას ფოტოების გარდა, ექსპოზიციაზე წარმოდგენილია რამდენიმე საარქივო მასალა და ფოტოები შტრაუსის კლინიკური იმუნოლოგო-ვირუსოლოგიის ატლასიდან. ამ ყველაფერს კი უფრო მეტი მისია დააკისრეს ავტორებმა, ვიდრე ვიზუალური ფანტაზიის ვარჯიშია. მათ სურთ საკმაოდ არასტანდარტული ფორმით უთხრან საზოგადოებას, რომ ღვიძლის დაავადების პრობლემა საქართველოში მწვავედ დგას.

ვერნისაჟი



"ობობა", 1999 წელი, ავტორი: დათო მონავარდისაშვილი

# განსხვავებული სამყარო



მიტინგიდან 200 მეტრში

ნათია ვადაჭკორია

ამ დღეებში საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო, იმის მიუხედავად, ახლოს ვართ პოლიტიკასთან თუ მოშორებით, უკლებლივ ყველა აღელვებული და შეშფოთებულია. გუშინ სწორედ ამ განწყობით მივდიოდი გალერეა "ჰობიში", რომელიც რუსთაველის გამზირიდან რამდენიმე მეტრში მდებარეობს; კარი შევაღე და... აბსოლუტურად სხვა სამყარო, კედელზე მიმაგრებული ნახატებიდან გადმოსული ბავშვები, ანგელოზები, ზღაპრის პერსონაჟები, ფერიები, გოთურ სტილში მოცეკვავე გოგონები – მოკლედ, გრაფიკოს-მხატვარ მედეა გურგენიძის პერსონალური გამოფენა დამიხვდა.

მედეა გურგენიძე თბილისის აკადემიადამთავრებული, პროფესიონალი მხატვარია. გალერეა "ჰობიში" მისი რიგით მეორე, პერსონალური გამოფენა გაიხსნა, პირველი ამას წინათ "ძველ გალერეაში" მოეწყო. თუმცა, მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიისთვის ჯგუფურ ექსპოზიციებში მონაწილეობა არ არის უცხო. მედეა საკმაოდ სიტყვაძუნწია და ეს, ალბათ, იმის "ბრალია", რომ ის თავისი ნამუშევრებით გვესაუბრება. პოეზიის, მუსიკის და კინოს მოყვარულს ხშირად მუსიკა ევლინება შთაგონების წყაროდ. ხოლო ჰაეროვნება, დეკორატიულობა და მსუბუქი მელანქოლია, რომელიც მის გრაფიკას თუ აკვარელს ახასიათებს, შესანიშნავად მიესადაგებოდა რომელიმე თეატრალური დადგმის გაფორმებას. სხვათა შორის, გამოფენის გახსნაზე ხელოვნებათმცოდნე ნინო ზაალიშვილმა აღნიშნა, რომ მედეა მშვენივრად გააფორმებდა ქართულ ზღაპრებს და არც ძმები გრიმების და ჰოფმანის ზღაპრებისთვის იქნებოდა ურიგო მისი ილუსტრაციები.

როგორც თავად მედეამ გვითხრა – მის ნამუშევრებში თავისი ნატურა, სული გამოსჭვივის. ახლანდელი რევოლუციური შფოთვა არანაირად არ აისახება მის განწყობაზე და, შესაბამისად, არც მის შემოქმედებაზე.

ჩემი აზრით კი, მედეა გურგენიძის ნამუშევრები ბედნიერ და ნათელ მომავალზეა აქცენტირებული.

# აშშ-ში სინგლებს ინტერნეტით ყიდულობენ

მელომანები აშშ-ში ციფრულ ფორმატში თითქმის ორჯერ მეტ სინგლს ყიდულობენ, ვიდრე კომპაქტ-დისკებზე. ამაზე მეტყველებს საგანგებოდ ჩატარებული ძიება, რომლის მონაცემების მიხედვით, 2003 წლის მეორე ნახევარში ინტერნეტით 7 მილიონ შვიდასი ათასი სიმღერა გადაქაჩეს მუსიკის მოყვარულებმა. ჟურნალ "ბილბორდის" მონაცემებით კი, იგივე პერიოდში გაიყიდა 4 მილიონი სინგლი კომპაქტ-დისკზე. ეს მონაცემები მეტყველებს ერთადერთზე, რომ სიმღერებით მომარაგების ახალი მეთოდი მეტად წარმატებულია.

არიან ექსპერტები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ინტერნეტით გადაქაჩული და გაყიდული კომპაქტ-დისკების რაოდენობის შედარება არაფრისმეტყველია თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ყველა ცალკეული სიმღერა არ გამოდის კომპაქტ-დისკზე. მოთხოვნილება კი მათზე არსებობს და აქედან გამომდინარე, ჭარბობს ინტერნეტით მუსიკალური ფაილების შეძენის მსურველთა რაოდენობა. როგორც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ ბევრმა მსხვილმა ხმისჩამწერმა კომპანიამ შეწყვიტა სინგლების გამოცემა გაყიდვების შემცირების გამო. ამავე დროს, სხვადასხვა ინტერნეტ-საიტი დაახლოებით ერთ დოლარად სთავაზობს მომხმარებელს ნებისმიერი სიმღერის ჩანაწერს. ყველაზე პოპულარულ ვებ-საიტებს შორისაა: კომპანია Apple-ის iTunes, ასევე მეორედ დაბადებული "ნაპსტერი" და Musicmatch. ამას გარდა, ინტერნეტში ისევ არსებობს "კაზაასა" და "მორფეუსის" ტიპის პროგრამები, რომელთა მომხმარებლებს თავისუფლად შეუძლიათ გაუცვალონ ერთმანეთს მუსიკალური ფაილები.

ჟურნალ "ბილბორდის" მონაცემებით, ოქტომბრის უკანასკნელი კვირის განმავლობაში, ინტერნეტით გაიყიდა 857 ათასი სიმღერა, ხოლო კომპაქტ-დისკებზე – 170 ათასი. ამავე დროს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ყველაზე პოპულარული სინგლები სწორედ კომპაქტ-დისკებზე იყიდება. ასე მაგალითად, სიმღერა I Can Only Imagine (რომელსაც ასრულებს ჯგუფი MercyMe) ერთ კვირაში 6900 ადამიანმა შეიძინა, ხოლო ინტერნეტში ყველაზე პოპულარული სიმღერა Hey Ya! (OutKast-ის შესრულებით) - ინტერნეტის მომხმარებლებმა მხოლოდ 4700-ჯერ გადატვირთეს. კომპანია Real Networks-ის ხელმძღვანელის თქმით, ციფრულ ფორმატზე გაყიდული სიმღერების მონაცემების შესახებ ინფორმაცია ხმისჩამწერი ინდუსტრიისთვის მეტად მნიშვნელოვანია: "ცალკეული სიმღერების ჩვეულებრივ ფორმატში გაყიდვა აღარ ამართლებს, მაგრამ ინტერნეტში ის შეიძლება სავსებით წარმატებული იყოს".

# დაჩოქილი და მოწყენილი ჰიტლერი

ნაცისტების ლიდერი, ადოლფ ჰიტლერი მიუნხენის სამხატვრო გალერეაში ცარიელ ოთახში მუხლებზე დააყენეს. ეს არის მეტად შთამბეჭდავი პრეცედენტი გერმანიის კულტურულ ცხოვრებაში, სადაც წლების განმავლობაში ფაშისტებმა ტაბუ დაადეს ნებისმიერი ფიურერის მხატვრულ გამოსახულებას (გამონაკლისია დოკუმენტური ფილმები). გამოფენა ჰიტლერის სკულპტურით გაიხსნა მუზეუმში, რომლის აშენებაც 1937 წელს თავად ფიურერმა ბრძანა. მუზეუმი პირველადი სახელწოდებით Haus der Deutschen Kunst ჰიტლერის ერთ-ერთმა საყვარელმა არქიტექტორმა პაულ ლიუდვიგ ტროსტმა ააგო. 1937-44 წლებში იქ გერმანული ხელოვნების ყოველწლიური გამოფენები ეწყობოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მუზეუმს Haus der Kunst ეწოდა.

იტალიელი მხატვრის მაურიციო კატელანის სკულპტურა ჩაფიქრებულ, მოწყენილ ჰიტლერს აჩვენებს საზოგადოებას. აცვია თანამედროვე სტილის ცისფერი პიჯაკი და დაჩოქილი, მლოცველის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ექსპოზიციაზე გამოფენილია ასევე დიანა არბუსის, ჯეიმს კოლემანისა და სხვა ცნობილი თანამედროვე მხატვრების ნამუშევრები.



ლიქტატორის მონანიება

## ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრების: გიგი თევზაძის, ნიკოლოზ ონიანის და დავით კიკალიშვილის

**განცხადება**

საქართველოს ხელისუფლებისა და პრეზიდენტის დაპირისპირებამ საკუთარ ხალხთან ქვეყანა პოლიტიკურ კრიზისამდე მიიყვანა. არჩევნების გაყალბება და შემდგომი აშკარა ალიანსი ანტიდემოკრატიულ ძალებთან იმას მიუთითებს, რომ საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მტკიცედ გადაწყვიტა, დაადგეს ქვეყნისთვის დამღუპველ ანტიდემოკრატიულ გზას.

ჩვენ, პრეზიდენტთან არსებული ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრები, ვთვლით, რომ ველარ ვიქნებით იმ პრეზიდენტის მრჩევლები, რომელიც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიდის და ცდილობს, ყველა ხერხით შეინარჩუნოს ძალაუფლება.

ჩვენ არასწორად მიგვაჩნია, გვეკავოს რაიმე, თუნდაც მრჩევლის თანამდებობა, ასეთი სახელმწიფო მმართველობის იერარქიაში.

## სასწრაფო დევეშა პრეზიდენტ შევარდნაძეს, ოპოზიციის ლიდერებს!

*საქართველო თბილისი*

ანარქიის და სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილად მიმაჩნია არჩევნების შედეგების გაუქმება და ახალი არჩევნების დანიშვნა უახლოეს, დასაშვებ პერიოდში. მოტივაციის მთავარი მიზეზები – დაუზუსტებელი სიები, ხმის მიცემის საშუალებას მოკლებული უამრავი მოქალაქე, შემოსული საჩივრები და გაყალბების აშკარა ფაქტები, რასაც ადასტურებს მეთვალყურე – როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ორგანიზაციები.

შედგეს ახალი კომისიები – არჩევნებში მონაწილე ბლოკების თითო წარმომადგენლით დაკომპლექტებული. ასეთივე პრინციპით დაკომპლექტდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიაც. მათი უფლებამოსილება განისაზღვროს არჩევნებიდან – არჩევნებამდე. კომისიის თავმჯდომარედ ირჩევენ ერთ-ერთი კომისიის წევრს, რომელსაც გარდა ხელის მოწერისა, არავითარი პრივილეგია არ ექნება. ამომრჩეველთა სიები ყველა უბანზე გამოიკვრება არჩევნებამდე ერთი თვით ადრე. პრეზიდენტს ამ არჩევნებში ნეიტრალური პოზიცია უკავია.

მანამდე ძველი პარლამენტი ანახლებს მუშაობას და მკაცრი გრაფიკით, ძირითადად, დაკავდეს კანონშემოქმედებითი მუშაობით და არა პოლიტიკური დებატებით. დროებითი კონსესუსის მისაღწევად პრეზიდენტმა უნდა დაითხოვოს აგრესიული მთავრობა – როგორც უუნარო - და შექმნას ახალი – სახალხო ნდობის კოალიციური მთავრობა. ახალ მთავრობაში უნდა შევიდეს ოპოზიციის მთელი სპექტრი. შეთანხმების საფუძველზე, არ არის გამორიცხული მთავრობაში დარჩეს რამდენიმე პიროვნება, რომელთაც რეპუტაცია არა აქვთ შელახული.

ამ გადამწყვეტ მომენტში პრეზიდენტის მიერ გამოჩენილი რაიმე დაუსაბუთებელი წინააღმდეგობა, ან ოპოზიციის მიერ მთავრობაში შესვლაზე უარის თქმა – დაადასტურებს მათ პოზიციას, რეალურად უნდათ თუ არა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება.

დღეს დაშვებული მცირე შეცდომაც კი საბედისწეროა! ერთი მუჭა კლანის ინტერესებს ნუ გადავაყოლებთ უდიდესი კულტურისა და ისტორიის ქვეყანას!

ისტორია და ხალხი არცერთ მხარეს ამას არ გაპატიებთ.

*პატივისცემით თემურ ავალიანი*
*საქართველოს მოქალაქე*
*ქ, დენვერი, აშშ*

## საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის განცხადება

2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების დროს საზოგადოების ნაწილს საერთოდ წაართვეს არჩევანის გაკეთების კონსტიტუციური უფლება. არჩევნები ჩატარდა დარღვევებით, ხოლო ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში არჩევნების გაყალბების გაუგონარმა მასშტაბმა გამოიწვია არჩევნების შედეგების ტოტალური ცვლილება, რაც აბსოლუტურად აღარ შეესაბამება რეალურ ვითარებას (ამას ადასტურებს როგორც ეგზიტპოლების, ისე ხმების პარალელური დათვლის შედეგები). ყოველივე ამან კი საზოგადოების აღშფოთება და მღელვარება გამოიწვია.

არჩევნების გაყალბების გამო პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც ხელისუფლებას, ისე ყველა იმ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც გაურიგდა ხელისუფლებას და არჩევნების შედეგების დაფიქსირებას მხოლოდ ქაღალდზე მანიპულაციებით ცდილობს.

ასოციაციის წევრები საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ და სრულად იზიარებენ ამ საზოგადოების აღშფოთებასა და მოთხოვნებს.

გარდა ხელისუფლების ხისტი პოზიციისა, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ცალკეული პოლიტიკური პარტიების მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის გადაბრალება და თავდასხმები თავისუფალ ქართულ მედიაზე.

ჩვენ, როგორც საგამომცემლო ბიზნესისა და თავისუფალი სიტყვის წარმომადგენლები, სოლიდარობას ვუცხადებთ საზოგადოებას, რომელიც საკუთარ არჩევანს იცავს და ვაცხადებთ, რომ მშვიდობიანი საპროტესტო აქციების წინააღმდეგ ძალის გამოყენების შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა ცალსახად დაეკისრება ხელისუფლებასა და იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც იგნორირებას გაუწევენ საზოგადოების მოთხოვნებს.

*ასოციაციის სახელით:*
*მერაბ ქათამაძე, გამომცემლობა "აზრი"*
*გია მგალობლიშვილი, გამომცემლობა "ლამპარი"*
*დავით ჯვარშეიშვილი, "პრემიერი"*
*ბაკურ სულაკაური, "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"*
*ლევან თითმერია, გამომცემლობა "საარი"*
*ნელი მახვილაძე, ტექინფორმის "ცოდნის ცენტრი"*
*დავით გოცირიძე, "წიგნის სააგენტო"*
*ირმა გურაშვილი, ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი*




## საქართველო მიქცეულ უნდა იქნეს არა უკან, აზიისაკენ, არამედ წინ, ევროპისაკენ

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, გერმანიის ქალაქ ჰამბურგში შედგა საპროტესტო აქცია. აქციაში მონაწილეობას იღებდნენ ჰამბურგის ქართველი სტუდენტები და საზოგადოების სხვა ფენის წარმომადგენლები. მონაწილენი ითხოვდნენ 2 ნოემბერს საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაუქმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი - საქართველოს მთავრობის გადადგომას.

შეკრებილებმა მხარი დაუჭირეს საქართველოში მიმდინარე საპროტესტო აქციებში მინაწილეებს. მათ იმედი გამოთქვეს, რომ ეს ერთობლივი ძალისხმევა უშედეგოდ არ ჩაივლის, საქართველოს მთავრობა გონს მოეგება და წამოჭრილი პრობლემები დემოკრატიული გზით გადაწყდება. აქციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა:

**ჩვენ, ისინი, ვინც აქ გერმანიაში ჩავწვდით დემოკრატიის ჭეშმარიტ არსს, გულისტკივილით აღვიქვამთ საქართველოში ტოტალურად გაყალბებული არჩევნების ფაქტს. იგი პირდაპირ იმას მიუთითებს, რომ ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას საეჭვო პერსპექტივა აქვს.**

**მაგრამ, აქვე იმედს ბადებს აზვირთებული მასობრივი პროტესტი. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს და მიუთითებს ქართული აზროვნების ერთიან ისტორიულ გეზზე, რომელიც გაცხადდა ქართველ სამოციანელთა ეროვნულ პროგრამაში: საქართველო მიქცეულ უნდა იქნეს არა უკან, აზიისაკენ, არამედ წინ, ევროპისაკენ.**

**ამ პოზიციით სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური იდეალები მოიაზრებოდა.**

**ქართველი საზოგადოების დღევანდელი საყოველთაო პროტესტი სამოქალაქო საზოგადოებისაკენ სწრაფვის პირდაპირი გამოხატულებაა. ეს ქართული სააზროვნო კულტურის გამოვლენაა და ჩვენც, ამჟამად გერმანიაში მყოფი ქართველები, ვუერთდებით ჩვენი ერის ამ ისტორიულ მისწრაფებას, ვამაყობთ და გამარჯვების გზას დავულოცავთ.**

*ჰამბურგი, 11. ნოემბერი 2003*








## საპროტესტო აქციის მონაწილეებს

ფინეთის ქართული პოლიტიკური ემიგრაცია უერთდება ქართველი ხალხის მოთხოვნას ედუარდ შევარდნაძის დაუყოვნებლივ გადადგომის შესახებ.

შევარდნაძის უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელებულმა 1991-1992 წლების სისხლიანმა გადატრიალებამ საქართველო ააცდინა სახელმწიფოებრივი განვითარების ბუნებრივ გზას. საქართველოს მტრებთან ბინძური პოლიტიკური გარიგებების შედეგად ხელყოფილ იქნა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, რასაც შეეწირა ათობით ათასი ქართველის სიცოცხლე. ერის მნიშვნელოვანი ნაწილი ლტოლვილად იქცა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

მოვიდა დრო, დამნაშავემ პასუხი აგოს ღმერთისა და ერის წინაშე!

ვწუხვართ, რომ ამ გადამწყვეტ ჟამს სამშობლოსაგან შორს ვიმყოფებით, მაგრამ მთელი სულითა და გულით ვუერთდებით ქართველი ერის სამართლიან მოთხოვნას.

ძირს შევარდნაძის კრიმინალური რეჟიმი!

გვჯერა, რომ მაოხრებელი გზირის მოშორებით ყველა სირთულე არ დაიძლევა. მაგრამ უშევარდნაძეო საქართველოში ქართველ ხალხს მიეცემა საშუალება, განსაზღვროს თავისი მომავალი.

საქართველო კვლავ იღვიძებს! ეს მხოლოდ დასაწყისია. მომავალი - ჩვენია.

*ფინეთის ქართული*
*პოლიტიკური ემიგრაცია*
*ჰელსინკი*

*ღია წერილი*

## საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, ამერიკაში მცხოვრები ქართველებისგან

ბატონო პრეზიდენტო!

მოგმართავთ ამერიკაში მცხოვრები ქართველები.

წლების განმავლობაში ჩვენ ვაკვირდებით თქვენს ქმედებას საქართველოში იმედით, რომ მოხდება საოცრება. თქვენ განახორციელებთ თქვენივე დაპირებებს, რომ საქართველოს მოსახლეობა გამოაღწევს ფიზიკური განადგურების ფაზიდან.

საქართველოში ბევრი იმსხვერპლა სასოწარკვეთილებამ. თქვენ წაართვით ხალხს უკანასკნელი იმედი.

თქვენი მოსვლა საქართველოს მმართველად 1972 წ. აღინიშნა არნახული ეგზეკუციებით. ქვეყანაში დაისადგურა საყოველთაო შიშმა და დეპრესიამ. თქვენ ამაყობდით ამ აქციებით და იმეორებდით, რომ გააბატონებდით საბჭოთა წყობას საქართველოში. ჩვენ გვესმის, რომ თქვენს სულისკვეთებას ამოძრავებდა კრემლის დირექტივა და თქვენი პირადი ანგარება, მაგრამ თქვენ აირჩიეთ არასწორი ქვეყანა. საქართველოს მოსახლეობის ბუნება შეუთავსებელია მონობის სულთან. 1985 წ. მიაღწიეთ თქვენი კარიერის პიკს, კრემლს. მთელი მსოფლიო აღფრთოვანებული იყო თქვენი ღიმილით ეკრანზე, ქართველები კი - გაოცებული ახალი მიმიკით. ეს იყო აქამდე უცნობი მიმიკა თქვენს სახეზე. ახლა ყველას ესმის, რომ ის გამოხედვა უბრალოდ ნიღბავდა ჭეშმარიტ ზრახვებს.

დასავლეთი კმაყოფილი იყო თქვენი აბსოლუტური თანხმობით და შიკრიკობით მოსკოვსა და ცივილიზაციას შორის. შეიქმნა ყალბი დემოკრატიის იმიჯი, ამიტომ ყველა მოტყუებულმა დაგიჭირათ მხარი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების გადატრიალებაში.

თქვენ დაარღვიეთ ყველა მორალური და იურიდიული კანონი, როცა დაჩეხეთ მრავალათასიანი, მშვიდობიანი დემონსტრაცია თბილისში 1989 წ.

როცა გამოიყენეთ რუსეთის ტანკები და ადგილობრივი კრიმინალები დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ 1991 წ.

როცა ცეცხლითა და მახვილით გადაუარეთ საქართველოს მოსახლეობას 1992 წ.

როცა გააჩაღეთ ომი აფხაზეთში და გააუბედურეთ ასიათასობით ადამიანი.

თქვენი ბატონობის ყოველი დღე საქართველოს უფსკრულში მიაქანებდა. თქვენი მეთაურობისას დაიხოცა ათასობით ადამიანი, შეიქმნა ახალგაზრდების სასაფლაოები, გადაიხვეწა მოსახლეობის მეოთხედი.

უძველესი კავკასიელი ერი, უნიკალური კულტურის მატარებელი გენი, თქვენ გადააქციეთ მოშიმშილე ბიომასად.

წლების განმავლობაში მსოფლიო ცდილობდა გამოეცნო, თუ რა პრინციპებს ემსახურებოდით. გამოირკვა, რომ თქვენ ემსახურებით მხოლოდ გადარჩენის ინსტინქტს, ამიტომ იქცევით საშიშროების შესაბამისად: უთმობთ დასავლეთს, როცა თავდება ფული, უთმობთ რუსეთს, როცა გვაყრიან ყუმბარებს, ხალხს – როცა ის ერთიანდება. ეს არ არის პოლიტიკოსის დიპლომატიური ნიჭი, ეს არის სალამანდრას თანდაყოლილი რეფლექსი.

*თანადგომა*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომლები სოლიდარობას ვუცხადებთ საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვინც ცდილობს დაიცვას დემოკრატიული ფასეულობები. საქართველოს ხელისუფლების კონსტიტუციური მოვალეობაა, არჩევნების სამართლიანად ჩატარების უზრუნველყოფა - ის, რომ სხვა დროსაც ყალბდებოდა არჩევნები, გასამართლებელ საბუთად არ მიგვაჩნია. 2003 წლის 2 ნოემბერს, ხმების გაყალბებასთან ერთად, ჩვენს მრავალ მოქალაქეს არ მიეცა არნევნებში მონაწილეობის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლება. ვითხოვთ, გაუქმდეს 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნები და სასწრაფოდ მომზადდეს სიები იმ მოქალაქეებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუცია ანიჭებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, რათა ხელმეორედ, დროულად და სამართლიანად ჩატარდეს საქართველოს პარლამენტის არჩევნები

***ინსტიტუტის თანამშრომლები***











სვეტი

# კანცელარიაში მოგელი, კარგო...

მაია ჭალაგანიძე

ოპოზიციისა და ხელისუფლების ერთმანეთისკენ გადადგმული ნაბიჯების უიმედო ლოდინი იმას მიანიშნებს, რომ ხელისუფლებამ ერთადერთი პოლიტიკა აირჩია - **невижу**... შეყვარებულებს შორის ზედმეტი ეჭვიანობისთვის ამის გაკეთება ზოგჯერ ცუდი არ არის, მაგრამ, როცა ამას ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება საძულველი ოპოზიციისთვის აკეთებს, ეჭვი მის სიჯანსაღეში შეიძლება შევიტანოთ.

მივყვეთ გუშინდელი უიმედო პაემნების ტრაექტორიას.

თავიდან სახელისუფლო ბლოკის ერთ-ერთი ფრთის წარმომადგენელი, ქალაქის მერი ვანო ზოდელავა პრეზიდენტისა და დემოკრატიული ოპოზიციის მხოლოდ ორ ლიდერთან შეხვედრის წუთი წუთზე დაწყებას ამცნობს ჟურნალისტებს და ისინიც სასწრაფოდ და ორგანიზებულად იწყებენ სირბილს კანცელარიის კიბეებზე. მეტი საიმედოობისთვის, კანცელარიის პრესსამსახურში შეხვედრაზე დასაშვებ ჟურნალისტთა სიაც კეთდება... ეს იყო მედიისთვის მოწყობილი პირველი ცრუ განგაში.

ბლოკის კიდევ ერთი ფრთა (ხელისუფლების ლაჟვარდებში ასაფრენად გამზადებულ ბლოკს ზოგი ძლიერი, ზოგი - სუსტი, ზოგი დამოუკიდებელი და ზოგიც მიტმასნილი იმდენი ფრთა აქვს, რომ საეჭვოა, სინქრონული მოძრაობა შეძლონ), შედარებით ხუმარა და სიმპათიურად უტიფარი ვახტანგ რჩეულიშვილი პირველი ახმოვანებს ბლოკის "გადაწყვეტილებას" "გიჟისთვის" ხმების მომატების შესახებ. ეს ბლოკის მისანმა სპიკერმა ქალბატონმა იმიტომ არ გაახმოვანა, რომ მივმხვდარიყავით - რჩეულიშვილი ამ ხმებს ცესკო-ში დაბინავებული "სოციალისტური" კალათიდან ამოიღებდა...

და წავიდა მედიებში მსჯელობა - მიდიან დათმობაზე, არ მიდიან, ასლანი... მამალაძე... ტუი... მოკლედ, ამათი ხსენება.

კანცელარიის დერეფანში გამოსული კიდევ ერთი ფრთა ლაჟვარდში - ლევან მამალაძე - "თავს ვერ აღწევს" კამერებს და იკვირვებს - ეგენი (ოპოზიცია) სულ აქ არ არიანო?

და რეპორტიორებიც ამ "უმნიშვნელო" დეტალზე ამახვილებენ ყურადღებას... მერე გადაწყვიტეს, ეყოთ დასვენებაო, და ჟურნალისტები ახლა მერიაში აფრინეს - ჯორბენაძე და პატარკაციშვილი სააკაშვილს ხვდებიანო...

ეს იყო მეორე ცრუ განგაში.

ყველაზე საინტერესო გვიან საღამოს დაიწყო - შეიქმნა ვითარება, თითქოს, შევარდნაძე-ჯორბენაძე-დევდარიანმა ყველა საქმე დაყარეს, პრეზიდენტის კაბინეტში შეიყარნენ და კარგი შეყვარებულებივით ოპოზიციის ლიდერთა ლოდინი გააბეს. წარმოგიდგენიათ, საათნახევრით ეს სამი უმაღლესი და დღეისთვის გადამწყვეტ თანამდებობაზე მყოფი ადამიანი იჯდა, მუსაიფობდა და ოპოზიციას ელოდა... ყოველ შემთხვევაში, ასეთი სურათი დახატეს.

ზევით "ნევიჟუ" ვახსენე - ის ქვევითაც გრძელდება. ბათუმის 22-ე შეხვედრის მერე ეს პრეზიდენტის ოპოზიციასთან შეხვედრის მესამე მცდელობა იყო. ისევე, როგორც სხვა ყველაფერს, ამ შეხვედრათა რაოდენობასაც კანცელარია ითვლის, თორემ ჩვენ ერთადერთი და წარუმატებელი შეხვედრა გვახსოვს... იმ ერთადერთიდან მოყოლებული პრეზიდენტი მზადაა, შეხვდეს ოპოზიციას, ოღონდ, ერთი პირობით - ვერ დააკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნას, რადგან ვერაფერს აკონტროლებს და ვერაფერს შეცვლის... თუ არ ჩავთვლით რამდენიმე "გადაგდებულ" ზედმეტ მანდატს პარლამენტში, რომელიც აუცილებლად შეურაცხყოფს ოპოზიციას და აუცილებლად არ მიიყვანს შეხვედრაზე.

ბლოკის ეს ფრთები ერთმანეთს უტყლაშუნებენ, ალბათ, თორემ ხალხს რომ ვერ მოატყუებენ, დღესავით ნათელია...

გარეთ კი უფრო და უფრო ცივა, ქარია, ნოემბერი ძალაში შედის. პრეზიდენტი საათნახევრით მოცდენისთვის ცესკო-ს თავმჯდომარესთან გრძნობს თავს უხერხულად და ებოდიშება, იმის მიუხედავად, რომ კანცელარიაში არც სიცივე, არც ქარი და მით უფრო, არც ხალხის ხმა აღწევს.

ფეხბურთი

# სამხრეთამერიკული "დერბი" ქართულად

მიხეილ აბაიშვილი

კვირას სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის კალენდარულ მატჩში ბრაზილიის ნაკრები ლიმაში პერუს ნაკრებს დაუპირისპირდება. დღეს, საქართველოს ჩემპიონატის მე-17 ტურის მატჩში, "ლოკომოტივი" ქუთაისის "ტორპედოს" დაუხვდება. გაინტერესებთ, რითი ჰგავს ეს ორი თამაში ერთმანეთს? მწვრთნელებით, რომელთა წარმოშობა გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ დღეს საქართველოში პირველი სამხრეთამერიკული "დერბი" იმართება, ოღონდ ქართული გუნდების მონაწილეობით.

გუშინ "ლოკომოტივის" პერუელმა დამრიგებელმა, ლუის ცაკარიასმა და "ტორპედოს" ბრაზილიელმა თავკაცმა, ჟოაო პაულუ კამპუშმა გამართეს მატჩისწინა პირველი პრესკონფერენცია, რომელმაც მედიის დიდი ინტერესი გამოიწვია.

თვეზე ცოტა მეტია, რაც ბრაზილიელი მწვრთნელი საქართველოშია. მართალია, მან ბათუმში სადებიუტო მატჩი დიდი ანგარიშით (0:4) დათმო, მაგრამ ამის შემდეგ თამაში აღარ წაუგია. წინა ტურში ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი მაძიებელი, "ვიტ ჯორჯია" დაამარცხა და თბილისში იმედიანად ჩამოვიდა.

"ქუთაისში ჩასულს, ძალზე დიდი სამუშაო დამხვდა. პირველ რიგში, გამოსასწორებელი იყო "ტორპედოს" ფეხბურთელთა ფიზიკური მომზადების დონე, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. ვფიქრობ, იმ მცირე დროში, რაც "ტორპედოსთან" ვმუშაობ, საკმაო წარმატებას მივაღწიეთ. რაც მთავარია, პროგრესის გზით მივდივართ და ეს შეუქცევად ხასიათს იღებს", - განაცხადა კამპუშმა.

ჯერჯერობით ბრაზილიელი შთამბეჭდავი სამწვრთნელო მოღვაწეობით ვერ დაიკვეხნის. მისი კარიერის მწვერვალი იყო მუშაობა სან პაულუს შტატის არაფრით გამორჩეულ ერთ-ერთ გუნდში - "ინტერნასიონალ ლიმეირაში", რომელიც შტატის პირველობაზე თამაშობს. ქუთაისში მიპატიჟება საკუთარი კარიერისთვის წინ გადადგმულ ნაბიჯად მიაჩნია და საქართველოს ჩემპიონატსაც საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს.

"ძალიან მიხარია, რომ საქართველოში მიმიწვიეს. წინადადებაზე დიდხანს არ მიფიქრია. მართალია, საქართველოზე მწირი ინფორმაცია მქონდა, მაგრამ აქ ჩამოსულმა დავინახე, რომ თქვენი ეროვნული ჩემპიონატი საკმაოდ მაღალი დონისაა. დღეს ჩვენს წინაშე რთული ამოცანა დგას: მოვხვდეთ ფინალურ ექვსეულში, რაზეც გუნდების დიდი ჯგუფი აცხადებს პრეტენზიას. შეიძლება ითქვას, რომ ქულების დაკარგვის უფლება აღარ გვაქვს", - მიაჩნია ბრაზილიელ სპეციალისტს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ "ლოკომოტივი" და "ტორპედო" 22-22 ქულით მე-6-მე-7 ადგილებს ინაწილებენ, ნათელია – არც რკინიგზელთა გუნდს ელის დალხინებული ფინიში ჩემპიონატის პირველ ეტაპზე.



ლუის ცაკარიასი და ჟოაო პაულუ კამპუში თავისი ოსტატობის დამტკიცებას შეეცდებიან

"დღევანდელი შედეგებიდან გამომდინარე (მე-17 ტურის 4 შეხვედრა გუშინ გაიმართა,-რედ.), ძალზე დაიძაბა სატურნირო ვითარება იმ გუნდებში, რომლებიც პირველ ექვსეულში შესვლისთვის იბრძვიან. ამ თვალსაზრისით, ხვალინდელი მატჩი ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია და 3 ქულა ჰაერივით გვჭირდება. შესაბამისად, მოგებაზე ორიენტირებულ სტრატეგიას და ტაქტიკას ავირჩევთ, ძირითად შემადგენლობასაც ამ ტაქტიკას მოვარგებთ", - განაცხადა ლუის ცაკარიასმა, რომელმაც "ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაბრუნებიდან პირველ ორ შეხვედრაში 4 ქულა კი შესძინა თავის გუნდს, მაგრამ ბოლო ტურში "დინამოსთან" დამარცხდა. ამიტომაც, გასული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორთან წარმატებული თამაშით "ლოკომოტივში" ფსიქოლოგიური ფონის გაუმჯობესებას და საბრძოლო სულის გამოღვიძებას გეგმავს.

თუმცა, არც მისი ვიზავი აპირებს წაგებას და, როგორც განაცხადა, ძალიან ნაწყენი დარჩება, თუ მისი გუნდი დღეს... ფრედ ითამაშებს.

"რა თქმა უნდა, მოგებისთვის ვიბრძოლებთ. მართალია, გუნდში პრობლემები საბოლოოდ არ აღმოგვიფხვრია, მაგრამ შემადგენლობისა და თამაშის ხარისხის დაბალანსება მეტ-ნაკლებად მოვახერხეთ, რაც უკვე მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ, შინ თუ გარეთ, ქუთაისის "ტორპედო" ყველა შეხვედრაში მხოლოდ მოგებაზე ითამაშებს. ამიტომაც, იმედგაცრუებული დავრჩები იმითაც კი, თუ ხვალ მატჩი ფრედ დასრულდება", - დარწმუნებულია საკუთარი გუნდის შესაძლებლობებში "ტორპედოს" დამრიგებელი.

რაც შეეხება დანაკლისს, ქუთაისელთა თავდამსხმელი მუშკუდიანი ტრავმას უჩიოდა, თუმცა, უკვე აღიდგინა კონდიციები და, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. "ლოკომოტივს" ისევ არ ეყოლება გუნდის ძირითადი მეკარე სოსო გრიშიკაშვილი. სამაგიეროდ, ტრავმა მოიშუშა ეროვნული ნაკრების მცველმა რევაზ ქემოკლიძემ. შეიძლება ითქვას, რომ გუნდები საბრძოლო შემადგენლობებით დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

რაც შეეხება შანსებს, ორივე სამხრეთამერიკელმა აღიარა, რომ გუნდებს წარმატების თანაბარი შანსი აქვს.

**გაგაცნობთ მე-17 ტურის გუშინდელი დღის შედეგებს:**
**ვიტ ჯორჯია 0:1 კოლხეთი**
**თბილისი 0:1 ბათუმი**
**სიონი 4:3 დილა**
**მცხეთა 2:1 სპარტაკი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიონი | 17 | 10 | 6 | 1 | 26-11 | 36 |
| 2. დინამო | 16 | 10 | 4 | 2 | 33-8 | 34 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 16 | 8 | 5 | 3 | 25-10 | 29 |
| 4. დილა | 17 | 8 | 3 | 6 | 20-17 | 27 |
| 5. თბილისი | 17 | 7 | 4 | 6 | 28-19 | 25 |
| 6. ლოკომოტივი | 16 | 6 | 4 | 6 | 21-18 | 22 |
| 7. ტორპედო | 16 | 6 | 4 | 6 | 15-17 | 22 |
| 8. ბათუმი | 16 | 6 | 4 | 6 | 20-19 | 22 |
| 9. მცხეთა | 17 | 6 | 2 | 9 | 20-38 | 20 |
| 10. კოლხეთი | 17 | 4 | 3 | 10 | 10-22 | 15 |
| 11. სპარტაკი | 17 | 3 | 4 | 10 | 10-38 | 13 |
| 12. მერცხალი | 16 | 2 | 6 | 8 | 17-33 | 10 |

*დღეს გაიმართება:*
*ლოკომოტივი – ტორპედო*
*მერცხალი - დინამო*

# გიგზი დარწმუნებულია, რომ რუსებს დაამარცხებს



გიგზი რუსების წაქცევას აპირებს

ახლოვდება ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი პლეი-ოფის მატჩები. მონაწილე გუნდებში დაძაბულობა მატულობს. რუსეთის ნაკრები, რომელიც საკვალიფიკაციო ჯგუფში საქართველოსთან ერთად ასპარეზობდა, პლეი-ოფში უელსის ნაკრებს ხვდება. უელსელები დარწმუნებული არიან, რომ რუსების დამარცხებას და ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრას შეძლებენ. ამას წინათ ნახევარმცველმა კრეიგ ბელამიმ განაცხადა, რომ რუსეთთან დამარცხების შემთხვევაში ნაკრებში თამაშს შეწყვეტს. ახლა კი თავისი მოსაზრება გამოთქვა უელსელთა ლიდერმა და "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველმა რაიან გიგზმა.

გიგზის აზრით, რუსეთის წინააღმდეგ მატჩებში გულშემატკივრები უელსის ნაკრებისგან მხოლოდ გამარჯვებას ელიან და წარუმატებლობა მათ ძალიან გააწბილებს. "უკანასკნელ წლებში უდიდესი სამუშაო გავწიეთ. თუ უკანასკნელ მომენტში რუსებთან დავთმობთ, ჩვენს გულშემატკივრებს მეტისმეტად ვატკენთ გულს", - ამბობს გიგზი.

მანჩესტერელთა მარცხენა გარემარბი აცხადებს, რომ ძალიან დასანანი იქნება, თუ უელსის ნაკრები, რომელსაც ერთი ნაბიჯი აშორებს ევროპის ჩემპიონატისგან, შანსს ხელიდან გაუშვებს: "ათი წლის წინათ ჩვენ რუმინეთის ნაკრებთან დავმარცხდით და ამის გამო ვერ მოვხვდით მსოფლიო ჩემპიონატზე აშშ-ში. ეს ჩემი მეორე შანსია და ძალიან არ მინდა, ის ხელიდან გავუშვა".

გიგზმა ისიც თქვა, რომ მეტოქის შესახებ, რომელსაც შაბათს შეხვდება, ბევრი არაფერი იცის. "ჯონ ოშიმ ირლანდიის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა რუსეთის წინააღმდეგ და მან მითხრა, რომ რუსები განსაკუთრებით პირველ წუთებში არიან საშიში", - განაცხადა გიგზმა, თუმცა, დაამატა, რომ "ვერ ხედავს მიზეზებს, რომელთა გამო უელსის ნაკრებმა რუსებს ვერ უნდა მოუგოს".

## TV-სპორტი

### ხუთშაბათი 13. ნოემბერი

**НТВ + ФУТБОЛ**
06:00 NBA TV. დღიური
06:30 NBA TV. "GOLDEN STATE WARRIORS" - "DETROIT PISTONS". პირდაპირი ტრანსლაცია
09:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
09:30 NBA TV - NBA შიგნიდან
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ევრო-2004. "წარმოგიდგენთ უელსის ნაკრებს" ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. უელსი - ფინეთი
15:00 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 "დარტყმა გოლისთვის"
17:15 "ახალი ჩემპიონი"
18:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი
20:10 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
20:40 "FUTBOL MUNDIAL"
21:10 თავისუფალი დარტყმა
21:25 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 საუიკენდო მატჩების ანონსი
21:35 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
23:20 თავისუფალი დარტყმა
23:35 ევრო-2004. "წარმოგიდგენთ უელსის ნაკრებს" ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. უელსი – სერბია და ჩერნოგორია
01:20 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
03:10 03:10-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები". წელი 2003. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "PHILADELPHIA 76RS" - "DETROIT PISTONS". მე-5 თამაში

**НТВ + СПОРТ**
08:00 08:00-დან 11:00-მდე შესვენება
11:00, 14:00, 17:00 პრესცენტრი
11:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. "Masters series" ჰიუსტონში
13:15 "მუზარადის გარეშე"
14:15 ათენის გზაზე
15:15 ტრიატლონი. მსოფლიო თასი. გადაცემა ესპანეთიდან
16:15 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. მატჩი მე-3 ადგილისთვის
17:15 "ჩქაროსნული სამყარო"
17:45 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ფინალი
18:55 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "DALLAS STARS" - DETROIT RED WINGS". შესვენებისას (20:20) პრესცენტრი
21:30 "მოტოვებული კვირა"
22:15 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
22:45 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
23:30 ჩოგბურთი. "Masters series" ჰიუსტონში. პირდაპირი ტრანსლაცია
01:30 ახალი ამბები
01:45 "ჩქაროსნული სამყარო"

**EUROSPORT**
06:00 ჩოგბურთი. მასტერსის თასი აშშ-ში
11:30 აფროსნობა
12:00 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში
13:00 ოლიმპიური თამაშები
13:30 სნუკერი. საერთაშორისო ტურნირი "British Open"
14:30 ჩოგბურთი. მასტერსის თასი აშშ-ში
17:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ბედნიერი საათი
18:00 სნუკერი. საერთაშორისო ტურნირი "British Open"
21:00 ჩოგბურთი. მასტერსის თასი აშშ-ში
22:00 ჩოგბურთი. მასტერსის თასი აშშ-ში
01:00 სნუკერი. საერთაშორისო ტურნირი "British Open"
02:30 ახალი ამბები
02:45 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
04:45 ახალი ამბები
05:00 ჩოგბურთი. მასტერსის თასი აშშ-ში

# "ლივერპული" ოუენს კარგავს

"შეუძლებელია, ამ მომენტისთვის "ლივერპულში" ჩემს მომავალზე რაიმე ვთქვა. გუნდი რომ ყოველ წელიწადს ინგლისის ჩემპიონი ხდებოდეს, ცხადია, არავითარი დისკუსია აღარ იქნებოდა საჭირო. მაგრამ მე ჩემპიონთა ლიგაში, ევროპის საუკეთესო გუნდების წინააღმდეგ მინდა თამაში", - აცხადებს "ლივერპულის" 23 წლის თავდამსხმელი მაიკლ ოუენი.

ოუენის შეძენის სურვილი უკვე არაერთხელ გამოთქვეს ესპანურმა გრანდებმა "რეალმა" და "ბარსელონამ". მადრიდელები ინგლისელის შეძენის საკითხს მორიგ ხმაურიან ტრანსფერად განიხილავენ. "რეალმა" ხომ უკვე ტრადიცია დაამკვიდრა - ყოველ წელიწადს მან თითო სუპერ-ვარსკვლავი უნდა შეიძინოს. ოუენი კი 2004 წლის "პროექტია". "ბარსელონას" ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკაარდმა განაცხადა: "ოუენი არის ფეხბურთელი, რომელიც "ბარსელონას" ფილოსოფიაში საუკეთესოდ ეწერება. მისი შეძენით ჩვენ ძალიან ვართ დაინტერესებული". ოუენისთვის ბრძოლაში "რეალს" და "ბარსელონას" კიდევ ერთი ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდათ – ლონდონის "ჩელსი". რომან აბრამოვიჩი ოუენს მრავალმილიონიან კონტრაქტს სთავაზობს.



ოუენს ჩემპიონთა ლიგაში თამაში სურს

ოუენისა და "ლივერპულის" კონტრაქტი 2005 წლამდეა ძალაში. კლუბის ხელმძღვანელობა და მწვრთნელი ულიე დარწმუნებული არიან, რომ თავიანთ საუკეთესო ფეხბურთელს ამ ხელშეკრულების ამოწურვამდე შეინარჩუნებენ. თუმცა, რეალურად, ვითარება სხვაგვარია. ოუენს დიდი ამბიცია აქვს - ჩემპიონთა ლიგის მოგება უნდა. "ლივერპული" კი არათუ ჩემპიონთა ლიგაში, ეროვნულ ჩემპიონატშიც ვეღარ ახერხებს გამარჯვებას. ახლა გუნდი პრემიერლიგის ცხრილის მერვე საფეხურზეა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში "არსენალისთვის", "მანჩესტერისთვის" ან "ჩელსისთვის" კონკურენციის გაწევა შეძლოს.

არადა, "ლივერპულიდან" წასვლა ოუენს ნამდვილად არ უნდა და თუ ეს მაინც მოხდება, მხოლოდ გუნდის წარუმატებლობით გამოწვეული იძულებითი ნაბიჯი იქნება. "ჩემი კარიერა "ლივერპულში" დაიწყო. ეს გუნდი ჩემი ოჯახია. ცოტა ხნის წინათ ახალი სახლი შევიძინე და შვილიც გამიჩნდა. ძალიან ძნელია, ასეთ დროს ადგე და სხვაგან წახვიდე სათამაშოდ", - ამბობს ოუენი.

# "მადრიდში ბედნიერი ვარ!"

## დევიდ ბექჰემი თავისუფალი ცხოვრებით ტკბება

ნინო პირველი

ესპანეთში სეზონის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ინგლისური ტოტალიზატორი "ლებბროუკსი" მეტად უცნაურ ფსონებს იღებდა: ინგლისელები ნაძლევს დებდნენ, დევიდ ბექჰემი მადრიდში დიდხანს ვერ გაძლებს და მომავალ სეზონში ისევ ბრიტანეთში ითამაშებსო. ვინც ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და ბექჰემის უკან დაბრუნებაზე ფული დადო, ძალიანაც შეცდა. "სპაის ბოი" მადრიდში თავს შესანიშნავად გრძნობს და აცხადებს, რომ "რეალი" ერთადერთი კლუბია მსოფლიოში, რომელში თამაშიც სპორტსმენებს დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ბექჰემი იმდენად კარგად შეეწყო "რეალს", რომ საერთოდ აღარ სურს ინგლისისკენ გახედვა. ამას უკვე ინგლისელებიც აღიარებენ და "დაკარგულ შვილზე" სინანულით საუბრობენ. "ლებბროუკსიც" აღარ იღებს ფსონებს ბექჰემის უკან დაბრუნების თაობაზე. "ბექსი" მადრიდში ბედნიერია და ამას ყველა ხედავს.

"რეალი" ბექჰემისთვის სამოთხეა. შედარებაც არ შეიძლება ყოფილ კლუბ "მანჩესტერ იუნიატედთან", სადაც მას ყველაფერს უკრძალავდნენ. მკაცრი აღმზრდელი სერ ალექს ფერგიუსონი მოედნის მიღმა და ირლანდიელი "მაჩო" როი კინი მოედანზე ბექჰემს სიცოცხლეს უმწარებდნენ. "მან იუში" ცდილობდნენ, მისგან მიეღოთ უსიცოცხლო რობოტი, რომელიც მხოლოდ ფეხბურთის თამაშზე იქნებოდა კონცენტრირებული, "რეალში" კი "ბექსი" სრულიად თავისუფალია. არავინ აკრიტიკებს მის გარეგნობას, ჩაცმულობას, მანერებს, არავინ ერევა მის პირად ცხოვრებაში. ინგლისელებისგან განსხვავებით, ესპანელ ჟურნალისტებს არ სჩვევიათ, ფეხბურთელების ყოველი ნაბიჯი გააკონტროლონ. მადრიდში ბექჰემს დახვდა თავისუფლება, რაზეც ის ყოველთვის ოცნებობდა. "რეალის" მთავარი მწვრთნელი, პორტუგალიელი კარლოს კეირუში ისე განსხვავდება ალექს ფერგიუსონისგან, როგორც ცა - დედამიწისგან. მადრიდში გადასვლამდე კეირუში "მანჩესტერში" მუშაობდა, სერ ალექსის თანაშემწე იყო და, ბუნებრივია, ბექჰემს შესანიშნავად იცნობდა. როცა ფერგიუსონი ინგლისის ნაკრების კაპიტნის რანგში აღზევებულ ბექჰემს ბავშვივით ტუქსავდა და დისკოთეკაზე წასვლას უკრძალავდა, კეირუშიც იქვე იყო და მშვენივრად ხედავადა, როგორ ეშლებოდა ბექჰემს ნერვები. ინგლისიდანაც ხომ იმიტომ წავიდა, რომ სერ ალექსის შოტლანდიურ სიფიცხეს ვეღარ იტანდა. რაკი ბედმა ასე ინება, რომ კეირუში და ბექჰემი ერთად მოხვდნენ "რეალში", პორტუგალიელმა გონიერება გამოიჩინა და ბექჰემთან ურთიერთობისთვის სულ სხვა ტაქტიკა შეიმუშავა. ის არაფერს უკრძალავს ინგლისელ ვარსკვლავს. პირიქით, მუდამ იმას ცდილობს, ბექჰემს, რაც შეიძლება, სასიამოვნო გარემო შეუქმნას, რათა "სპაის ბოი" კარგ განწყობაზე იყოს და კარგად ითამაშოს. კეირუშის სტრატეგიამ ბოლომდე გაამართლა. "დიდი ხანია, ასეთი ბედნიერი აღარ ვყოფილვარ", - სიხარულისგან ბრწყინავს ბექჰემი.



მიუხედავად იმისა, რომ ესპანურად ცუდად ლაპარაკობს, მადრიდში ბექჰემი ყველას უყვარს. ქალებს იმიტომ, რომ ქერა, ლამაზი და ზრდილობიანია. "რეალის" მამრობითი სქესის ფანები კი მას კარგი თამაშისთვის აღმერთებენ. "ბექჰემი დარბის, იბრძვის, მუდამ გუნდის ინტერესებზე ფიქრობს და გოლები გააქვს. ის შესანიშნავია", - ამბობენ ფანები. "მე ყოველთვის ასე ვთამაშობდი. რა არის აქ გასაოცარი? ალბათ, ესპანეთში მანამდე კარგად არ მიცნობდნენ", - უკვირს ბექჰემს. მადრიდში ყველაფერი სხვანაირადაა. აქ ყველაფერს ითვლიან. არც ერთი ზუსტი პასი, არც ერთი საგოლე გადაცემა თუ გოლი გულშემატკივარს არასოდეს ავიწყდება. აქ კარგად იციან ვარსკვლავების დაფასება.

სრული ბედნიერებისთვის ბექჰემს მხოლოდ ერთი რამ აკლია - ოჯახი. ვიქტორია თავის ორ ბავშვთან ერთად ჯერ ისევ ინგლისში ცხოვრობს და არც აპირებს მადრიდში გადასვლას. "პოშ სპაისს" ნოყიერი ესპანური სამზარეულო საშინლად არ მოსწონს, - ძალიან ასუქებსო, - ჩივის. ბექჰემი მადრიდში მარტოა, დღემდე ცხოვრობს სასტუმრო "სანტო მაუროში", სადაც 80 დღეში 600 000 ევრო დახარჯა. არადა, უკვე მზადაა ვილა "ლა მორალეხა", რომლის დაქირავებაც სამი მილიონი ევრო დაჯდა. ბექჰემს იმედი აქვს, რომ ვიქტორია და ბავშვები მალე ჩამოვლენ მადრიდში და ყველაფერი ძველებურად იქნება.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** უეფა-ს დისციპლინარულმა კომიტეტმა რამდენიმე კლუბს და ნაკრებს გუნდს საჯარიმო სანქციები დააკისრა, მათ შორის, რუსეთი ნაკრებსაც. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირს 10 ათასი ევროს გადახდა მოუწევს იმის გამო, რომ 11 ოქტომბერს, საქართველოს წინააღმდეგ მატჩის მსვლელობისას, გულშემატკივრები სხვადასხვა საგნებს ისროდნენ მოედანზე. მსგავსი დარღვევებისთვის დაჯარიმდნენ იტალიის, ბოსნიისა და საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციები. მეტოქე გუნდების უპატივცემულობის გამო დაჯარიმდებიან ათენის "აეკ"-ი, ბელგიური "ბრიუგე", ჰოლანდიური "ნაიმეგენი" და ავსტრიის "ზალცბურგი".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** უელსის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, მარკ ჰიუზმა დაადასტურა, რომ 2006 წლამდე, კონტრაქტის დასრულებამდე დარჩება თავის პოსტზე, მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგით დასრულდება უელსისა და რუსეთის ნაკრები გუნდების დაპირისპირება ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფის მატჩებში. ეს განცხადება ჰიუზს იმისთვის დასჭირდა, რომ მისი გადაბირებით "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ტოტენჰემი" არიან დაინტერესებული. "მანჩესტერი" ფერგიუსონის თანაშემწის ძიებაშია, "ტოტენჰემი" კი ჰიუზს გენერალური მენეჯერის თანამდებობას სთავაზობს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** საფრანგეთში, ქალაქ ლიონის სტადიონ "ჟერლანზე" გაიმართა კამერუნის ეროვნული ნაკრებისა და "მეგობრების ნაკრების" მატჩი. შეხვედრა მიეძღვნა გასულ ზაფხულს გარდაცვლილი კამერუნელი მარკ ვივიენ ფოეს ხსოვნას. შემოსული თანხა მთლიანად გადაერიცხა გარდაცვლილის ოჯახს. მატჩი კამერუნის ნაკრების გამარჯვებით - 3:1 დასრულდა. ფოეს მეგობრების გუნდის შემადგენლობაში ერთადერთი გოლი ბრაზილიელმა სონი ანდერსონმა გაიტანა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიელმა რონალდომ თავის მეუღლესთან, მილენა დომინგეშთან განქორწინებასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი წამოიწყო. ამის შესახებ ფეხბურთელის პირადმა წარმომადგენელმა განაცხადა. მან ისიც აღნიშნა, რომ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით რონალდო ალარავითარ კომენტარს აღარ გააკეთებს, რადგან წინ საპასუხისმგებლო მატჩები ელის ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსის" აქამდე საკუთარი საწვრთნელი ბაზა არ ჰქონდა, რის გამოც გუნდის ძვირად ღირებული ვარსკვლავები ნაქირავებ ბაზაზე ვარჯიშობდნენ. რომან აბრამოვიჩმა ამ პრობლემის მოგვარება გადაწყვიტა და ახალი ბაზის მშენებლობისთვის 15 მილიონი ფუნტი გამოყო. აბრამოვიჩი თურმე "არსენალის" საწვრთნელ ბაზასაც ეწვია, რათა გარკვეულიყო, თუ როგორი საწვრთნელი პირობები აქვთ თანაქალაქელ კონკურენტებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ლივერპულმა" თავისი 23 წლის კაპიტნის, სტივენ ჟერარდის შენარჩუნება შეძლო. ფეხბურთელთან კონტრაქტი გაგრძელდა. კონტრაქტის თანახმად, ჟერარდი 2007 წლამდე ითამაშებს "ლივერპულის" შემადგენლობაში. "სტივი ჩვენი კაპიტანია და ის "ლივერპულში" რჩება, რათა აქ ტიტულები მოიგოს", - განაცხადა გუნდის ფრანგმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ. ახლა "ლივერპულს" ისღა დარჩენია, რომ როგორმე მაიკლ ოუენი შეინარჩუნოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფრანგული "პარი სენ ჟერმენი" "ლიონის" ნახევარმცველის, ვიკაშ დორასოს შეძენას გეგმავს. 30 წლის ფეხბურთელის გადაბირებას პარიზელები ზამთრის სატრანსფერო სეზონშივე გეგმავენ. დორასომ "ლიონის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა, უკანასკნელ თამაშებში მწვრთნელი ლე გენი მის ნაცვლად ბრაზილიელ ჟუნინიოს ათამაშებს, რის გამოც, პარიზელთა შანსი, დორასო თავისკენ გადაიბირონ, საკმაოდ მაღალია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიის ნაკრების მომავალ ორ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს რონალდინიო. "ბარსელონას" ნახევარმცველს ესპანეთის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში "ბეტისის" წინააღმდეგ (2:1) მარჯვენა ფეხის კუნთი დაეჭიმა, რის გამოც შესაცვლელი გახდა. აღმოჩნდა, რომ რონალდინიოს ტრავმა საკმაოდ სერიოზულია და მას 5 კვირით მოუწევს შესვენება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** პარაგვაის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ამჟამად კი მონტევიდეოს "პენიაროლის" მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი კვლავაც განაგრძობს პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის კრიტიკას. ამჯერად ჩილავერტი პარაგვაის ნაკრების მწვრთნელის საკითხს შეეხო და განაცხადა, რომ ყველაფერს სწორედ პარაგვაის ფეხბურთის ფედერაცია წყვეტს და არა მწვრთნელი. ჩილავერტის თქმით, გუნდის შემადგენლობას, ტაქტიკას და სხვა საკითხებს სწორედ ფედერაციის ჩინოვნიკები წყვეტენ და მწვრთნელი ანიბალ რუისი მხოლოდ მარიონეტია. "რუისს მონტევიდეოში შევხვდი. მან მითხრა, რომ ყველაფერს ფედერაცია წყვეტს. ის მხოლოდ მარიონეტია. რუისის ხელფასი ყოველთვიურად სამი ათას დოლარს შეადგენს, რაც მისი დონის სპეციალისტისთვის ძალიან ცოტაა. პარაგვაის ნაკრების წინა მწვრთნელების ხელფასი 40 ათასი დოლარი იყო", - განაცხადა ჩილავერტიმ. თავად ანიბალ რუისი კომენტარისგან თავს იკავებს.

## ინფოთეკა

**ჩოგბურთი.** ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე ვაჟთა არაოფიციალურ მსოფლიო პირველობაზე ამერიკელმა ენდი როდიკმა სამ სეტში - 6:2, 3:6, 6:3 დაამარცხა ესპანელი კარლოს მოია, ხოლო გერმანელმა რაინერ შუტლერმა ასევე სამ სეტში - 6:3, 4:6, 6:2 სძლია არგენტინელ გილიერმო კორიას. აღსანიშნავია, რომ როდიკის გამარჯვებამ მსოფლიო რეიტინგში პირველობის პრეტენდენტთაგან ავტომატურად გამორიცხა შვეიცარიელი როჟე ფედერერის კანდიდატურა. ანუ ფედერერი წლის ბოლოს მსოფლიოს პირველი ჩოგანი ველარ გახდება. სამაგიეროდ, ამ პატივისთვის იბრძოლებენ ენდი როდიკი და ესპანელი ხუან კარლოს ფერერო.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ფორმულა 1-ის გერმანელმა პილოტმა მიხაელ შუმახერმა ერთი მილიონი დოლარი გადარიცხა იუნესკოს ფონდში. ჩეკის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი გერმანიაში, ნოისეს გალა-წარმოდგენაზე გადაიცა. თავად გერმანელი, რომელიც ორგანიზაციის ელჩია, ცერემონიაში არ მონაწილეობდა. მის ნაცვლად სიმბოლური ჟესტი მენეჯერმა ვილი უებერმა გააკეთა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** "იაგუარმა" 2003 წლის სეზონი 18 ქულით დაასრულა. ამათგან 17 მარკ უებერმა მოიპოვა. ჯასტინ უილსონმა გუნდს მხოლოდ ერთი ქულა შესძინა, როცა ინდიანაპოლისში რბოლა მერვე ადგილზე დაასრულა. ანტონიო პიცონიამ კი გუნდი საერთოდ უქულოდ დატოვა. "ეს ყველაფერი გუნდისთვის არც ისე კარგია. ჩვენ "ბარის" გადასწრება შეგვეძლო, ორივე მანქანას ქულები რომ მოეპოვებინა, - ამბობს მარკ უებერი, - ჩვენ ქულები გვჭირდება. ჯერჯერობით არ ვიცი, მომავალში ვინ იქნება ჩემი პარტნიორი, რადგან ამჟამად გუნდი ერთბაშად რამდენიმე პილოტთან აწარმოებს მოლაპარაკებას". მომავალ სეზონში უებერის პარტნიორთა რანგში განიხილებიან ალექს ვურცი, იოს ფერსტაპენი, ჟაკ ვილნევი და ნიკ ჰაიდფელდი. არის ვარაუდი, რომ გუნდში ჯასტინ უილსონი დარჩება.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** 2001 წლის სეზონი ჟან ალეზისთვის, როგორც ფორმულა 1-ის პილოტისთვის, უკანასკნელი გამოდგა. Tyrrell, Ferrari, Benetton, Sauber, Prost-სა და Jordan-ში გატარებული 12 სრული სეზონის შემდეგ ფრანგი მრბოლი საბარგო მანქანების ჩემპიონატში (DTM) "მერსედეს ბენცის" ღირსებას იცავს და, როგორც ჩანს, ფორმულა 1-ის კლასში აღარ დაბრუნდება. "ფორმულა 1-ის რბოლებში აღარ დავბრუნდები", - ამბობს ალეზი. 2002 წელს გამოცდილი ფრანგი მრბოლი "მერსედეს ბენცმა" (რომელიც "მაკლარენის" პარტნიორია) "მიშელინის" საბურავების გამოსაცდელად ტესტებზე მიიწვია. მაშინ ჟან ალეზის მონაწილეობით განხორციელდა ორი სესია, რომლითაც ყველა კმაყოფილი დარჩა. ახლა 38 წლის ფრანგი კვლავ ოცნებობს, ფორმულა 1-ის საჭესთან ტესტი გაიაროს. "ასეთ წინადადებაზე უარს არ ვიტყვი", - ამბობს ალეზი.

■ ■ ■

**კრივი.** ანჟელ მანფრედიმ წარმატებით აიღო სტარტი სუპერმსუბუქ წონით კატეგორიაში (63,5 კგ.). მან მეცხრე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ჯონი გუტიერესი. მანამდე გუტიერესი სუპერქვემსუბუქ წონით კატეგორიაში ცდიდა ძალებს. მას მოგებული აქვს საჩემპიონო ქამრები, მაგრამ არცთუ ისე გავლენიანი ვერსიების მიხედვით (WBF და WBU). უმთავრესი ვერსიების (WBA, WBC ან IBF) ქამრების მოპოვება მოკრივემ ვერ მოახერხა. ყველა უკანასკნელ ბრძოლაში მანფრედის წონა საკმაოდ აღემატებოდა მსუბუქი წონის საზღვრებს.

■ ■ ■

**ჰოკეი.** საზარდულის ტრავმის გამო ჰოკეის ნაციონალური ლიგის ოფიციალური საიტის ინფორმაციით, "კოლორადოს" ფორვარდი პეტრ ფორსბერგი არ შეიყვანეს "სან-ხოსესთან" მატჩის განაცხადში. თამაშის წინ ის გუნდთან ერთად ვარჯიშობდა, მაგრამ მოედანზე გასვლა ვერ შეძლო. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენად სერიოზულია ტრავმა და რამდენი დრო დასჭირდება ჰოკეისტს მოედანზე დასაბრუნებლად.

■ ■ ■

**სამბო.** როგორც რუსი სპეციალისტები მიიჩნევენ, ორ-სამ წელიწადში შეიძლება სამბო სპორტის ოლიმპიური სახეობა გახდეს. ამის შესახებ განაცხადა "სამბო-70"-ის სკოლის დამფუძნებელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, სამბოს საერთაშორისო ფედერაციის წევრმა დავიდ რუდმანმა. მისი თქმით, ოლიმპიურ სახეობად გახდომისთვის რამდენიმე კრიტერიუმია საჭირო - სპორტის სახეობა, სულ ცოტა, 4 კონტინენტსა და 75 ქვეყანაში უნდა იყოს გავრცელებული. "ჩვენთვის ეს ამოცანა რეალურია", - ამბობს რუდმანი. რუსეთის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა სერგეი ელისეევმა კი დაამატა: "ახლა ჩვენთვის მთავარია, სამბო სპორტის ეროვნული სახეობა გახდეს. ამ შემთხვევაში ჩვენ კი არ მოგვიწევს სხვა ქვეყნების კულტივირება სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე, არამედ უცხოელები თვითონ მოგვთხოვენ სპეციალისტებს. ამას გარდა, უკვე შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ევალება სამბო სპორტის ოლიმპიური სახეობა გახადოს. ამ მუშაობის დეტალებს მოგვიანებით გაგაცნობთ", - ამბობს ელისეევი.

## ჩოგბურთი

# როდის წავა აგასი?



ნინო პირველი

ანდრე აგასი - არაპროგნოზირებადი, უცნაური ჩოგბურთელი, კაცი, რომლის საქციელსაც წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს. 33 წლის ამერიკელი ეგრეთ წოდებული "ოქროს თაობის" უკანასკნელი მოჰიკანია. 90-იანი წლების ვარსკვლავებიდან ის ერთადერთია, ვინც ჯერ კიდევ ახერხებს დიდ ჩოგბურთში წარმატების მოპოვებას. მისი თაობის სახელოვანი ჩოგბურთელები ბორის ბეკერი და პიტ სამპრასი უკვე დიდი ხანია აღარ იქნევენ ჩოგანს. სამპრასი "დაიკარგა", საერთოდ აღარ იქცევს საზოგადოების ყურადღებას. ბეკერმა კი გერმანელი "პენსიონერების" უსაყვარლეს ხერხს მიმართა - ავტობიოგრაფიული წიგნი გამოაქვეყნა. გერმანიაში ამ ტიპის წიგნის გამოცემა ძალზე მარჯვე საშუალებაა იმისთვის, რომ საზოგადოებას თავი შეახსენო. ისინი, ვინც კარგა ხნის წინ ჩამოსცილდნენ აქტიურ სპორტულ თუ კულტურულ ცხოვრებას, წარსულის გახსენებით ცდილობენ ხალხის ალაპარაკებას. ყველაზე ცნობილმა და სკანდალურმა პოპვარსკვლავმა, დიტერ ბოლენმა უკვე ორი წიგნი დაწერა, შტეფან ეფენბერგმაც არ დაიზარა თავისი მშფოთვარე ცხოვრების აღწერა. ბეკერმაც თანამემამულეებს მიბაძა და დაიწყო ავტობიოგრაფიული წიგნის წერა. წიგნი მალე გამოვა გერმანულენოვან ქვეყნებში. მანამდე კი დაინტერესებული მკითხველი ნაწყვეტებს გერმანულ გაზეთებში გაეცნობა.

ანდრე აგასი ჯერ არ აპირებს პენსიაზე გასვლას. არც ავტობიოგრაფიის დაწერა აქვს განზრახული, მიუხედავად იმისა, რომ მანაც მეტად საინტერესო ცხოვრების გზა განვლო და მემუარები ცუდი არ უნდა გამოუვიდეს. აგასი ისევ კორტზე დგას და ახალგაზრდა ჩოგბურთელებს ეომება. ერთი ასეთი დუელი მან უკვე წააგო - მასზე თორმეტი წლით უმცროსმა შვეიცარიელმა როჟე ფედერერმა ჰიუსტონში მიმდინარე მასტერსის ტურნირზე სამსეტიან დაძაბულ ბრძოლაში მოახერხა აგასის დამარცხება. ეს ამერიკელის პირველი მატჩი იყო ქალიშვილის დაბადების შემდეგ. აგასის გერმანელი მეუღლე შტეფი გრაფი, უკვე დიდი ხანია, თავის მეორე ნახევარს სთხოვს, ჩოგბურთს თავი დაანებებოს, აგასის კი ჩოგანი არა და არ ეთმობა.

ფედერერთან მარცხის შემდეგ აგასი არცთუ ისე კარგ გუნებაზე იყო, მაგრამ გერმანულ "ბილდს" უარი მაინც არ უთხრა ინტერვიუზე. რაც უნდა იყოს, "ბილდის" ჟურნალისტები მისი მეუღლის თანამემამულეები არიან.

**- მაინც რამდენ ხანს აპირებთ ათი წლით უმცროს ჩოგბურთელებთან ბრძოლას?**

- ასაკი ჯერჯერობით ხელს არ მიშლის. თავს სულაც არ ვგრძნობ დაბერებულად. როცა მივხვდები, რომ აღარ შემიძლია, აუცილებლად წავალ ჩოგბურთიდან.

**- ამბობენ, ანდრე აგასი შტეფი გრაფის გამო აპირებს სპორტისთვის თავის დანებებას, რათა ოჯახისთვის უფრო მეტი დრო ჰქონდესო.**

- შტეფი და ბავშვები ძალიან მენატრებიან და ვცდილობ, რაც შეიძლება, ხშირად დავრეკო სახლში. ჩოგბურთი დიდებულია, მე ის ძალიან მიყვარს და ჯერ კიდევ შემიძლია კორტზე გასვლა.

**- რამე თუ გაქვთ თან, რაც ოჯახს გახსენებთ?**

- რა თქმა უნდა, სურათები.

**- თქვენს ვაჟს თუ გაუხარდა დაიკოს დაბადება?**

- ძალიან. ეამაყება, რომ უფროსი ძმაა. ახლა ჯეიდენს, ცოტა არ იყოს, უჭირს, დედას მისთვის იმდენი დრო აღარა აქვს, როგორც ადრე, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც ძალიან უყვარს თავისი პატარა და.

**- შტეფი როგორ არის?**

- დიდებულად. ის შესანიშნავი დედაა.

**- თქვენს შვილებს ორი მშობლიური ენა აქვთ თუ მხოლოდ ინგლისურად საუბრობენ?**

- შტეფი ჯეიდენს გერმანულად ელაპარაკება. მან უკვე ინგლისურიც იცის და გერმანულიც. მის გერმანულს ხანდახან მეც ვიგებ. თუ არა და, უბრალოდ, შტეფის ვეკითხები.

**- თქვენმა შვილებმა რომ ჩოგბურთელობა მოინდომონ, როგორი რეაქცია გექნებათ?**

- ეს მათი გადასაწყვეტია. თუ ჩოგბურთის თამაში მოუნდებათ, მაშინ მეც მათთან ერთად გავალ კორტზე და ბურთების ჩაწოდებას ვასწავლი.

**- ჯეიდენი თუ უყურებს ტელევიზორში მამიკოს თამაშს?**

- არ ვიცი. მას რომ შეეძლოს ჩემსა და მულტფილმებს შორის არჩევანის გაკეთება, აუცილებლად ფილმებს აირჩევდა.

## კალათბურთი

# "ძმა ძმისთვისაო" ამერიკულად

სანდრო ნავერიანი

გუშინწინ, გვიან ღამით, გაიმართა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატის მორიგი რვა მატჩი. ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა "ჰიუსტონ როკეთსისა" და "მაიამი ჰიტის" დაპირისპირება ჰიუსტონში, "ტოიოტა ცენტრში". "მაიამი" ერთადერთი გუნდია ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში, რომელსაც ამ სეზონში არ გაუმარჯვია. მატჩი იმით იყო საინტერესო, რომ "მაიამის" მთავარი მწვრთნელი, სტენ ვანგანდი "ჰიუსტონის" მთავარი მწვრთნელის ჯეფ ვანგანდის ძმაა. საერთოდ, ძმების დაპირისპირება ხშირად ოჯახური კონფლიქტით მთავრდება და მთელი საკალათბურთო სამყარო მათ უთანხმოებაზე საუბრობს. სამწუხაროდ, ამ მატჩის შემდეგაც იგივე მოხდა. ძმებმა გადაწყვიტეს, მოედანზევე გაერკვიათ ურთიერთობა და მატჩის შემდეგ ერთმანეთი "ტკბილი" სიტყვებით შეამკეს. ამ დროს სატელეფონო ხაზზე ჩართეს მათი მამა, პოლ ვან განდი, რომელიც ძმების არც ერთ დაპირისპირებას არ დასწრებია, რადგან კარგად იცნობს თავის შვილებს და ზუსტად იცის, რომ მათი დავიდარაბის მომსწრე გახდება, რაც მას შეურაცხყოფს. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ერთი ძმის გუნდს მეორისთვის დახმარება შეეძლო, მაგრამ ნურას უკაცრავად. ძმობაც ასეთი უნდა...



*დირკ ნოვიცკი საუკეთესოა*

მატჩის პირველი ხუთი წუთი ისე გავიდა, რომ "ჰიუსტონმა" ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვა, ხოლო "მაიამიმ" მხოლოდ ოთხ ქულას მოუყარა თავი. მატჩი სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა და სანახაობრივადაც კარგი გამოდგა. საბოლოოდ "ჰიუსტონმა" გაიმარჯვა, თანაც, საკმაოდ ადვილად. კატინო მობლიმ (30) და იაო მინგმა (16) "მაიამის" დაცვა გაარღვიეს და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. ტეხასელებმა 20 ქულის სხვაობით გაიმარჯვეს, რაც, ალბათ, გახდა იმის მიზეზი, რომ "ტოიოტა ცენტრში" ძმების კონფლიქტი მოხდა. მატჩის შემდგომი პრესკონფერენცია კი ქუჩური კანონებით გაიმართა. პრესკონფერენცია იმ საქმის გარჩევას ჰგავდა, რომელიც "west side story"-ში გინახავთ. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ფილმში მღერიან, აქ კი ბრონქსული სლენგით აგინეს ერთმანეთი.

ქართველ ლეგიონერთა გუნდებიდან მხოლოდ ერთმა, ვლადიმერ სტეფანიას "ტრეილ ბლეიზერსმა" გამართა შეხვედრა. მატჩი პორტლენდში, "როუზ გარდენში" შედგა. ბრწყინვალე გზის მიმდევრებმა ტორონტოელი რეპტილიები მიიღეს. "რეფტორზის" შემადგენლობაში ვინს კარტერმა გაიბრწყინა. როგორც ჩანს, კარტერი ნელ-ნელა შედის ფორმაში და თამაშიდან თამაშამდე უმატებს. ამ შეხვედრაში კარტერმა 33 ქულა მოაგროვა, მაგრამ მისი გუნდი მაინც დამარცხდა. პორტლენდელთა შემადგენლობაში სტეფანიამ 10 წუთი დაყო მოედანზე და 4 ქულით დაეხმარა გუნდს, 7-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და 3-ჯერ ჩაჭრა მეტოქის გადაცემა.

ვაშინგტონში ადგილობრივმა ჯადოქრებმა ალენ აივერსონის "სევენთისიქსერზს" უმასპინძლეს. "ეს ბიჭი მაოცებს, აღფრთოვანებაში მოვყავარ მის თამაშს. დღეს მან ისეთი სპექტაკლი დადგა, როგორის ნახვაც იშვიათად შეიძლება", - განაცხადა ვაშინგტონელთა ლიდერმა გილბერტ არენასმა ალენ აივერსონზე. მატჩის ერთ-ერთმა მთავარმა მსაჯმა განაცხადა: "ალენმა ბევრჯერ დაარღვია წესი, მაგრამ ამას ისე ლამაზად ახერხებდა, რომ, უბრალოდ, უფლება არ მქონდა, წესების დარღვევა დამეფიქსირებინა". აივერსონი, მართლაც, უძლიერესი კალათბურთელია. სპეციალისტები ამბობენ, რომ ის ერთადერთია, რომელიც შეიძლება ჩემბერლენს, დრექსლერს, ჯორდანს, ლარი ბიორდს შევადაროთ. ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი ბოსი აცხადებს, რომ დღეს აივერსონს ვერავინ შეედრება. ალენმა ამ მატჩში 40 ქულა მოაგროვა და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფილადელფიელებს მისმა კარგმა თამაშმა მოაგებინა მატჩი.

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი - ფილადელფია | 105:112 |
| მინესოტა - სიეტლი | 87:89 |
| ჰიუსტონი - მაიამი | 90:70 |
| პორტლენდი - ტორონტო | 83:80 |
| ინდიანა - ბოსტონი | 76:78 |
| დალასი - ნიუ ორლეანი | 125:97 |
| საკრამენტო - დეტროიტი | 97:91 |
| ლ.ა.კლიპერსი - ატლანტა | 115:103 |

## ჭადრაკი

# ტვინის ჭყლეტა ვირტუალურად

ბიბა ბურასაშვილი

საჭადრაკო დაპირისპირება ადამიანსა და კომპიუტერს შორის ისევ ყაიმით დასრულდა. თუ დაფის ერთ მხარეს ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე გროსმაისტერი გარი კასპაროვი იჭყლეტდა ტვინს, მეორე მხარეს ბოლო ვერსიის მქონე მოწინავე საჭადრაკო პროგრამა - X3D Fritz საკუთარ პროგრამებში საჭირო სვლების გასაკეთებლად დაძრომიალობდა. ბრძოლის ველად საჭადრაკო სეირის ორგანიზატორთა ძალისხმევით ნიუ იორკის ათლეტთა კლუბი შეირჩა.

პირველი პარტია 3 საათსა და 20 წუთს გაგრძელდა - ზუსტად იმდენ ხანს, რამდენიც პრაქტიკულად საყაიმო პარტიისთვისაა საჭირო. 37-ე სვლაზე ადამიანი და კომპიუტერი ფრეზე შეთანხმდნენ. კასპაროვმა პარტია სლავური დაცვით დაიწყო. ეს ტაქტიკა შემთხვევით არ აურჩევია - წლის დასაწყისში ამ სტრატეგიით თამაშმა მას "დიფ ჯუნიორთან" წარმატება მოუტანა.

სათამაშო პერიპეტიების მიხედვით კასპაროვმა ამ კომპიუტერულ პროგრამას არაერთი თავსატეხიც გაუჩინა. იგი პროგრამაზე საკმაო ხნის განმავლობაში პოზიციურ უპირატესობას ფლობდა. ასე გრძელდებოდა თითქმის მატჩის დასრულებამდე, მაგრამ ბოლოს კომპიუტერმა სიტუაციის განმუხტვა შეძლო. მანამდე კი, მეშვიდე სვლაზე, X3D Fritz ტვინს იჭყლეტდა.



REUTERS

*გარი კასპაროვი მანქანას დაუზავდა*

"პოზიციური ვითარება მარტივი არ ყოფილა. ვფიქრობ, უპირატესობის გამყარების შესაძლებლობა ხელიდან გავუშვი", - აღიარებს 40 წლის მოჭადრაკე.

სადებიუტო პარტიის ცქერა სანახაობრივადაც უცნაური გამოდგა. კასპაროვი მონიტორის წინ სამგანზომილებიანი სათვალით - 3-D იჯდა. მატჩის შემდეგ თქვა კიდეც, ახალი ტექნოლოგიებით გამოწვეული შეგრძნება მეტად უჩვეულო გამოდგაო: "ახალ ტექნოლოგიასთან შესაგუებლად დრო დამჭირდა. X3D-ტექნოლოგია, განსაკუთრებით კი სიტყვების მეშვეობით გაკეთებული სვლები რაღაც ახალი იყო ჩემთვის. ამიტომ საწყის ეტაპზე გარკვეულ დისკომფორტს განვიცდიდი".

მთავარი პროგრამისტი და "ფრიც-ის" შემქმნელი ჰოლანდიელი ფრანს მორში სასტარტო შედეგით კმაყოფილებას ვერ ფარავდა: "ბედნიერები ვართ. ლამაზი პარტია გამოდგა. ის, რომ მანქანამ ყაიმი დაუშვა, ვფიქრობ, შეცდომა არ არის. მეტოქეები თანაბარ ვითარებაში იყვნენ. ფრე საუკეთესო ვარიანტია".

მეორე პარტია დღეს გაიმართება. კასპაროვი შავებით ითამაშებს. სულ ოთხი პარტიაა სათამაშო (უკანასკნელი - 18 ნოემბერს). თუ კასპაროვი კომპიუტერს დაამარცხებს, ჯილდოს სახით 200 ათას დოლარს მიიღებს, წაგების შემთხვევაში - 150 ათასს, ყაიმის შემთხვევაში კი - 175 ათასს.

ვინც თვალყურს ადევნებს ადამიანისა და კომპიუტერის საჭადრაკო დაპირისპირებას, ეხსომებათ, რომ კასპაროვისთვის უცხო არ არის პროგრამული ორთაბრძოლები. 1996 წელს მან კომპანია IBM-ის მიერ შემუშავებული სუპერ-კომპიუტერი "დიფ ბლუ" დაამარცხა. თუმცა, ერთი წლის შემდეგ კომპიუტერმა რევანში აიღო. წლეულს, თებერვალში, კასპაროვი დაუზავდა სხვა ვირტუალურ მეტოქეს "დიფ ჯუნიორს".

## ფორმულა 1

# შუმის ჩემპიონობა და მეხანძრეთა ჭავლი

"ფერარის" გერმანელ პილოტს მიხაელ შუმახერს ერთხელ თითქოს ხუმრობით წამოსცდა, საკუთარ წარმატებებს მხოლოდ პენსიაში გასვლის მერე თუ გავათვითცნობიერებო. წარმატებები კი, მართლაც, არნახული აქვს – მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი! შუმის ამგვარი განცხადებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი შეჩერებას არ აპირებს და ახალ მიზნებს ისახავს. ბუნებრივია, მიზნებში სამეფო რბოლებს ვგულისხმობთ. ამჟამად მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს მომავალ სეზონშიც ჩემპიონობა აქვს სამიზნეში ამოღებული. მანამდე კი იმას იხსენებს, თუ როგორ აღნიშნა წლევანდელი ჩემპიონობა, რომელიც, თურმე, სიურპრიზებით ყოფილა გაჯერებული.

"დღემდე ვერ გამითვითცნობიერებია, რომ სუძუკაზე (გერმანელ პილოტს ერთი ჩასათვლელი ქულაც ჰყოფნიდა იმისთვის, რომ ჩემპიონი გამხდარიყო. შუმახერმა მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ეტაპი, იაპონიის გრან-პრი, სწორედ მერვე პოზიციაზე დაასრულა.-რედ.) ოფიციალურად გავხდი ყველა დროის საუკეთესო პილოტი, - აღიარებს შუმახერი. – ახლა, ამ ეტაპზე, მიჭირს ყოველივეს გაცნობიერება. მზად არ ვარ ასეთი პატივისთვის. მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

ახალი სეზონის დაწყებამდე არცთუ ისე დიდი დროა. უკვე მომავალ რბოლებზე ვფიქრობ. ამიტომ საკუთარ რეკორდს არ ვიხსენებ. სავარაუდოდ, მოგვიანებით გავიგებ, რასაც მივაღწიე. მომავალი სეზონიც, ალბათ, სანახაობრივი იქნება".

მიხაელ შუმახერი, რომელიც, როგორც თავად აცხადებს, მორიგი ჩემპიონობა ვერც კი შევიგრძენიო, იაპონიის გრან-პრიდან შინ დაბრუნებული იხსენებს: "ჟენევის აეროპორტში გვიან ჩავფრინდით. ღამის წვეულების, ზეიმისა და ხანგრძლივი ფრენის გამო მე და კორინა ძალიან დავიღალეთ. ერთი სული გვქონდა, ბავშვებს როდის ვნახავდით, რომ მერე კარგად გამოგვეძინა. ის-ის იყო, თვითმფრინავი დაფრინდა, რომ მეხანძრეები წყლის ჭავლით მოცვივდნენ. ვიფიქრე: "რა ხდება, ხომ არ ვიწვით? რატომ ცდილობენ თვითმფრინავის ჩაქრობას?" ერთი სიტყვით, ძალიან შევშინდით. მერე მივხვდით, რომ ყველაფერი აეროპორტის ხელმძღვანელთა ხრიკები იყო – მათ ჩვენი გაოცება უნდოდათ. ვაღიარებ, რომ გამოუვიდათ. კარგა ხანს ვიცინეთ. მეხენძრეებსაც ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, რომ მართლა ძალიან შეგვაშინეს. მაგრამ სიურპრიზი ამით არ დასრულებულა. როდესაც შინ მივედით და კარი შევაღეთ, სახტად დავრჩით: სახლი ბუშტებით იყო სავსე. ბავშვები – ჯინა და მიკი – კისერზე ჩამოგვეკიდნენ. მერე ერთად აღვნიშნეთ გამარჯვება და დავიძინეთ. კარგია, თუ ასეთი სიურპრიზები ხშირი იქნება!"

TV პროგრამა
13 ნოემბერი

**რუსთავი - 2**

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.25** სერიალი "ჯადოქარი" **19.00** სერიალი "მაშველები" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "შავი ზეცა" **23.00** ღამის კურიერი **00.10** სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" **00.40** მხ.ფილმი "სოლტონის ზღვა". მთ. რ-ში: ველ კილმერი, ვინსენტ დ-ონოფრიო.

**პირველი არხი**

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "პრინცესა ნერი" **10.10** მხ. ფილმი "რემბო-პირველი სისხლი" **11.40** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "კორდიეების ოჯახი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "ცხოველთა სტრატეგია" **15.15** მხ. ფილმი "ვერცხლისფერი ულაყი" **16.50** დოკ. ფილმი "ლუსიენ ბოდარი" **17.40** მულტსერიალი "ჩემი პატარა ძვირფასი პლანეტა" **17.50** რამპა **18.00** ვესტნიკი **18.25** ტელესერიალი "კორდიეების ოჯახი" **19.15** ჯანმრთელობა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.30** კრიმინალური ქრონიკა **21.45** ეკონომიქსი **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი "ცდომილი ალი".

**პირველი სტერეო**

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "პიატაჩოკის დიდი კინო" მულტფილმი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** "ბრავო" "ლარა კროფტი: ცხოვრების აკვანი". მთ. რ-ში ანჯელინა ჯოლი. **01.50** "ღამურა" "ნაპოლეონი" მე-2 ნ. **03.00** პაუზის გარეშე

**მზე**

**09.00** "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "არგაი" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "უცხო აღდგომა" **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "კარლიტოს გზა"

**მეორე არხი**

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი "ცა ჩამოიქცა" **21.00** საუკუნის გიგანტები **22.10** მხ. ფილმი "ყველაფერი სიყვარულზე"

**კავკასია**

**12.00** მხ. ფილმი "სახლი თურქულ ქუჩაზე" **13.30** მხ. ფილმი "ანდროიდების კოლონია" **15.00** მხ. ფილმი "იტალიური სამსახური" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "ფლაბერი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "მუმია"

**იბერია**

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **11.00** სერიალი "საჰაერო პოლიცია" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.50, 21.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "ჩემი ქალიშვილის ტოლი" **18.45** ბუნების ფერები **20.00** ტელე-სინე-ვიდეო (განმ.) **21.00** მხ. ფილმი "საჰაერო პოლიცია" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "სახლი ქარიშხალში"

**მეცხრე არხი**

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.15, 16.20, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "ვასაბი" **13.30** მოკლ. მხ. ფილმი "გაწყვეტილი გრაფიკი" **14.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ღამის ექიმები" **16.35** დოკ. სერიალი "ამოუცნობი ცოცხალი ორგანიზმები" 1-ლი ს. **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ღამის ექიმები" **20.00** "ქართული ფეხბურთი" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.20** "ტელემეტრი" **22.30** "ყვითელი კვადრატი" **23.00** მოკლ. მხ. ფილმი "სახლებში დასადგურებული სიჩუმე" **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** რუს. მხ. ფილმი "ანგელოზის თვალსაზრისი"

**იმედი**

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 17.20, 01.10** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **09.30** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.30** ერთხელ ჰოლივუდში **11.05** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** მხ. ფილმი "დამნაშავეებზე მონადირე" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.55** ქრონიკა **17.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **22.30** მხ. ფილმი "ახლა კი ქალბატონებო და ბატონებო"

**VII არხი**

**09.10** "აჩიკუდა" **09.35** მობილურები **10.00** სპორტული პროგრამა "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმ.) **10.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **11.55** მელოდია **11.05** აუდიო-ვიდეო-ტელე **11.55** ტელესერიალი "გრაფინია დე მონსორო" **12.40** დისნეი და მისი მეგობრები **13.00** კომპიუტერული ტექნიკა **18.40** მობილურები **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.15** კომპიუტერული ტექნიკა **20.55** "ღამის კაპრიზი" **21.55** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.45** "კინოკლუბი" - "თოვლის კაცი". მძაფრსიუჟეტიანი. მთ. როლში ლანს ჰენრიკსონი. **00.20** მელოდია **00.25** ტელესერიალი "ვარსკვლავური კარიბჭე" **01.15** საყოფაცხოვრებო ტექნიკა

**ОРТ**

**07.00** "Доброе утро" **09.30** Выборы-2003 **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.10, 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 11.10 Сериал "Дни ангела" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Базз и его команда" **13.20** Город женщин **14.10 Комедия "Ключи от неба" 16.20, 02.00** "Фабрика звезд-3" **16.30** "Угадай мелодию" **17.00 Сериал "Берег мечты" 18.00** "Большая стирка" **19.30** Выборы-2003 **20.50 Сериал "Нина" 22.00, 00.30** Время **22.30 Сериал "Дни ангела" 23.40** "Человек и закон" **01.00** Ударная сила **01.30** "Русский экстрим" **02.20 Боевик "Железный орел"**

**РТР**

**05.00** Доброе утро, Россия! **08.45 Сериал"ЛИНИИ СУДЬБЫ" 09.45** Комната смеха. **11.45, 14.45, 17.30, 23.50, 00.25** "Вести. Дежурная часть" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** "Короткое замыкание". Ток-шоу. **13.50, 22.50 Сериал "ОПЕРАТИВНЫЙ ПСЕВДОНИМ" 15.30** "Что хочет женщина" **16.30 Сериал "ЛЕДИ МЭР". 18.10 Серил "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ" 19.10 Премьера. Мелодрама "УНДИНА" 20.00** Выборы-2003. **21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55 Сериал"ЛИНИИ СУДЬБЫ". 00.00** Вести+. **00.20** Премьера. "Исторические хроники"."1907. Максим Горький". **00.15** Народный артист. **00.40 Худ. фильм "РОМЕО И ДЖУЛЬЕТТА" 03.25** Дорожный патруль. **03.40** Агентство одиноких сердец. **04.05** Сериал **"АНГЕЛЫ ЧАРЛИ"**

**НТВ**

**07.00** Утро на НТВ. **09.45** Сериал "**ЧЕРНЫЙ ВОРОН-2**" **11.00** Сегодня утром. **11.25** Квартирный вопрос: розовое - Лизе, зеленое - Полине. **12.15** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10** "Сегодня" **13.35** Худ.фильм "**ВПЕРВЫЕ ЗАМУЖЕМ**" **15.35** По праву **16.35** Ночная жизнь. Ток-шоу "Принцип домино". **18.30** Сериал "**ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО**". **19.35** "Товарищ граф". "Профессия - репортер". **20.35** Сериал "**АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ"**. **21.50** Сериал "**ЧЕРНЫЙ ВОРОН-2**". **23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела **23.50** "К барьеру!" Ток-шоу Владимира Соловьева. **01.05** Сериал "**АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ" 02.35** Гордон. **03.25** Сериал "**ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО**"

# გინესის წიგნის უცნაურობანი




*გინესის რეკორდების წიგნის დამფუძნებელი ნორის მაქუირთერი საიუბელო გამოცემით.*

ნინო პირველი

2003 წელს რეკორდების წიგნმა თავად დაამყარა რეკორდი - უცნაური მოვლენების ამსახველი გინესის წიგნი წელს უდიდესი ტირაჟით გამოვიდა და ასეთივე უდიდესი წარმატებით გაიყიდა. როგორც ჩანს, მსოფლიოს ჯერ კიდევ არ მობეზრებია მავანთა და მავანთა ამოუცნობ ფენომენზე სქელტანიანი წიგნების კითხვა. გინესის წიგნი პირველად 1955 წელს დაიბეჭდა და მას შემდეგ პოპულარულობა ნამდვილად არ მოჰკლებია. მოდით, ერთად გადავხედოთ რეკორდების წიგნში დაფიქსირებულ ყველაზე საოცარ, თითქმის, სულელურ მაჩვენებლებს..

გინესის წიგნში მუდამ საოცარი ადამიანები ხვდებიან. ეს უცნაურობა ზოგჯერ ღიმილის მომგვრელია, ზოგჯერ კი, უბრალოდ, გამაოგნებელი. ასე მაგალითად, როგორი რეაქცია შეიძლება ჰქონდეს ექიმს, როცა ხედავს, რომ ახალშობილს ექვსი მაგარი კბილი აქვს? ინგლისელი შონ კონი სწორედ ასეთი დაიბადა - ექვსი ჯანსაღი კბილით, რაც დედამისს არაერთ პრობლემას უქმნიდა ძუძუს წოვების პროცესში. ბოლოს მისის კონი იძულებული გახდა, სტომატოლოგთან წაეყვანა თავისი ზომაზე მეტად განვითარებული პირმშო და გაოგნებული ექიმისთვის მისთვის ნაადრევად ამოსული კბილების ამოღება ეთხოვა.

ინგლისელი დონა გრიფიტსი სულაც არ ფიქრობდა რეკორდებზე და გინესის წიგნში მოხვედრაზე, სანამ ცემინების ეპიდემია არ დაეწყო. ორი წლის განმავლობაში საბრალო ქალს მოსვენება არ ჰქონდა - დღე და ღამე განუწყვეტლივ აცემინებდა. კრიზისი 1981 წლის 13 იანვარს დაიწყო და 1983 წლის სექტემბარმდე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში დონა გრიფტსმა მილიონჯერ დააცემინა. 1983 წლის 6 სექტემბერს დონას ტანჯვა დასრულდა და ეს უცნაური ინგლისელი გინესის წიგნში მოხვდა.

შვედი კარელ ვალკერტი რეკორდების მოყვარულთათვის ხვრინვის წყალობით გახდა ცნობილი. ის ისე ხმამაღლა ხვრინავდა, რომ მისმა "ღამის სიმღერამ" 93 დეციბალს მიაღწია, რაც საკონცერტო დინამიკის სიმძლავრეს უდრის. შვეციის ჯანმთელობის სამინისტროს დადგენილების მიხედვით, კონცერტებზე დინამიკის სიმძლავრე 93 დეციბალს არ უნდა აღემატებოდეს, რადგან ეს საზიანოა დამსწრე საზოგადოების სმენის ორგანოებისთვის. წარმოგიდგენიათ, რა დღეში იქნებოდნენ ვალკერტის ოჯახის წევრები და მეზობლები?

ამერიკელი დევიდ პოული დიდი სიზმარა ვინმე ბრძანდება. 1994 წლის 29 აპრილს მას სამსაათიანი სიზმარი ჰქონდა. ძილის დროს თვალების ხამხამის მიხედვით თურმე სიზმრის ხანგძლივობის გაზომვა ყოფილა შესაძლებელი. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ნორმალური სიზმარი, 20 წუთზე მეტ ხანს არ გრძელდება. სამწუხაროდ, ცნობილი არ არის, რა ესიზმრებოდა პოულს ასე ინტენსიურად.

1991 წლის ოქტომბერში კალიფორნიის შტატის ქალაქ სტენფორდში ექიმებმა მედიცინის ისტორიაში ყველაზე დიდი სიმსივნე მოაცილეს პაციენტს. 34 წლის ქალს ოპერაციის დროს 137,6 კილოგრამი სიმძიმის სიმსივნე ამოაჭრეს. საოცარია, როგორ ატარებდა ეს უცნაური ქალი ოპერაციამდე ამხელა მასით დამძიმებულ სხეულს. პაციენტის ორგანიზმიდან ამოცლილი უზარმაზარი მასა სიგანეში ერთი მეტრი იყო და საოპერაციოდან გასატანად სპეციალური ჭურჭლის მონახვა გახდა საჭირო. რაც უნდა გასაოცარი იყოს, ახალგაზრდა ქალმა ოპერაცია კარგად გადაიტანა და მალე სრულიად გამოჯამრთელდა კიდეც.

მოკლედ, გინესის წიგნში ბევრი უცნაური რეკორდია დაფიქსირებული. მათი რიცხვი ახლახან კიდევ ორჯერ გაიზარდა, ისიც ისეთ ნომინაციებში, რომლებშიც ადრე არავის გამოუჩენია თავი. ბრაზილიელი ელაინ დავიდსონი პირსინგების სიუხვის გამო მოხვდა რეკორდსმენთა შორის, ინგლისელი სტეფან ტეილორი კი მსოფლიოში ყველაზე გრძელი ენის წყალობით გახდა ცნობილი. ტეილორს იმსიგრძე ენა აქვს, რომ როცა ვინმესთვის ენის გამოყოფის ხასიათზე დგება, მაშინ მისი ამ საამაყო "სამკაულის" სიგრძე ზედა ტუჩიდან ნიკაპამდე 9, 6 სანტიმეტრს აღწევს. ამსიგრძე ენის პატრონს, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ყველაზე ძალიან ნაყინის ლოკვა უყვარს. მისი ენა ხომ, თითქოს, სპეციალურად ამ საქმიანობისთვისაა შექმნილი.

მეორე რეკორდსმენი ელაიან დავიდსონიც თამამად შეიძლება მივიჩნიოთ რკინის ცოცხალ საბადოდ. ამ უცნაურ ბრაზილიელს 1093 პირსინგი უმშვენებს სახესა და სხეულს. მხოლოდ ენაზე ელაიანს რკინის რვა ბურთულა უბრწყინავს, სახეზე უამრავი ნახვრეტი აქვს და ისე საშინლად გამოიყურება, რომ აფრიკელთა საზარელი კერპი ეგონება კაცს. წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, ამ მოსიარულე მეტალთსაცავს ვინმემ მაგნიტი რომ მიადოს სახეზე ან ხელებზე? ანდა ჭექა-ქუხილის დროს უცებ გარეთ რომ აღმოჩნდეს? მეხის დაცემა ნამვილად არ ასცდება. თუმცა, ელაიანს საერთოდ არ ადარდებს ის საფრთხე, რასაც 1093 პირსინგი უქმნის მის ჯანმრთელობას და მეტად ბედნიერია გინესის წიგნში მოხვედრით...












## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.